ლელო
პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
26 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2013
№302 (14 218) ფასი 80 თეთრი

## საგანგაშო მდგომარეობა



კლუბები პრემიერთან შეხვედრას ითხოვენ

2

# კოკოშკოვი უნდა დარჩეს




## ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

10

ევრო 2016

## ჩვენი იმედების აკროპოლისი

რომელ კალათაში იქნება საქართველო?

9

## ახლა იწყება თავდავიწყება!




პრემიერლიგა. დღევანდელი ტურის წინათქმა

8



ვარლამ კილასონია

## სამწვრთნელო კარუსელი

2

## მეტალურგში სანაია კილასონიამ შეცვალა

2

შაბათობით!
ლელო week

მეტალურგი

# კილასონია სანაიას ნაცვლად


ვარლამ კილასონია

გუშინ კიდევ ერთი სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა: რუსთავის „მეტალურგის" მთავარ მწვრთნელად, ამ ქალაქის მკვიდრი, რუსთავის „გორდას", სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივის", დნეპროპეტროვსკის „დნიპროსა" და კრასნოდარის „ყუბანის" ყოფილი ფეხბურთელი **ვარლამ კილასონია** დაინიშნა.

კილასონიამ „მეტალურგის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე **გელა სანაია** შეცვალა; ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით „მეტალურგმა" პირველ ეტაპზე 18 მატჩი ჩაატარა და გუნდი 26 ქულით დღესდღეობით VI ადგილზე იმყოფება.

..".მეტალურგში" უკვე ტრადიციად იქცა ერთი სეზონის განმავლობაში რამდენიმე მწვრთნელის შეცვლა, თუმცა, ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ვრცლად ხვალ ვისაუბრებთ. მანამდე კი იმას ვიტყვით, რომ **ვარლამ კილასონიას** ადრეც არაერთხელ გაუწვრთნია რუსთავის გუნდები („რუსთავი", „ოლიმპი"/"მეტალურგი").

46 წლის სპეციალისტი მშობლიური ქალაქის მთავარ გუნდს ოთხწლინახევრიანი პაუზის მერე უბრუნდება: 2009 წლის ზაფხულში, ევროტურნირების შემდეგ, კილასონიამ ბავშვთა ფეხბურთში გადაინაცვლა და წარმატებითაც მუშაობდა. ორი დღის წინაც გამცნეთ, რომ წინა სეზონში, კილასონიას ხელმძღვანელობით მოასპარეზე „მეტალურგის" ასაკობრივი გუნდი „ჭაბუკთა ლიგის" გამარჯვებული გახდა, მიმდინარე ჩემპიონატში კი კვლავაც პირველ ადგილზეა და დაუმარცხებლად ასპარეზობს.

სხვათა შორის, ამ სეზონში „მეტალურგის" დუბლშემადგენლობის მთავარი მწვრთნელიც, ფაქტობრივად, ვარლამ კილასონია გახლდათ და ამ ტურნირის პირველი ეტაპის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერიც რუსთაული გუნდია. დღესდღეობით ძნელი სათქმელია, თუ რა კონტინგენტი ეყოლება „მეტალურგის" ახალ მთავარ მწვრთნელს მეორე ეტაპზე: ჯერჯერობით ხომ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ რუსთაველთა გუნდის ბიუჯეტი პირველ ეტაპთან შედარებით, საგრძნობლად შემცირებული იქნება...

**გია ტუხაშვილი**

ლეგიონერები


დავით თარგამაძე

# თარგამაძე შეიძლება ჩერნომორეცში გადავიდეს

უკრაინული გაზეთი „კომანდა" იტყობინება, რომ 24 წლის ქართველ ნახევარმცველ **დავით თარგამაძეს** კარიერის გაგრძელების ახალი ვარიანტი გამოუჩნდა. „კომანდას" ცნობით, თარგამაძე ოდესის „ჩერნომორეცში" გადადის. შეგახსენებთ, რომ თარგამაძე „შახტარს" ეკუთვნის და იჯარით „ილიჩევეცში" გამოდის, თუმცა მას და **თორნიკე ოქრიაშვილს** ამ გუნდში თამაში აღარ სურთ და არც აპირებენ.

ამ სეზონში თარგამაძის ანგარიშზე მხოლოდ 6 მატჩია, რომლებშიც მხოლოდ 1 გოლის გატანა შეძლო. „ჩერნომორეცი" 32 ქულით მე-5 ადგილზეა უკრაინის ჩემპიონატში.

## ანანიძე სეზონის რჩეულებში

გამოცემა Соккер.Ру აგრძელებს რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო 11-ეულის შერჩევას I ეტაპის შემდეგ. ახლა ჯერი მარცხენა ნახევარმცველებზე მიდგა და 6 კანდიდატს შორის „როსტოვში" მოთამაშე ქართველი შემტევი **ჯანო ანანიძეცაა.**

*„ჯანო ანანიძეს როსტოვული იჯარა ძალიან მოუხდა. ეს ბიჭი კარგად ჩაეწერა მიოდრაგ ბოჟოვიჩის გუნდის ტაქტიკაში. „ყვითლების" ნახევარმცველებმა კარგად შეისწავლეს ძიუბას უპირატესობები წინა ხაზზე, მაგრამ ყველაზე უკეთ ეს მაინც ჯანომ იცის. ანანიძეს პლეიმეიქერის ღირსებები აქვს და ნებისმიერ მომენტში შეუძლია მეტოქის დაცვის ხაზის „გაჭრა" ერთი პასით. მიილებს სათამაშო პრაქტიკას ჯანო „როსტოვში" და დაბრუნდება „სპარტაკში", სადაც ხურადოს შემადგენლობიდან ამოგდებას შეეცდება. რატომაც არა?"* - წერს რუსული გამოცემა.

აქვე გეტყვით, რომ მკითხველებმა 6 კანდიდატიდან ერთი უნდა შეარჩიონ. ჯანოს კონკურენტები არიან: **მიგელ დანი** (ზენიტი), **ხოსე მანუელ ხურადო** (სპარტაკი), **ჟოაო ზინიო** (კრასნოდარი), **ანდრეი არშავინი** (ზენიტი) და **გიოკჰან კარადენიზი** (რუბინი).

■ ■ ■

ამასობაში რუსულმა მედიამ გაარკვია კონტრაქტის დეტალები, რომლის მიხედვითაც, **ჯანო ანანიძის** და **არტიომ ძიუბას** იჯარა სეზონის ბოლომდე გაგრძელდა. ალმოჩნდა, რომ „სპარტაკს" ძიუბას დაბრუნების უფლება სეზონის ბოლომდე აღარ აქვს.

ჯანოს შემთხვევა კი სხვაგვარია - მოსკოვურ კლუბს ნებისმიერ მომენტში შეუძლია დაარღვიოს შეთანხმება და ქართველი უკან გამოიხმოს, მაგრამ რუსული მედია იმასაც ამტკიცებს, რომ ეს ნაკლებად მოსალოდნელია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

აქტუალური თემა

# სამწვრთნელო კარუსელი

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: 2013/14 წლების უმაღლესი ლიგის გათამაშება განსაკუთრებული რომ უნდა ყოფილიყო, ვშიშობთ, ყველაზე სკანდალურ-სამარცხვინო არ გამოდგეს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში! ჰო, სამწუხაროდ, მართლაც ასეა: ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ XXV ჩემპიონატს რეალურად ემუქრება სკანდალური ფინიში. უფრო ზუსტად, ჯერ ის არის საკითხავ-გასარკვევი, რამდენი გუნდი შეძლებს 2014 წლის თებერვალში სეზონის განახლებას: უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე 12 გუნდიდან მხოლოდ ორგან („დინამოსა" და „ჩიხურაში") არ არის კატასტროფული სიტუაცია, დანარჩენები კი მეორე ეტაპს გამესამედებულ-გამეოთხედებული ბიუჯეტით ან კიდევ... სულაც უფულოდ ხვდებიან!
თუმცა, ვერც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ვერც საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს უმოქმედობაში ვერავინ ადანაშაულებს: დღე არ გავა, ამ ორი უწყების ხელმძღვანელები ქართული საფეხბურთო კლუბების წარმომადგენლებს არ შეხვდნენ და ამ „უეცრად თავსატეხილ" პრობლემაზე არ იმსჯელონ.
არანაკლებ გაურკვევლობაში არიან იმ ათი გუნდის ფეხბურთელებიც: ჩვენთან ხომ ლამის ტრადიციასავით დამკვიდრდა მოთამაშეებთან ექვსთვიანი კონტრაქტების გაფორმება; ჰოდა, წარმოიდგინეთ, ზამთრის სატრანსფერო „ბაზარზე" რამდენი „თავისუფალი აგენტის" სტატუსის მქონე ფეხბურთელი გამოჩნდება და სად უნდა გადანაწილდეს ეს არცთუ მცირერიცხოვანი ჯგუფი, დღესდღეობით, მართლაც ძნელი სათქმელია. თანაც, როგორ გგონიათ, მხოლოდ იმ ათი გუნდის ფეხბურთელების მომავალია ბურუსით მოცული?
აი, ორი დღის წინ არ იყო, თბილისის „დინამომ" ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სამ ფეხბურთელს ოფიციალურად რომ გაუწყვიტა შრომითი ხელშეკრულება, კიდევ შვიდი კი ტრანსფერზე რომ დააყენა? არადა, ამ ათივე ფეხბურთელს (გივი კვარაცხელია, გიორგი მერებაშვილი, ლევან ხმალაძე, ელგუჯა გრიგალაშვილი, გიორგი სეთურიძე, ომარ მიგინეიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, გიორგი მიქაბერიძე, დავით ხოჭოლავა, ირაკლი ლექვთაძე) წესითა და რიგით, ნებისმიერ ქართულ გუნდში მოწყობა არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ, იმ დანარჩენ ჩვენს კლუბებში დღესდღეობით რა სიტუაციაც არის, რა პირობები უნდა შესთავაზონ ჩვენ მიერ ნახსენებ ფეხბურთელებს?
თუმცა, ეს კიდევ არაფერი: არანაკლებ „საინტერესო" სიტუაციაა... მწვრთნელებთან მიმართებაშიც! ჰო, აი, ასეთი რამ კი, 1990 წლიდან მოყოლებული, ნამდვილად ვერ გაგვიხსენებია: პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ ორად-ორი მწვრთნელიღა შემორჩა, რომლებმაც სეზონი თავიანთ გუნდში დაიწყო: სოსო ფრუიძე („ჩიხურა") და ზურაბ ბერიძე („ვიტ ჯორჯია")! ვერაფერს ვიტყვით, მართლაც „განსაკუთრებული" სეზონი გამოვიდა: XXV ჩემპიონატის სტარტიდან მოყოლებული დღემდე თორმეტგუნდიან უმაღლეს ლიგაში უკვე 15 (!) სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა!..


გურამ ღოლენჯაშვილის ფოტო
სოსო ფრუიძე


გურამ ღოლენჯაშვილის ფოტო
რგი დარასელია


გურამ ღოლენჯაშვილის ფოტო
მალხაზ ჟვანია


გია გეგუჩაძე

## ფრუიძის სარეკორდო ნიშნული

...ამა წლის პირველ ნოემბერს „ლელოში" სწორედ სამწვრთნელო „კარუსელის" თაობაზე ვწერდით და ისიც ვივარაუდეთ, რომ იმ დროისათვის მომხდარი ხუთი სამწვრთნელო გადაადგილება ჯერ მხოლოდ დასაწყისი იყო: არადა, ის გვიკვირდა, ცხრა ტურის მერე ხუთი სამწვრთნელო ცვლილება მოხდა-თქო და წინა სეზონის ამ პერიოდთან გავავლეთ პარალელი (2012/13 წლების სეზონშიც, 9 ტურის შემდეგ 5 სამწვრთნელო გადაადგილება იყო მომხდარი).

ისე, რახან წინა სეზონი ვახსენეთ, ბარემ საერთო მაჩვენებელიც ვთქვათ: 11 სამწვრთნელო გადაადგილება უშუალოდ ჩემპიონატის მსვლელობის დროს მოხდა, ხოლო სამმა მწვრთნელმა (**გია გეგუჩაძე, ელგუჯა ქომეთიანი, ვალდას ივანაუსკასი**) გუნდი სეზონის დასრულების შემდეგ დატოვა. აი, ახლა კი, მართლაც „უნიკალურ" და სარეკორდო მაჩვენებელთან გვაქვს საქმე: 1 ნოემბრიდან დღემდე (ანუ, არასრული ორი თვის განმავლობაში) უმაღლეს ლიგაში 10 (!) სამწვრთნელო გადაადგილება მოხდა! მოკლედ, ბოლო წლების „აბსოლუტურ რეკორდამდე" არც არაფერი უკლია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ დღესდღეობით არსებულ სიტუაციას და არც ის გაუკვირდეს ვინმეს, რომ რამდენიმე გუნდში მწვრთნელმა მეორე ეტაპის განახლებამდეც შეიცვალოს.

ბარემ, ბოლო წლების ის „აბსოლუტური რეკორდიც" ვახსენოთ: 2011/12 წლების სეზონში 22 სამწვრთნელო გადაადგილება ვიხილეთ და 12 გუნდიდან მხოლოდ ერთგან ჰქონდა მწვრთნელს აბსოლუტური ნდობა; თანაც, ეს გუნდი უმაღლესი ლიგის დებიუტანტი იყო და მწვრთნელიც სადებიუტო სეზონს ატარებდა უმაღლეს ლიგაში: მარტვილის „მერანსა" და ამ გუნდის აწ უკვე ყოფილ თავკაცზე, **მალხაზ ჟვანიაზე** მოგახსენებთ. სხვათა შორის, ჟვანიამ წინა სეზონიც სრულად ჩაატარა უმაღლეს ლიგაში, ისე როგორც - **დუშან უჰრინმა** (თბილისის „დინამო"), **გია გეგუჩაძემ** („ტორპედო"), **სოსო ფრუიძემ** („ჩიხურა") და **გია გურულმა** (ბათუმის „დინამო").

ჟვანიამ ეს სეზონიც უმაღლეს ლიგაში „მერანთან" ერთად დაიწყო, თუმცა VIII ტურის მერე პირველ ლიგაში მოასპარეზე თბილისის „დინამო-2" ჩაიბარა, აი, 6 დეკემბერს კი უკვე „დინამოს" ძირითადი გუნდის მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლადაც წარადგინეს. სამაგიეროდ, სამწვრთნელო კარიერაში „წყვეტა" არა აქვს „ჩიხურას" თავკაცს **სოსო ფრუიძეს**: გამოცდილი სპეციალისტი საჩხერელთა გუნდს, საერთოდაც, 2007 წლიდან წვრთნის და „გადაბმულად" ერთ გუნდში მოღვაწეობის მის მაჩვენებელს დიდი ხნის განმავლობაში, ალბათ, ვერავინ გააუმჯობესებს.

აქვე, ისიც ვთქვათ, რომ სოსო ფრუიძეს გარჯა დაუფასდა: რამდენიმე დღის წინ, „ჩიხურამ" კლუბის ისტორიაში პირველი ტიტული მოიპოვა - საქართველოს სუპერთასი!

## სამწვრთნელო სუსხი

ამ სეზონში, ნოემბრამდე მომხდარ სამწვრთნელო გადაადგილებებზე ადრეც ვწერდით, ახლა კი, არასრულ ორ თვეში რაც მოხდა, იმას შეგახსენებთ. ჰო, XXV ჩემპიონატს ნოემბერ-დეკემბერში მხოლოდ სუსხიანი ამინდები არ სდევდა თან - კვირა არ გავიდოდა, რომელიმე გუნდში მწვრთნელი არ შეეცვალათ! შემოდგომა-ზამთრის მიჯნაზე პირველი „მსხვერპლი" **რატკო დოსტანიჩი** აღმოჩნდა: საპასუხო მერვედფინალში „ზესტაფონმა" რომ „სიონს" ვერ აჯობა, სერბ სპეციალისტს კეთილი სურვილებით დაემშვიდობნენ.

სხვათა შორის, სწორედ იმ მატჩში იყო, „სიონის" გენერალურმა დირექტორმა **ლადო ბურდულმა** მწვრთნელობაც რომ შეითავსა და წარმატებულადაც: იმის შემდეგ ბოლნისელთა კლუბი წაუგებლად ასპარეზობს.

...ისევ „ზესტაფონს" დავუბრუნდეთ: იმერული კლუბი XI ტურში მოედანზე **ლევან ბაჯელიძისა** და **გიორგი მიქაძის** „დუეტმა" გამოიყვანა, აი, ამის შემდეგ კი გუნდის მთავარი მწვრთნელი ოფიციალურად გახდა **გია გეგუჩაძე**, - „ზესტაფონის" ისტორიაში, უდავოდ, ყველაზე წარმატებული სპეციალისტი! გეგუჩაძე „ზესტაფონსა" და უმაღლეს ლიგას XII ტურში დაუბრუნდა; სწორედ ამ ტურში ვიხილეთ კიდევ ერთი სამწვრთნელო სიახლეც: **კობა ნიტაიშვილის** ნაცვლად „ზუგდიდი" მოედანზე **ოთარ თუთბერიძემ** გაიყვანა, უკვე მომდევნოში კი „ზუგდიდს" ოფიციალურად ახალი მწვრთნელი მოძღვრავდა: **გიორგი დარასელია** საქართველოს ჩემპიონატს 11-თვიანი პაუზის მერე დაუბრუნდა.

აი, ამის შემდეგ კი ამ სეზონის ყველაზე „ხმაურიანი" გადაადგილება მოხდა: წინა სეზონში „დუბლის" შემსრულებელი **დუშან უჰრინი** მიმდინარე გათამაშებაში ერთპიროვნული ლიდერის რანგში დაგვემშვიდობა და სამშობლოში, ჩეხეთში დაბრუნდა („დინამოში" მისი ადგილი რომ **მალხაზ ჟვანიამ** დაიკავა, ამაზე ზემოთაც ვისაუბრეთ);

ამ ყველაფერს გაგრძელება დეკემბერშიც მოჰყვა: პირველი ეტაპის ბოლო ტური დასრულდა თუ არა, „გურიას" მთავარ მწვრთნელ **რომან პოკორას** კარისკენ მიუთითეს! არადა, შეგახსენებთ, რომ უკრაინელი სპეციალისტი „გურიაში" VII ტურის მერე დაინიშნა და მაშინაც და დღესაც, ბევრს უკვირდა, თუ რატომ მოხდა ლანჩხუთელთა გუნდის იმდროინდელი თავკაცის **დავით მახარაძის** ჩანაცვლება რომან პოკორათი.

თუმცა, პირველი ეტაპი ამით არ დამთავრებულა: ოფიციალურად ჯერ არ დადასტურებულა, მაგრამ ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია, რომ **ჟერარდ სარაგოსა** „ტორპედოს" მთავარი მწვრთნელი აღარ იქნება. ისე, არც ეს ფაქტი უნდა გაჰკვირვებოდა ვინმეს: ესპანელი სპეციალისტის ხელმძღვანელობით მოასპარეზე „ტორპედომ" ბოლო ცხრა ტურში 8 მატჩი წააგო.

ჰოდა, დღესდღეობით ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ უმაღლეს ლიგაში არც ერთი უცხოელი მწვრთნელი აღარ დაგვრჩა: რატკო დოსტანიჩს, დუშან უჰრინს, რომან პოკორასა და ჟერარდ სარაგოსას უკვე დავემშვიდობეთ; ოღონდ, ამ ოთხიდან ყველაზე ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ქართულ ფეხბურთში რაღაც კვალი დატოვაო...

**გია ტუხაშვილი**


დუშან უჰრინი


გურამ ღოლენჯაშვილის ფოტო
კო დოსტანიჩი


გურამ ღოლენჯაშვილის ფოტო
ლადო ბურდული


რომან პოკორა



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერები

# სად მიდიან დინამოელები?

როგორც ვწერდით, თბილისის „დინამოში" დიდი ცვლილებებია. ცხადია, დავინტერესდით, სად გააგრძელებენ კარიერას გუნდიდან გაშვებული თუ ტრანსფერზე დაყენებული მოთამაშეები.

მოგეხსენებათ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე კლუბი დატოვეს **ლევან ხმალაძემ, გიორგი შაშიაშვილმა** და **ირაკლი ლექვთაძემ**. ამ უკანასკნელის არჩევანი ჯერ უცნობია. რაც შეეხება შაშიაშვილს, საქართველოს ნაკრების ყოფილმა მცველმა, შესაძლოა, კარიერა დაასრულოს და მუშაობა ბავშვთა ფეხბურთში გააგრძელოს. მას „დინამოს" აკადემიაში გადასვლა შესთავაზეს.

**ლევან ხმალაძე** კი, სავარაუდოდ, ბოლნისის „სიონში" ითამაშებს. იქიდანვე აქვს შეთავაზება **გია კვარაცხელიას**, რომელიც ტრანსფერზე დააყენეს. მაგრამ მას ჯერ „დინამოსთან" აქვს საკითხი გასარკვევი. გამოცდილ მცველს კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება და სანამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს არ შეუსრულებენ, მანამდე სხვა კლუბთან დალაპარაკებას არ აპირებს.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა კი ეროვნული ნაკრების წევრის **ელგუჯა გრიგალაშვილის** ტრანსფერზე დაყენება იყო. შესაძლოა, ეს იმით იყოს გამოწვეული, რომ ამ მომენტისთვის ის ერთ-ერთი საინტერესო მოთამაშეა და „დინამო" მისი ტრანსფერისგან ხეირს ელოდება.

იგივე ითქმის **გიორგი მერებაშვილზეც**, რომელმაც ჯერ კიდევ ევროთასების შემდეგ იცოდა, რომ კლუბმა საკადრო პოლიტიკის შეცვლა გადაწყვიტა და მაღალ ხელფასს ველარ გადაუხდიდა, თუმცა გუნდიდან წასვლა მისი ინიციატივა არ ყოფილა. გიორგის კონტრაქტი ერთ წელიწადში უმთავრდება და კლუბისგან მის განწყვეტას ითხოვს. მერებაშვილით რამდენიმე უცხოური კლუბია დაინტერესებული. თუმცა მისი ტრანსფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა თანხას მოითხოვს „დინამო".

24 წლის გრიგალაშვილი და 27 წლის მერებაშვილი ვეტერანებად ვერ ჩაითვლებიან. საერთოდ, თბილისის „დინამოსთვის" „ჩიხურასთან" სუპერთასზე მარცხი დამაფიქრებელი უნდა იყოს. ამ გუნდში „დინამოდან" გაშვებული 6 ფეხბურთელი თამაშობს და დიდწილად სწორედ მათი დამსახურებაა, სუპერთასი საჩხერეში რომ წავიდა. „დინამოს" საკადრო პოლიტიკა ყოველთვის გასაგები არ იყო...

თუმცა ახლა „დინამომ" რამდენიმე საინტერესო ტრანსფერიც განახორციელა. მაგალითად, „ვიტ ჯორჯიას" ცენტრალური ნახევარმცველი **გიორგი ჯანელიძე** თავის პოზიციაზე საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეულია და პერსპექტიული ფეხბურთელიცაა. იმავეს ვიტყვით ქუთაისის „ტორპედოდან" **გიორგი ხიდეშელის** დამატებაზეც. 25 წლის ცენტრალურმა მცველმა კარიერა ჩინებულად დაიწყო, მაგრამ 2011 წელს მიღებულმა ტრავმამ (ჯვარედინი იოგები გაუწყდა) მის თამაშს ლამის ჯვარი დაუსვა. კარგია, რომ ხიდეშელმა მოედანზე დაბრუნება და ქუთაისის „ტორპედოში" ფორმის აღდგენა მოახერხა.

„დინამოს" გამოცდილი **ირაკლი მოდებაძეც** გააძლიერებს. 29 წლის თავდამსხმელი ბოლო პერიოდში გორის „დილას" ლიდერი იყო. ამას გარდა, შესაძლოა, „დინამოში" „ჩიხურას" ცენტრალური მცველი **გიორგი რეხვიაშვილი** და „სიონში" განათხოვრებული **ლაშა პარუნაშვილიც** დააბრუნონ.

და კიდევ - ჯერჯერობით უცნობია, მართლა აპირებს თუ არა „დინამო" „ვიტ ჯორჯიადან" თავდამსხმელ **ელგუჯა ლობჯანიძისა** და მეკარე **ნიკა დაუშვილის** დამატებას.

**მერაბ მამულაშვილი**


სად ითამაშებს გიორგი მერებაშვილი (მარცხნივ)

გამოხმაურება

# უკანონობა არავის შერჩება!

არახალია, რომ თბილისის „დინამოს" ბაზასთან გუნდის ფანების აქცია გაიმართა. გუნდიდან გაშვებულ და ტრანსფერზე დაყენებულ ფეხბურთელებთან დაკავშირებით „გლადიატორებმა" უკმაყოფილება გამოხატეს, რის შემდეგაც კლუბის სპორტულ დირექტორ **ირაკლი ვაშაკიძეს** შეხვდნენ.

ამ შეხვედრიდან ბევრი არაფერი გამოსულა და არც არაფერი თქმულა. გასაგებია, რომ კლუბი თავად წყვეტს, როგორი საკადრო პოლიტიკა გაატაროს. სიმართლე ითქვას, გუნდიდან წასული ზოგიერთი ფეხბურთელი მართლაც ვერ აკმაყოფილებდა იმ დონეს, რაც „დინამოს" ეკადრება. მაგრამ არსებობს იურიდიული მხარეც. „დინამოში" მომხდარ ცვლილებებს საქართველოს ფეხბურთელთა ასოციაციის დამფუძნებელი **ბესიკ აბაშიძე** გამოეხმაურა:

*„ვრცელდება ინფორმაცია, რომ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელების დიდ ნაწილს „გაახალგაზრდავების", „ბიუჯეტის შემცირების" თუ სხვა არასპორტული საფუძვლით კლუბი ხელშეკრულებებს უწყვეტს. მოვუწოდებთ ყველა იმ ფეხბურთელს, ვისაც ეგრეთ წოდებული „წმენდა" შეეხო, რომ „დინამოს" მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის მოტივით შეთავაზებულ არანაირ დოკუმენტზე ხელი არ მოაწერონ და მოგვმართონ დახმარებისთვის. ჩვენ მზად ვართ, თითოეული ფეხბურთელის ინტერესი დავიცვათ, როგორც ეს აქამდე გვიკეთებია და გარწმუნებთ, უკანონობა არავის შერჩება. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამკვიდრდეს ქართულ ფეხბურთში ხელშეკრულების პირობების პატივისცემა და თითოეულმა მხარემ უნდა იცოდეს, რომ ვალდებულების დარღვევა შესაბამის პასუხისმგებლობას იწვევს. თავად ფეხბურთელებმაც უნდა იაქტიურონ. რამდენიმემ უკვე მოგვმართა და შესაბამისი რეაგირება მოხდება. ფიფას დავების განმხილველი საბჭოს გადაწყვეტილებით, ფეხბურთელისთვის მოქმედი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის გამო, კლუბებს ფინანსური სანქცია ეკისრებათ. ეს დადგენილება 2013 წლის 27 თებერვალს ციურიხშია მიღებული".*

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრობლემა

# კლუბები პრემიერთან შეხვედრას ითხოვენ

საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბების წარმომადგენლები გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში კიდევ ერთხელ შეიკრიბნენ და არსებულ პრობლემებზე ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებთან ერთად იმსჯელეს.

შეხვედრას მხოლოდ ქუთაისის „ტორპედოს“ წარმომადგენელი არ ესწრებოდა, რადგან კლუბში დიდი ცვლილებებია და, შესაძლოა, გუნდი ქუთაისის მერიამ გადაიბაროს...

ფედერაცია კი სოლიდური შემადგენლობით იყო წარმოდგენილი: პრეზიდენტი **ზვიად სიჭინავა**, გენერალური მდივანი **რევაზ არველაძე** და ვიცე-პრეზიდენტები - **ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა** და **გია ფირცხალავა**.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** „ლელოსთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ დაფინანსებისა და სხვა სახის საფეხბურთო პროექტები ფედერაციამ უნდა წარადგინოს. კლუბები კი პასუხს სამინისტროს სთხოვენ და მიიჩნევენ, რომ მათ სატკივარს სამინისტრო ვერ მოაგვარებს და პირდაპირ პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილთან** შეხვედრა და საკითხის მთავრობის სხდომაზე გატანა მოითხოვეს. თუმცა, პარასკევს, შესაძლოა, მინისტრს მაინც შეხვდნენ.

გუშინ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტმა **რომან ფიფიამ** ასეთი რამ თქვა - კერძო მესაკუთრეები მუნიციპალურ კლუბებს გვერდით დავუდგებითო. ეს ბევრს ნიშნავს, რადგან პროფლიგაზე დაწყებული მსჯელობის დღიდან, კერძო და სახელმწიფო კლუბები აქამდე ერთმანეთში კინკლაობდნენ.

ამავე დროს, კერძო კლუბები ითხოვენ, რომ სახელმწიფოსგან ყველამ თანაბრად მიიღოს დაფინანსება, თანაც, წელიწადში, მინიმუმ - მილიონი ლარი. სხვაგვარად, შესაძლოა, ბევრმა კლუბმა ჩემპიონატში ველარ ითამაშოს. პრობლემებია „ზუგდიდში“, „გურიაში“, „სიონში“, „ტორპედოში“, „მერანში“, „ვიტ ჯორჯიაში“... არავინ იცის, რა ბედი ელის „ზესტაფონს“ და ასე შემდეგ.

ზვიად სიჭინავამ კი კლუბებს მოუწოდა - მხოლოდ ფულის მოთხოვნით არ შემოიფარგლოთ, გლობალური მოთხოვნები ჩამოაყალიბეთო. სფფ-ის პრეზიდენტი ამბობს, რომ სახელმწიფომ ფული უნდა ჩადოს და კლუბებს განვითარებაში დაეხმაროს, რაც 3 წლის შემდეგ ყველა კლუბის განკერძოების საფუძველი გახდება.

**მერაბ მამულაშვილი**

# გუნდებზე, ბიუჯეტსა და მინიმუმზე

## ვის ეყოფა 665 ათასი ლარი?

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სხდომაზე „გურიას“ ბიუჯეტი დაუმტკიცეს - 2014 წელს კლუბმა 665 ათასი ლარი უნდა იმყოფინოს.

*„იმხელა ვალი გვაქვს, წინასწარ ვამბობ - 665 ათასი ლარი ჩემპიონატში გუნდის მონაწილეობისთვის არასაკმარისია. ბანკის 400-ათასლარიანი დავალიანების გასტუმრებას ლანჩხუთის გამგეობა და მუნიციპალიტეტი გვპირდებიან, მაგრამ კლუბს სხვა დავალიანებაც აქვს. ამ თანხას ბიუჯეტიდან კიდევ რამეს დავამატებთო, მაგრამ როდის და რამდენს, ეს ჯერ არავინ უწყის. სპონსორებთან მოლაპარაკება ჯერ არ დასრულებულა, სახელმწიფოსთან კონსულტაციების მიუხედავადაც, დღემდე კონკრეტული შედეგები არ ჩანს და წარმოდგენა არ მაქვს, გუნდი როგორ იარსებებს“*, - ამბობს „გურიას“ გენერალური დირექტორი **კობა მირზაშვილი**.

ვფიქრობთ, ლანჩხუთელთა მაგალითით კარგად ჩანს, უმაღლესი ლიგის მონაწილეს წლიურად რა ოდენობის ბიუჯეტი ესაჭიროება. შეგახსენებთ, რომ „გურიას“ ხელმძღვანელობა ადგილობრივ ხელისუფლებას 1.7 მილიონ ლარს სთხოვდა. მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა - ლანჩხუთის ბიუჯეტი სულ 4 მილიონ ლარამდეა და 1.7 მილიონ ლარს „გურიას“ ვერ მისცემენ. თუმცა ესეც ერთგვარი ვაჭრობაა, რომლის მიზანიც გუნდისთვის რაც შეიძლება მეტი თანხის მოპოვებაა.

საკრებულოც ვაჭრობდა. თავიდან თქვეს, 300 ათასს მოგცემთო. მაგრამ ხომ იცოდნენ, რომ მეტი უნდა გაეცათ და საბოლოოდ, რაც გადაწყვიტეს, უკვე გითხარით. ამ დროს კი „გურიას“ ბანკებისა და ფეხბურთელების 400-ათასიანი ვალი დაუბრუნდა. პლუს, ხელმძღვანელობისა და ფეხბურთელებისთვის გასაცემი ხელფას-პრემიების ოდენობა 350 ათასამდე ავიდა. ასე რომ, 750 ათასი ვალში უნდა წავიდეს, ანუ „გურიას“ მთელი ბიუჯეტი ვალებს მოხმარდება და 85 ათასი კიდევ გასასტუმრებელი დარჩება. ანუ გუნდს თეთრიც არ დარჩება, სპონსორების იმედი ჯერაც ილუზორულია და დიდი ალბათობით, 2014 წელი ლანჩხუთური გუნდისთვის ძალიან მძიმე იქნება. კი არის დაპირება, რომ 400 ათასს სახელმწიფო გაუსტუმრებს, მაგრამ რომ არ გადაუხადოს, „გურიას“ ჩემპიონატში მონაწილეობისა და შემდეგ თუნდაც პირველ ლიგაში სათამაშო სახსრებიც აღარ რჩება.

საფეხბურთო კლუბების მმართველებს ვკითხეთ და დავაზუსტეთ: მინიმალური გათვლებით, კლუბს გასვლით შეხვედრებზე 1000-დან 4500 ლარამდე ეხარჯება. ავტობუსის დაქირავებას 800-დან 1400 ლარამდე სჭირდება - გააჩნია, მატჩს ახლოს მართავს თუ შორს. სასტუმროში დაბინავება, სულ ცოტა, 2500 ლარადაა შესაძლებელი და ამაში კვებაც შედის. მაგრამ მატჩის შემდეგ დაღლილ-დაქანცული მოთამაშეების გზაში დანაყრება ცალკე ხარჯია, რაშიც, სულ მცირე, 400-500 ლარი იხარჯება. ლანჩხუთის მდებარეობიდან გამომდინარე, გუნდს ეს ხარჯები საგრძნობლად ეზრდება.

მაგრამ არის ერთი შეღავათიც - მოგეხსენებათ, „გურია“ საკუთარ მოედანზე ვერ თამაშობს და საშინაო მატჩებისთვის ქობულეთის სტადიონი 1000 ლარად უნდა ექირავა. მაგრამ „გურიას“ გვერდით დაუდგა ქობულეთის „შუქურას“ პრეზიდენტი, „ჩელე არენის“ დირექტორი **რევაზ ჩელებაძე** და იჯარის თანხაზე უარი თქვა. ლანჩხუთელები ჩელებაძის მადლიერები არიან.

გარდა ზემოთქმულისა, უმაღლესი ლიგის მონაწილე „გურია“ (ისევე, როგორც სხვები) კიდევ სამ გუნდს ინახავს - ისინი დუბლებისა და ჭაბუკთა ლიგის ორ ასაკობრივ ჩემპიონატში თამაშობენ.



მთლიანობაში, ერთ ტურში გუნდის ხარჯი 4-დან 7 ათას ლარამდე მერყეობს.

მოდით, მინიმალურ ზღვრად 5 ათასი ლარი ავიღოთ. მთელი წლის განმავლობაში გუნდი 40 მატჩს ატარებს, აქედან ოცს - გასვლაზე. თითოეულზე, მინიმუმ 5 000 ლარი რომ დაიხარჯოს, მარტო გასვლით შეხვედრებზე მოკრძალებული მგზავრობისთვის წელიწადში 100 ათასია საჭირო.

უმაღლეს ლიგაში გუნდის მინიმალური სახელფასო ფონდი 50 ათასი ლარია, ესეც - ყველაზე ღარიბ გუნდში. უმრავლესობას კი ხელფასებში 100 ათასიდან 300 ათას ლარამდე ეხარჯება. პლუს, თანხის 20 პროცენტი საშემოსავლო გადასახადებში მიდის. გამოდის, რომ ტრანსპორტირებისა და სახელფასო ფონდის წლიური მინიმუმი 700 ათას ლარს აღწევს.

გასათვალისწინებელია წელიწადში ორი შეკრების სახსრებიც: საქართველოში ორკვირიან მომზადებაზე 25 ათასი ლარი მაინც იხარჯება, თურქეთში - 20 ათასი დოლარი. ესეც თქვენი 750 ათასი.

ჩვენ კიდევ მინიმალურ თანხებს ვასახელებთ, მაგრამ რეალურად ესეც რომ არასაკმარისია, ვერავინ იდავებს. კლუბი უვლის სტადიონს, კისერზე აწევს სეზონის მიმდინარეობისას გუნდის ხანმოკლე შეკრებაზე გადასვლისა და კიდევ სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. ასეთი გუნდები კი ვერც ვერაფერს აღწევენ და ვერც ფეხბურთელებს ზრდიან, რაც ამ შემთხვევაში უმთავრესი პრობლემაა.

**მერაბ მამულაშვილი**

ამერიკული ფეხბურთი საქართველოში



გამარჯვებული გუნდი

# უკვე სამი ჩემპიონატი

ამერიკული ფეხბურთი აშშ-ში ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში. პირველი მატჩი ფეხბურთის მოედანზე ჩატარდა 1869 წლის 6 ნოემბერს ნიუ-ჯერსის შტატის ორ უნივერსიტეტს შორის. ფორმისა და შინაარსის ცვლილებების შემდეგ სპორტის ამ სახეობამ დღევანდელი სახე 1905 წლისთვის მიიღო. ამჟამად 80-ზე მეტ ქვეყანაში თამაშობენ.

საქართველოში ამერიკული ფეხბურთის ფედერაცია შეიქმნა 2011 წლის ივნისში. გაწევრებულია ევროპის აფფ-ში. უკვე ჩატარდა საქართველოს 3 ჩემპიონატი ფლაგ ფეხბურთში (ამერიკული ფეხბურთის ნაირსახეობა - 5X5).

ამ დღეებში გაიმართა მესამე ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები. გამეორდა შარშანდელი ფინალი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ჰუმანიტარული უნივესიტეტის შეხვედრაში გაიმარჯვეს ჰუმანიტარებმა 30:8. მესამე ადგილი წილად ხვდა კავკასიის უნივერსიტეტს.

ჩამოყალიბდა საქართველოს ნაკრები, რომელიც კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩაერთვებიან 2014 წლის ფლაგ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატში.

**ლუკა ქირია**

ინტერვიუ

**ხშირად** გაიგებთ, ამა თუ იმ ფეხბურთელს კლუბთან კაბალური კონტრაქტი აქვსო. ასეთი რამ საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოში და სხვა განვითარებად ქვეყნებშიც. ცხადია, ფეხბურთელების ინტერესები ვილაცამ უნდა დაიცვას, კლუბს მონათმფლობელური დამოკიდებულება არ უნდა ჰქონდეს მოთამაშესთან. ფეხბურთელის ინტერესის დაცვა, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ კლუბი აღმოჩნდეს წამგებიან მდგომარეობაში. დალაგებულ ქვეყნებში ყველას ინტერესია გათვალისწინებული, თუმცა იქაც ხდება გამონაკლისები.

საქართველოს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაცია წლეულს, 8 ოქტომბერს შეიქმნა. მისი პრეზიდენტი ჯაბა მუჯირი გახლავთ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების, თბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და ისპაჰანის „სეპაჰანის“ ყოფილი ფეხბურთელი.

ჯაბა მუჯირს რამდენიმე კითხვა დავუსვით...

ჯაბა მუჯირი

# კონტრაქტში ისეთი პირობებია, ფეხბურთელი დაუცველი გამოდის

**- თქვენი ორგანიზაციის უახლოეს პროექტებზე რას გვეტყოდით?**

- 26 დეკემბერს სკა-ს დარბაზში საქველმოქმედო მატჩი გაიმართება ჩვენი ორგანიზაციის ინიციატივით. კახა ახალაძე თამაშობდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში, ფუტსალის ეროვნულ ნაკრებში და რეაბილიტაციისთვის დახმარება სჭირდება. ამ საქველმოქმედო თამაშში ერთმანეთს შეხვდებიან საქართველოს ფუტსალის ნაკრები და ახალაძის მეგობრები: ლადო დვალიშვილი, რატი ალექსიძე, გიორგი დემეტრაძე, ლევან ცქიტიშვილი, ლაშა სალუქვაძე, რევაზ გოცირიძე... შეხვედრა 14 საათზე დაიწყება, ბილეთები არ გაიყიდება, დახმარების მსურველებს იქვე შეეძლებათ შემოწირულობის გაღება.

**- რამდენი მოთამაშეა გაწევრიანებული საქართველოს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციაში?**

- დაახლოებით 200, მეტწილად საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგიდან, ცოტაც პირველი ლიგიდან. ამ ფეხბურთელებს ვუწევთ უფასო იურიდიულ კონსულტაციას, ხოლო დავის წარმოშობის შემთხვევაში, ვიცავთ მათ ინტერესებს. გვაქვს მეორე მიმართულებაც - საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელების პოპულარიზაცია. სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფთან“ ერთად დავბეჭდეთ ბარათები, რომლის მფლობელსაც სამოცდაათამდე ორგანიზაციაში ექნება ფასდაკლება. ამ პროექტით ფეხბურთელს მნიშვნელოვანი შეღავათები ექნება და ამავე დროს სახელობითი ბარათის სარგებლობით ის უფრო ცნობადი გახდება საზოგადოებისთვის.

**- ამ ასოციაციაში გაწევრიანებული ფეხბურთელები საწევროს იხდიან?**

- საწყისი პირველი წლის განმავლობაში არანაირი საწევრო არ იქნება, მერე გვინდა დავაწესოთ საწევრო გადასახადი, რაც მხოლოდ სიმბოლური თანხა იქნება.

**- როცა ფეხბურთელების ინტერესების დაცვაზე მიდგება საქმე, მთავარი პრობლემა რა არის?**

- გაუმართავი კონტრაქტი კლუბსა და ფეხბურთელს შორის, რომელშიც ისეთი პუნქტებია, რომ ფეხბურთელი, ფაქტობრივად, დაუცველი გამოდის. ხშირად ისე ხდება, რომ ფეხბურთელი კონტრაქტზე ხელის მოწერის დროს მხოლოდ ხელშეკრულების ვადას და ხელფასის ოდენობას აქცევს ყურადღებას, არადა, ასე არ უნდა ხდებოდეს. პრობლემები რომ წარმოიქმნება, მერეღა აღმოაჩენენ ხოლმე ხელშეკრულების დანარჩენ პირობებს. ჩვენი მიზანია, ფეხბურთელს ამ ყველაფერში დავეხმაროთ. ხელშეკრულებაში ორივე მხარის ინტერესი თანაბრად იყოს დაცული.



ჯაბა მუჯირი

**- ამ ეტაპზე რომელ სადავო საკითხზე მუშაობთ?**

- ასეთი ორი საქმეა: გიორგი ალავერდაშვილი და რუმინული „გაზ მეთანი“, ლადო ზუხბაია და ცხინვალის „სპარტაკი“. ამის პარალელურად, ვარკვევთ სიტუაციას თბილისის „დინამოს“ მიერ ტრანსფერზე დაყენებულ ფეხბურთელებთან მიმართებაში.

**- 2014 წლისთვის რომელი ახალი პროექტების განხორციელებას აპირებთ?**

- ახალი პროექტები აუცილებლად იქნება. ახლახან „თბილისი მოლში“ თავისებური ფლეშმობი გავაკეთეთ, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მოთამაშეებმა ფეხბურთი ითამაშეს. ეს რგოლი მალე აიტვირთება ინტერნეტსივრცეში.

**დავით თავართქილაძე**

გამოხმაურება

# პასუხი რედაქციას!

გამოხმაურება „ლელოს“ გუშინდელ ნომერში გამოქვეყნებულ წერილზე „ქართული ფეხბურთის აპოკალიფსი“

ვერის პარკში, „გრატოს“ შენობის გვერდზე მდებარე სტადიონი 6 წელიწადია ამორტიზირებულია და არ ფუნქციონირებს. ამავე პარკში ასევე დაზიანებული იყო და არ ფუნქციონირებდა საჩოგბურთო კორტები. ორივე ობიექტი ბოლო 20 წელიწადია არ გარემონტებულა და მათი გამოყენება, უბრალოდ, შეუძლებელი იყო, გადაქცეული იყო ნაგავსაყრელად.

კომპანია „გრატოს“ დაფინანსებით, გარემონტდა და გაახლდა კორტები, მის გვერდით მოეწყო საფეხბურთო სტადიონი, აშენდა საშხაპეები და ტრიბუნები. სანაცვლოდ კომპანიამ მიიღო უფლება, მოეწყო ავტოსადგომი „გრატოს“ მიმდებარე დაზიანებულ სტადიონზე.

ასე რომ, ამჟამად ფუნქციონირებს განახლებული სტადიონი და კორტები, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე მოგვარდა პარკინგის პრობლემა არა მარტო „გრატოს“, არამედ მთლიანად უბნისთვის და ფილარმონიისათვის. ასეთია რეალობა.





საფეხბურთო მოედანი და კორტები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა. I წრის ტენდენციები

# პეპის გრძელი სერია და სხვები

## დორტმუნდი, მსაჯები, მეკარეები - ბაიერნის გარდა ყველა კრიზისშია

რაკი „ბაიერნმა" წინა სეზონში ჰეთ-თრიკი შეასრულა და მიუხედავად ამისა, მწვრთნელი შეეცვალა, **ხოსეპ გვარდიოლას** ფორმაციის რეკორდმაისტერს ბევრი მძიმე სტარტს უწინასწარმეტყველებდა - პეპი ბევრ რამეს შეცვლის, გუნდისა და მისი ტაქტიკა-სტრატეგიის დალაგებას თავის ჭკუაზე დაიწყებს და ამ პროცესს აუცილებლად მოჰყვება თავდაპირველი ჩავარდნაო. ამგვარი ვარაუდები არ გამართლდა: „ბაიერნმა" სეზონის პირველი ნახევარი იდეალურად ჩაატარა, აბსოლუტური დომინანტის როლში მოგვევლინა და ბუნდესლიგის პირველი წრის დასრულების შემდეგ ეჭვი ოდნავადაც არ გვეპარება იმაში, რომ მიუნხენური გრანდი გერმანიის ჩემპიონის ტიტულს შეინარჩუნებს. მიუხედავად „ბაიერნის" ასეთი დომინირებისა, ბუნდესლიგა მოსაწყენი არ გამხდარა. სეზონის პირველი ნახევრის ტოპ-მატჩს „დორტმუნდსა" და „ბაიერნს" შორის ბუნდესლიგისთვის უპრეცედენტოდ ბევრი, სარეკორდო რაოდენობის მაყურებელი ჰყავდა.

### ბაიერნის დომინაცია

ხოსეპ გვარდიოლას ხელმძღვანელობით „ბაიერნმა" ბუნდესლიგაში არც ერთი მატჩი არ წააგო - 16-დან 14 მოიგო და მხოლოდ ორში დასჯერდა ფრეს. თუკი მიუნხენელები „შტუტგართან" იანვრის ბოლოსთვის გადადებულ მე-17 ტურის მატჩსაც მოიგებენ, მეორეადგილოსთან „ლევერკუზენთან" 10-ქულიანი უპირატესობა ექნებათ. ასეთი შედეგებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ რეკორდმაისტერი მორიგ რეკორდებს ამყარებს და ახალ რეკორდებსაც უმიზნებს. მაგალითად, გვარდიოლა ბუნდესლიგის ისტორიაში პირველი მწვრთნელი გახდა, რომელმაც გერმანიაში მუშაობის დაწყების შემდეგ ზედიზედ 16 თამაში არ წააგო.

გარდა ამისა, პირველ წრეში „ბაიერნმა" წაუგებელი სერია 41 მატჩამდე გაზარდა, რაც ასევე რეკორდია და თუ „შტუტგარტსაც" მოუგებს, ბავარიული გრანდი პირველი იქნება, რომელმაც პირველ წრეში 15 მატჩი მოიგო.

„ბაიერნის" ნომერ პირველ კონკურენტად, რა თქმა უნდა, დორტმუნდის „ბორუსია" მიიჩნეოდა, მაგრამ **იურგენ კლოპის** გუნდს ტრავმიანობა და დაცვაში შექმნილი პრობლემები დაატყდა თავს, პირველი წრე მეოთხე ადგილზე დაასრულა და სასწაული უნდა მოხდეს, სეზონის მეორე ნახევარში რეკორდმაისტერს კონკურენცია მაინც რომ გაუწიოს.

### დაძაბულობა

მიუხედავად „ბაიერნის" დომინირებისა, გერმანიის პირველობა უინტერესო ნამდვილად არ გამხდარა. უაღრესად დაძაბული ბრძოლაა ევროსაგზურებისა და გადარჩენისთვის. სატურნირო ცხრილში შუალედი ფაქტობრივად არ არსებობს, რადგან მესამე და მეშვიდე, ასევე მეათე და მე-16 ადგილებს შორის განსხვავება მხოლოდ და მხოლოდ 5 ქულაა. განსაკუთრებით პირველი წრის ბოლო ტურში დავრწმუნდით, რომ თუ „ბაიერნს" თავს დავანებებთ, ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ნებისმიერს ნებისმიერის დამარცხება შეუძლია - „დორტმუნდი" საკუთარ მოედანზე „ჰერტასთან" დამარცხდა, „ლევერკუზენი" კი - ფრანკფურტის „აინტრახტთან" და ბრემენის „ვერდერთან".

### მსაჯების შეცდომები

პირველ წრეში გერმანელმა არბიტრებმა იმდენი უპატიებელი შეცდომა დაუშვეს, რომ გერმანიის საფეხბურთო ლიგა უკვე აქტიურად ითხოვს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას. მართალია, სტატისტიკურად მსაჯების შეცდომების რაოდენობა დიდად არ გაზრდილა, სამაგიეროდ, იმატა აშკარა და უპატიებელმა შეცდომებმა.



მსაჯები შეცდომებს განსაკუთრებით გოლის ჩათვლა-არჩათვლის საკითხში უშვებდნენ. მაგალითად, პირველ წრეში **ტორსტენ კინჰიოფერმა** ჰოფენჰაიმელ **კევინ ფოლანდს** „ნიურნბერგთან" აშკარა გოლი არ ჩაუთვალა; ამას მოჰყვა **შტეფან კისლინგის** „გოლი-მოჩვენება" და კიდევ რამდენიმე ისეთი მომენტის გახსენება შეიძლება, როცა სიტუაცია მინიმუმ საკამათო იყო, „ჰანოვერისა" და „ნიურნბერგის" შეხვედრაში კი (3:3) მსაჯებმა „წითლების" ფორვარდ **მამე დიუფზე** ერთმეტრიანი თამაშგარე მდგომარეობა არ დააფიქსირეს, ამ უკანასკნელმა კი გაიტანა გოლი, რომლის გამოც „ნიურნბერგს" მოგებების გრაფაში ჯერ კიდევ ნული უწერია.

### გოლები, გოლები, გოლები

ბუნდესლიგა ამ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე უხვგოლიანი ლიგაა. 18-მა გუნდმა პირველ წრეში 486 გოლის გატანა მოახერხა, რაც ბუნდესლიგის ისტორიაში, 1985/86 წლების სეზონის შემდეგ საუკეთესო შედეგია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არის შანსი, მთელ სეზონში 1 000 გოლი გავიდეს, რაც ჯერ არასდროს მომხდარა. ყველაზე მეტი გოლი იმ მატჩებში გადიოდა, რომლებშიც „ჰოფენჰაიმი" მონაწილეობდა - 74.

### მეკარეების შეცდომები

ბევრი გოლი პირველ რიგში მეკარეების სისუსტეზე მეტყველებს. ეს განსაკუთრებით „ჰოფენჰაიმს" ეხება, სადაც **ტიმ ვიზეს** სარეზერვო გუნდში გადასროლის შემდეგ ორი მეკარე გამოიყენეს, მაგრამ იმედები ვერც ერთმა გაამართლა.

სტატისტიკოსებმა განვლილ 17 ტურში მეკარეების 30 მძიმე შეცდომა ალნუსხეს. შედარებისთვის, წინა სეზონში, ამ დროს 13 უპატიებელი შეცდომა იყო დათვლილი.

ამის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, ისიც იყოს, რომ ბუნდესლიგაში მოლვაწე მეკარეების ორი მესამედი 25 წლამდე ასაკისაა. ყველაზე დიდი კრიტიკა „ფრაიბურგის" კარის დარაჯ **ოლივერ ბაუმანს** დაატყდა, რომელმაც ერთ მატჩში სამი სერიოზული შეცდომა დაუშვა, თუმცა რეაბილიტაცია შეძლო და მომდევნო ტურში უკვე მონოდების სიმაღლეზე იდგა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ექსპერტები იმაზე ალაპარაკდნენ, რომ გერმანია მეკარეების ქვეყანა აღარ არის.

### ნაღდი და ცრუ ცენტრფორვარდები

იმას, რაც თავიდან მხოლოდ გვარდიოლასგან იყო მოსალოდნელი, გერმანიაში უკვე ბევრი იყენებს: ვგულისხმობთ კლასიკური ცენტრფორვარდის გარეშე თამაშს.

მართალია, გვარდიოლამ კლასიკური 9 ნომერი **მარიო მანჯუკიჩი** გუნდიდან არ გააგდო, საკმაოდ ხშირადაც ათამაშებს და ხორვატს გოლებიც გააქვს, მაგრამ პეპი მის პოზიციაზე ხშირად **მარიო გიოტცეს** ან **თომას მიულერს** ათამაშებს. „ბაიერნს" არაერთხელ მიჰბაძეს „ჰამბურგმა" და „ვერდერმაც". თუმცა, საერთო ჯამში, ტენდენცია არ მიდის იქითკენ, რომ ბუნდესლიგის კლუბები კლასიკური ცენტრფორვარდების გარეშე მასობრივად ათამაშდებიან. თანაც, გოლების თითქმის 20 პროცენტი ისევ და ისევ ნაღდი ცხრიანების ანგარიშზეა.

ვარსკვლავი

# რობენმა 2013 შეაჯამა

## დორტმუნდის კარში გატანილი გოლი სიკვდილამდე მემახსოვრება



გოლი, რომელიც რობენმა დორტმუნდს ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაუტანა

„ბაიერნის" ჰოლანდიელმა ვარსკვლავმა **არიენ რობენმა** გაზეთ „ზუდდოიჩე ცაითუნგისთვის" მიცემულ ინტერვიუში 2013 წელი შეაჯამა და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რეკორდმაისტერთან ახალი კონტრაქტის გაფორმება უნდა. 29 წლის გარემარბმა ჩემპიონთა ლიგის 2012 და 2013 წლის ფინალებიც გაიხსენა და „ბაიერნის" ქომაგებიც გააკრიტიკა.

*„ბაიერნში" ყველამ კარგად იცის, ვინ ვარ და რა შემიძლია, მე კი ვიცი, რა არის „ბაიერნი". ვგრძნობ, რომ ფეხბურთის მაღალ დონეზე თამაშს კიდევ მინიმუმ სამი წელი შევძლებ,"* - აცხადებს რობენი და ადასტურებს, რომ რეკორდმაისტერის ხელმძღვანელებისგან ახალი კონტრაქტის შესახებ კონკრეტული შეთავაზება არ მიუღია, თუმცა: *„მუხლის ტრავმა რომ მივიღე, კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ იმ საღამოსვე დამირეკა, გამოჯანმრთელება მისურვა და მითხრა, სულ მალე მომავალზე კონკრეტულად დაგელაპარაკებითო. ისე მესაუბრებოდა, რომ ეჭვი არ მეპარება, ახალი კონტრაქტის გაფორმებას მალე შემომთავაზებენ."*

ჰოლანდიელი გარემარბის კარიერაში 2013 წელი ყველანაირად წარმატებული იყო, თავად არიენს კი ყველაზე მეტად ის ახარებს, რომ წელს ტრავმებმა ძველებურად აღარ გატანჯეს: *„ბევრისგან მოვისმინე და ბევრგან წავიკითხე მოსაზრებები იმის შესახებ, რომ იდეალურ ფორმაში ვარ და რომ 2013 წელი საუკეთესოა ჩემს კარიერაში, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ სამი წლის წინ უკეთეს ფორმაში ვიყავი. უბრალოდ, 2013 წელს უფრო გამოვჩნდი, რადგან დიდი ხანი გავძელი ტრავმის გარეშე, სამი წლის წინათ კი ყოველ ორ თვეში ერთხელ ტრავმას ვიღებდი."*

რობენმა ჩემპიონთა ლიგის ფინალიც გაიხსენა: *„დორტმუნდელთა კარში გატანილი ბურთი სიკვდილამდე მემახსოვრება. წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, ის ბურთი რომ ვერ გამეტანა? ყველა იტყოდა, რობენმა „ბაიერნთან" ერთად სამი და ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად ერთი ფინალი წააგოო, რაც ჩემს კარიერას დაღს დაასვამდა. ტიტულებმა კი ყველაფერი გამოასწორა. როცა ფინალში ვაიდენფელერთან პირისპირ გავედი, პირველად გავიფიქრე, უნდა გავცდემეთქი და მარცხნივ წავედი, მაგრამ რომანი მოძრაობაში წამომყვა და მეც გეგმა შევცვალე. ამიტომაც აღარ გამომივიდა ძლიერი დარტყმა, თუმცა გოლი მაინც ძალიან ლამაზი იყო - ბურთმა კარის ხაზი ნელა გადაკვეთა. ამ გოლს ველარავინ წამართმევს!"*

არიენი არ მალავს, რომ სიცოცხლის ბოლომდე ემახსორება „ბაიერნის" ქომაგების ნეგატიური რეაქციაც, რამაც 2012 წლის ფინალში გული ძალიან ატკინა: *„მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც ასე ვფიქრობ: ნამდვილი გულშემატკივარი თავისი გუნდის ფეხბურთელს ასე არასდროს მოექცევა. ფანების მაშინდელმა რეაქციამ წნეხის ქვეშ მომაქცია და მას მერე არაერთხელ შევამჩნიე საკუთარ თავს ის, რომ რისკზე წასვლა და დრიბლინგის წამოწყება მიჭირდა, ველარ ვრისკავდი და არიენ რობენი, რომელიც დრიბლინგს ვერ რისკავს, არიენ რობენი აღარაა."*

მოსალოდნელი ტრანსფერები

# შტუტგარტი მილიონების დახარჯვას გეგმავს

„შტუტგარტი" იდეაში ამბიციური კლუბია, რომელიც ახლო წარსულში გერმანიის ჩემპიონიც იყო, მაგრამ აგერ უკვე რამდენიმე წელია, რაც შვაბები საშუალო დონეზე თამაშობენ და ასე ვთქვათ, არც იქით არიან და არც აქეთ. თუმცა, როგორც ჩანს, „შტუტგარტის" ხელმძღვანელებმა ამ ხნის განმავლობაში გარკვეული თანხის დაგროვება მოახერხეს, რადგან გავრცელებული ცნობების თანახმად, „მერსედესის" მშობლიური ქალაქის გუნდი იანვრის სატრანსფერო ბაზარზე მნიშვნელოვნად გააქტიურებას და ახალ ფეხბურთელებში მილიონების დახარჯვას გეგმავს. ეს ინფორმაცია თავად კლუბის სპორტულმა დირექტორმა **ფრედი ბობიჩმა** დაადასტურა.

*„უკვე შერჩეული გვყავს რამდენიმე ფეხბურთელი და მოლაპარაკებებსაც მალე დავიწყებთ. თამამად ვიტყვი, რომ ერთ მართლა კარგ ფეხბურთელში 6-7 მილიონი ევროს გადახდა თავისუფლად შეგვიძლია, ოლონდ ასეთ თანხას მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავიხდით, თუ ფეხბურთელი მართლა მაღალი დონის იქნება,"* - აცხადებს 41 წლის ბობიჩი „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, რომ „შტუტგარტს" ახალ მოთამაშეებში ფულის ხარჯვა 2012 წლის შემდეგ ფაქტობრივად შეწყვეტილი ჰქონდა, რადგან შარშან გუნდმა ეკონომიკური წელი 10-მილიონიანი მინუსით დაასრულა. როგორც ირკვევა, კლუბის ახალმა პრეზიდენტმა **ბერნდ ვალერმა** „შტუტგარტი" ფინანსურად ფეხზე წამოაყენა. ბობიჩის თქმით, ერთი ან ორი ხეირიანი ტრანსფერი იანვარშივე განხორციელდება, ზაფხულში კი დამატებით გაძლიერება იგეგმება, ოლონდ ეს უკვე იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელ ადგილზე დაასრულებენ შვაბები ამ სეზონს.

*„ფული გოლებს ვერ გაიტანს, მაგრამ ფულით წარმატებისკენ მისასვლელი გზის გაადვილება შეიძლება,"* - დასძენს ბობიჩი.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



შტუტგარტის სპორტული დირექტორი ფრედი ბობიჩი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიური ბაზარი

# რას გეგმავენ კალჩოს გრანდები

## ყველაფერი მოსალოდნელი ტრანსფერების შესახებ



პოლ პოგბას მომავალი ბუნდოვანია

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშებაში საშობაო პაუზაა და იტალიური სპორტული პრესაც მთლიანად სატრანსფერო ამბებზე გადაერთო. რა გეგმები აქვთ აპენინური ფეხბურთის გრანდებს და რა ტრანსფერებს უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში? - ამ ყველაფერზე ქვემოთ...**

### იუვენტუსი პოგბას ვერ ინარჩუნებს?

„იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა **ჯუზეპე მაროტამ** არაერთხელ განაცხადა, რომ კლუბის უმთავრესი მიზანი წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნება და მათთან ხელშეკრულების გახანგრძლივებაა. **არტურო ვიდალთან** მოლაპარაკება წარმატებით დასრულდა და ჩილელმა ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, მაგრამ ჯერჯერობით, გაურკვევლობაა **ანდრეა პირლოს** და **პოლ პოგბას** შემთხვევაში. ზაფხულში ეწურება კონტრაქტი **ანდრეა ბარცალის** და კლუბის მესვეურები მასთანაც აპირებენ მოლაპარაკების წამოწყებას. ამას წინათ, მაროტამ განაცხადა: ისე არ დავბეჩავებულვართ, პოგბას შენარჩუნება ვერ მოვახერხოთო, მაგრამ გუშინ, სულ სხვა შინაარსის კომენტარი გააკეთა:

*„პირლოს და კონტეს გარეშე „იუვენტუსი" ვერ წარმომიდგენია, აი პოგბას შენარჩუნება კი ნამდვილად გაგვიჭირდება. პოლის გადაბირება ევროპულ გრანდებს სურთ და კოლოსალურ თანხებსაც იხდიან. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს".*

როგორც ჩანს, „იუვენტუსის" მესვეურებმა მაცდური წინადადება მიიღეს და პოგბას გასხვისებაზეც სერიოზულად დაფიქრდნენ. მოკლედ, ფრანგის მომავალი ისევ ბუნდოვანია, აი, პირლო და ბარცალი კი ალბათ გაახანგრძლივებენ ხელშეკრულებას.

ვინ შეიძლება დაიმატოს „იუვენტუსმა"? - ჯერჯერობით, მხოლოდ **რაჯა ნაინგოლანის** გვარმა გაიჟღერა, რომელიც „კალიარიდან" მიდის და საქმე ასარჩევად აქვს.

### რომა - მცველიც და ფორვარდიც

„რომა" ჩემპიონატის მთავარი აღმოჩენაა, რადგან **რუდი გარსიას** გუნდისგან სკუდეტოსთვის ბრძოლას არავინ ელოდა. თუმცა, ჯერ მხოლოდ 17 ტური მიილია და თუ დედაქალაქელებს პოზიციის შენარჩუნება სურთ, ტემპი არც 2014 წელს უნდა დააგდონ. საჭიროა თუ არა ამისთვის გაძლიერება და ახალი ფეხბურთელების დამატება? - ამ თემაზე მოკლე კომენტარი **ფრანჩესკო ტოტიმ** გააკეთა: *„ახალი ფეხბურთელების გადაბირებას ყოველთვის მივესალმებოდი და ასე იქნება მომავალშიც. ვიცი, რომ კლუბის მესვეურები ერთი მცველის და ერთი ფორვარდის დამატებას ფიქრობენ და იმედია, მიზანს მიაღწევენ".*

ტოტიმ გვარები არ დაასახელა, მაგრამ იტალიელმა ჟურნალისტებმა ყველაფერი გაარკვიეს - რომაელებს **დავიდე ასტორის** გადაბირება სურთ „კალიარიდან" და **ხუან იტურბესი** „ვერონადან". „ჯალოროსის" დაცვა ფენომენალურად ირჯება, მაგრამ რუდი გარსიას რაღაც მაინც არ მოსწონს - თუნდაც ის, რომ როდესაც **მეჰდი ბენატია** ან **ლეანდრო კასტანი** ტრავმებს იღებენ, მოედანზე კი **ნიკოლას ბურდისო** შედის, „რომას" პრობლემები ექმნება და გოლებსაც უშვებს. როგორც ჩანს, ცენტრის ძირითად მცველთა მთავარ ალტერნატივად ბურდისო ვერ ქაჩავს და გარსიაც გამოსავალს ეძებს. რაც შეეხება იტურბეს, ახალგაზრდა შემტევმა თავი ბრწყინვალედ წარმოაჩინა და მისი გადაბირების სურვილში გასაკვირი არაფერია. კარგად გვახსოვს, როდესაც ფრანჩესკო ტოტი და **ჟერვინიო** დაშავდნენ, „რომას" შეტევაში ძალიან გაუჭირდა - გარსიას გათვლა ამ შემთხვევაშიც გასაგები და ლოგიკურია.



მილანში კეისუკე ჰონდასი ეიმედებათ

### ნაპოლი ისევ ბევრს დახარჯავს

აურელიო დე ლაურენტისმა ზაფხულში ყველაზე მეტი დახარჯა და გაჩერებას არც ზამთარში აპირებს. „გაძეტა დელო სპორტი" გვამცნობს, რომ პრეზიდენტმა **რაფაელ ბენიტესთან** ერთად უკვე შეადგინა სია, რომლის მიხედვითაც სატრანსფერო ფანჯრის დროს იხელმძღვანელებს. ნეაპოლელებს სამივე რგოლის გაძლიერება სურთ და ამ სიაში მცველებიც არიან, ნახევარმცველებიც და თავდამსხმელებიც... პრიორიტეტული სამიზნეები არიან: **ლუკა ანტონელი** „ჯენოადან", **ხავიერ მასკერანო** „ბარსელონადან", **ერიკ ლამელა** „ტოტენჰემიდან".

ანტონელი მარცხენა მცველია, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, ფლანგსაც შეიცვლის და ნახევარდაცვაშიც აიწევს. მასკერანოს წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება და მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ იტალიელი საფეხბურთო ექსპერტები „ნაპოლის" პრობლემად სწორედ საყრდენ ხაზს მიიჩნევენ - შვეიცარიელები: **ბლერიმ ჯემაილი, გოკჰან ინლერი** და **ვალონ ბერამი** ბევრს შრომობენ, მაგრამ კლასი აშკარად აკლიათ. როგორც ჩანს, მასკერანომ გუნდს სწორედ ეს კლასი და წონა უნდა შემატოს. „გაძეტამ" ისიც კი დაწერა, რომ მასკერანომ „ნაპოლიში" გადაბარ-



„გაძეტას" მტკიცებით, ხავიერ მასკერანო კარიერას „ნაპოლიში" გააგრძელებს

გებაზე თანხმობა განაცხადა და ტრანსფერს წინ აღარაფერი უდგას.

ლამელა გარემარბია, ყველაზე უკეთ ფლანგიდან თამაშობს და ბენიტესის სქემას (4-2-3-1) იდეალურად მოერგება. ამბობენ, რომ ნეაპოლელთა სამიზნეშია **მარკო ბორიელოც**, რომელსაც „რომაში" პრაქტიკულად არ უწევს თამაში - **გონსალო იგუაინს** დუბლიორი სჭირდება და ალბათ, მარკოს საჭიროებაც ამად დაუდგათ სამხრეთელებს.

ამასობაში, „კორიერე დელო სპორტი" გვამცნობს, რომ „ნაპოლის" მესვეურებს „არსენალის" მცველის, **ტომას ვერმაელენის** გადაბირება სურთ. ეს ამბავი ჟურნალისტებს ტომასის თანამემამულემ **დრის მერტენსმა** გაუმხილა: „დე ლაურენტისის თხოვნით, ტომასს ათჯერ მაინც დავურეკე და მის ნეაპოლში გადმობარგებაზე ვესაუბრე. ლონდონში თავს შესანიშნავად გრძნობს, მაგრამ მისი დაინტერესება მაინც შევძელი. უახლოეს მომავალში, ვერმაელენს უკვე „ნაპოლის" მესვეურები დაუკავშირდებიან და ალბათ, მოლაპარაკებაც დაიწყება.

### ინტერი - ტოჰირი საიდუმლოს ჯერ არ ამხელს

კლუბის ახალმა მეპატრონემ **ერიკ ტოჰირმა** პირდაპირ განაცხადა, რომ გუნდს მინიმუმ ორი-სამი მაღალი კლასის ფეხბურთელის დამატება სჭირდება. ეს განცხადება მილანური დერბის შემდეგ გაკეთდა და არც თუ უსაფუძვლოდ, რადგან ტოჰირმა დაინახა, რომ მისი გუნდი დაცვაში მწყობრი თამაშით და მწვავე კონტრშეტევებით გავიდა ფონს. გასაგებია, რომ ეს **ვალტერ მაცარის** ჩანაფიქრი იყო, მაგრამ ვეჭვობთ, რომ არა კარგი ცხოვრებით ნაკარნახევი. რეალობასთან ახლოს არის მოსაზრება, რომ „ინტერს" ამ შემადგენლობით უბრალოდ არ შეუძლია გრანდებთან პირველ ნომრად თამაში - თუნდაც ეს გრანდი სულს ღაფავდეს და ღრმა კრიზისში იყოს.

ამ ორი-სამი ფეხბურთელიდან ერთი აუცილებლად ფორვარდი უნდა იყოს, რადგან ნათქვამია: „მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო"... **როდრიგო პალასიო** ყოველთვის ვერ გაიტანს და მას პარტნიორი, ან გნებავთ ალტერნატივა სჭირდება. „გაძეტას" მტკიცებით, „ინტერის" მესვეურები მზად არიან **ისაკ ბელფოდილი** იჯარით „ჯენოაში" გაუშვან და იქიდან **ალბერტო ჯილარდინო** დაიმატონ. არის მეორე ვარიანტიც, რომლის მიხედვითაც „ნერაძურის" „პალერმოს" ურუგვაელი ფორვარდი **აბელ ერნანდესი** შეუერთდება. ტოჰორი და კომპანია, ალბათ, სხვა ვარიანტებზეც ფიქრობენ, მაგრამ ჯერჯერობით საიდუმლოდ ინახავენ. „ინტერი". „კალიარის" ნახევარმცველ რაჯა ნაინგოლანსაც უმიზნებს, მაგრამ ბოლო ინფორმაციით, ბელგიელს უფრო „მილანში" სურს გადაბარგება.

### მილანი - ჰონდა და რამი

„მილანმა" ყველას დაასწრო და უკვე გაიფორმა ორი ფეხბურთელი, რომლებიც ახალი წლიდან გუნდის ღირსებას დაიცავენ; ერთი **ადილ რამი** გახლავთ „ვალენსიადან", ხოლო მეორე **კეისუკე ჰონდა** მოსკოვის ცსკა-დან. შავ-წითლები ორივეზე დიდ იმედს ამყარებენ - ერთმა დაცვა უნდა გააძლიეროს, მეორემ შუა ხაზი. თანაც, ჰონდას შეუძლია თანაბრად ნაყოფიერი იყოს როგორც დაცვაში, ისე შეტევაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მილანელები რაჯა ნაინგოლანის გადაბირებასთან არიან ახლოს, რაზეც „კალიარის" პრეზიდენტის **მასიმო ჩელინოს** სიტყვები მოწმობს:

*„ნაინგოლანის გადაბირება „ინტერს" დიდი ხანია სურს, თუმცა მილანელებისგან განსხვავებით, კონკრეტული წინადადებით „იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა მოგვმართა. თუმცა, არ დაგიმალავთ, რომ ყველაზე რეალური მაინც რაჯას „მილანში" გადაბარგებაა - ადრიანო გალიანი ჩემი ახლო მეგობ[...]რია, თავად ფეხბურთელს კი სწო[...] „როსონერისკენ" მიუწევს გული. ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს".*

„კორიერეს" ინფორმაციით, „მილანის" მესვეურებს კიდევ ორი ფეხბურთელის დამატება სურთ: ერთი **დანილო დამბროზიო** გახლავთ „ტორინოდან", ხოლო მეორე **ჟორჟინიო ფრელო** „ვერონადან". ეს უკანასკნელი შემტევი ნახევარმცველია და ტექნიკით გამოირჩევა, თუმცა საეჭვოა ვერონელებმა მისი ზამთარში გაშვება ისურვონ. რაც შეეხება დამბროზიოს, მარცხენა მცველია, ამ ფლანგზე კი მასიმილიანო ალეგრის უჭირს - ხან **კევინ კონსტანტს** ათამაშებს, ხან **ურბი ემანუელსონს**, ეს როტაცია კი იმაზე მიუთითებს, რომ ბოლომდე კმაყოფილი არც ერთის თამაშით არაა. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა.

### ლაციოს რევოლუციის მოლოდინში

„ფიორენტინამ" სეზონის პირველ[...] ნახევარი წარმატებით განვლო, „ლაციო[...]" ღრმა კრიზისში ჩაეფლო - თუმცა, ამ ორ გუნდს ერთი რამ აერთიანებთ: ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე მათ შესახებ პრაქტიკულად არაფერი ისმის. „ვიოლას" სპორტული დირექტორი **პანტელეო კორვინო** აცხადებს, რომ გუნდის გაძლიერება **მარიო გომესის** დაბრუნება იქნება, „ბიანკოჩელესტეს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** კი რევოლუციურ ცვლილებებზე საუბრობს, მაგრამ ჯერჯერობით, კონკრეტული არაფერი უთქვამს. დიდია შანსი, „ლაციო" ახალ წელს ახალი მწვრთნელით შეხვდეს, თუმცა ჯერ ეს საკითხიც გასარკვევია.

თუ არაფერი შეიცვალა და გუნდები სეზონის განახლებას არსებული რესურსით შეხვდნენ, მიზნების მიღწევა გაუჭირდებათ - ფლორენციელებს ჩემპიონთა ლიგის საგზური სურთ, რომაელებს კი კრიზისის დაძლევა.

**ლაშა წიკლაური**

---

ამბები

### უილშირმა ახსნა

როცა „მანჩესტერ სიტიმ" „არსენალი" 6:3 გაანადგურა, სტუმართა ახალგაზრდა ფეხბურთელმა **ჯერ უილშირმა** ტრიბუნებს შუათითი უჩვენა, რისთვისაც დისკვალიფიკაციაც მიიღო. გუშინ უილშირმა მისთვის უჩვეულო მოქცევის მიზეზი ახსნა: *„არ უნდა მოვქცეულიყავი ასე, მაგრამ მეც ადამიანი ვარ და ალბათ, ნებისმიერი მამა გაიგებს ჩემს რეაქციას. საშინელია, როცა შვილებს შეურაცხყოფას აყენებენ"*, - დაწერა უილშირმა „ტვიტერზე".

### ნეიმარი ისტორიაში შევა

**კრიშტიანო რონალდომ** საყოველთაოდ გამოუცხადა მხარდაჭერა „ბარსელონას" 21 წლის ფორვარდ **ნეიმარს**. 28 წლის პორტუგალიელმა განაცხადა, რომ ნეიმარი ფეხბურთში ისტორიას შექმნის: *„ეს უკვე ფაქტია - ნეიმარი დიდი ფეხბურთელია. ის ისტორიაში შევა, როგორც ბრაზილიის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. ის სწორ გზას ადგას, ქარიზმატული ფეხბურთელია და მომავალში მისგან მეტსაც უნდა ველოდოთ"*, - განაცხადა კრიშტიანომ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ნეიმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ. გოკჰან ინლერი

# თავშეკავებული ლომი

**ნარმოშობით** თურქი ნახევარმცველი გოკჰან ილნერი შვეიცარიის ნაკრებისა და „ნაპოლის" ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. თავის დროზე მასზე ნადირობა იყო გამოცხადებული და საბოლოოდ იგი ნეაპოლელთა ნადავლი გახდა. გეხსომებათ, აურელიო დე ლაურენტისმა ფანებს სიურპრიზი მოუწყო და ახალი ფეხბურთელი ლომის ნიღბით წარუდგინა. 29 წლის მოთამაშე ამ ამბავსაც იხსენებს, კლუბზეც საუბრობს და მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზეც. შვეიცარიის სიმპათიური ნაკრებისგან, რომელიც მიჯრით მესამე მუნდიალის ფინალურ სტადიაზე გადის, ბრაზილიაში გარკვეული სიურპრიზის შემოთავაზება გასაკვირი სულაც არ იქნება.

**- შვეიცარია 1950-იანი წლების მერე პირველად გავიდა ზედიზედ სამჯერ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. რა სხვაობაა იმ და დღევანდელ ნაკრებს შორის?**

- შედარება შეუძლებელია, რადგან იმ პერიოდის შემდეგ ფეხბურთი ძალიან შეიცვალა. თუმცა მუნდიალზე ზედიზედ სამჯერ გასვლა აშკარა წარმატებაა და აქედან გამომდინარე, ორივე ნაკრები დაფასებას იმსახურებს.

**- 2009 წელს შვეიცარიის 19-წლამდელთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო და ახლა ეროვნული გუნდი 23-წლამდელთა რამდენიმე მოთამაშითაა დაკომპლექტებული. რამ გამოიწვია ასეთი ნიჭიერი თაობის გაჩენა?**

- ქვეყანაში ახალგაზრდულ ფეხბურთს ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ. ამ დონეზე არიან კარგი მწვრთნელები და ტალანტები მაღალი კლასის მოთამაშეებად ყალიბდებიან. 2009 წელი შვეიცარიის ახალგაზრდული გუნდისთვის მართლაც განსაკუთრებული იყო და მიხარია, რომ იქიდან რამდენიმე მოთამაშე ეროვნულ ნაკრებში მოხვდა.

**- ამჟამად ყველაზე ნიჭიერ შვეიცარიელ ფეხბურთელად ვის დაასახელებდით?**

- გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც უცხოეთში წარმატებით თამაშობენ. ჯერდან შაჩირი კარგად პროგრესირებს „ბაიერნში". ასევე გრანიტ ჯაკა „გლადბახში" და კრისტიან როდრიგესი „ვოლფსბურგში". ეს მოთამაშეები უმაღლეს დონეზე ასპარეზობენ და ცხადია, არიან სხვებიც. ასე რომ, მარტო ერთის გამორჩევას სამართლიანად არ მივიჩნევ.

**- რამდენად შორს წასვლა შეუძლია შვეიცარიას მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

- შესარჩევი ეტაპი კარგად ჩავატარეთ და განთესილებს შორის მოვხვდით, რაც უკვე წარმატებაა. თუმცა გვსურს ჩვენი ფეხბურთი და შესაძლებლობები ფინალურ ეტაპზეც ვაჩვენოთ. თავდაპირველი მიზანი ჯგუფიდან გასვლაა, დანარჩენი მერე გამოჩნდება.

**- თქვენი მშობლები თურქები არიან და თურქეთის ახალგაზრდულ ნაკრებშიც გითამაშიათ, მაგრამ საბოლოოდ შვეიცარია აირჩიეთ. რამ გადაგაწყვეტინათ ეს?**

- თურქეთის 21-წლამდელთა ნაკრებში მხოლოდ ერთი მატჩი ჩავატარე და ამის შემდეგ კონტაქტი შეწყდა. აი, შვეიცარიამ კი ძალიან მოინდომა და მაშინდელ მწვრთნელთან იაკობ კუნთან საინტერესო გასაუბრებაც მქონდა, მან ეროვნულ ნაკრებში ჩემი პერსპექტივები დამანახა, რაც მომეწონა და დღესდღეობით ნამდვილად არ ვნანობ, რომ შვეიცარია ავირჩიე.


გოკჰან ინლერი

**- საკლუბო ფეხბურთზე თუ გადავინაცვლებთ, რას იტყვით „ნაპოლიზე"?**

- სეზონი ძალიან კარგად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ იყო რამდენიმე მარცხი სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაზე, სადაც, სამწუხაროდ, ჯგუფიდან ვერ გავედით, მიუხედავად 12 ქულის მოგროვებისა. ახლა სერია A-ში უნდა გავაგრძელოთ მაქსიმალურად წარმატებული ბრძოლა.

**- „ნაპოლიდან" ედინსონ კავანი, ესეკილ ლავეცი და მწვრთნელი ვალტერ მაცარი წავიდნენ, მაგრამ გუნდი ისევ მაღალ დონეზე აგრძელებს თამაშს. ეს როგორ მოხერხდა?**

- რასაკვირველია, ედინსონ კავანის კალიბრის ფეხბურთელების წასვლა შეუძლებელია არ დაგეტყოს. მნიშვნელოვანი იყო ღირსეული შემცვლელი გვეპოვნა და ვფიქრობ, გონსალო იგუაინის სახით ეს მოვახერხეთ. „ნაპოლის" ძალა გუნდურობასა და შემართებაშია. ფეხბურთი აქ ცხოვრებაა, არა მხოლოდ კლუბისთვის, არამედ მთელი ქალაქისთვის. ეს საოცარია!

**- რა სხვაობაა ოტმარ ჰიტცფელდსა და რაფაელ ბენიტესს შორის? სტილი, მეთოდები და ასე შემდეგ...**

- შედარება რთულია, რადგან სანაკრებო და საკლუბო სპეციფიკა განსხვავდება. ვფიქრობ, ჰიცფელდსა და ბენიტესს შორის არის რამდენიმე მსგავსება - ორივე უაღრესად გამოცდილია, ფეხბურთელებთან შესანიშნავად შეუძლიათ კომუნიკაცია, ორივე ძალიან ჰუმანურია. ისინი წარმატებაზე ორიენტირებული სპეციალისტები არიან და იციან, როგორ მიაღწიონ მას.

**- რომელი კლუბები იყვნენ თქვენით დაინტერესებულნი, სანამ „ნაპოლიში" გადახვიდოდით?**

- ეს ჩემს აგენტს უნდა ჰკითხოთ. ასეთ რაღაცებს ყურადღებას არ ვაქცევ, მთლიანად თამაშზე ვარ კონცენტრირებული.

**- „ნაპოლიში" თქვენს პრეზენტაციაზე რას იტყვით? ვისი იდეა იყო თქვენი ლომის ნიღბით შემოსვლა?**

- ეს იდეა იქვე გაჩნდა, პრეზენტაციამდე ცოტა ხნით ადრე, როდესაც ლომის ნიღაბი დავინახეთ. ზოგადად, თავშეკავებული ადამიანი ვარ, მაგრამ იდეა მომეწონა და მიხარია, რომ ფანებმაც გაიხარეს. ეს განსაკუთრებული მომენტი გახლდათ, არ დამავიწყდება მათი რეაქცია, როდესაც ნიღაბი მოვიხსენი.

**- ვინ იყო თქვენი კერპი ფეხბურთში?**

- პატარაობისას ჩემი კერპი რონალდო იყო. ბრაზილიელის ტექნიკით, სისწრაფითა და მოედნის ხედვით აღფრთოვანებული ვიყავი.

**გიორგი კაკაბაძე**

● გერმანიის ნაკრები


გერმანიის ნაკრების კაპიტანი ფილიპ ლამი

# ლამი: მუნდიალის მოგება სავალდებულო არ უნდა იყოს!

## გერმანიის ნაკრების კაპიტანი თავს იზღვევს

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე გერმანიის ნაკრების კაპიტან **ფილიპ ლამის** ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელშიც „ბაიერნის" ფეხბურთელი 2013 წელს აჯამებს და 2014 წლის გეგმებზე საუბრობს. ყველაზე საინტერესო მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებია - ლამის თქმით, მუნდიალზე ბუნდესგუნდის წარმატებით ასპარეზობა მაინცდამაინც მსოფლიოს ჩემპიონობასთან არ უნდა ასოცირდებოდეს.

*„მსოფლიოს ჩემპიონობა გერმანიის ნაკრებმა დღემდე მხოლოდ სამჯერ მოახერხა. ამით იმის თქმა მინდა, რომ მუნდიალის მოგება ასე ადვილი არ არის. თანაც, კონკურენცია ნამდვილად არ შემცირებულა. ვფიქრობ, რომ გერმანიის ნაკრებისთვის მხოლოდ ჩემპიონობის მოთხოვნის წაყენება სხვა საფეხბურთო ქვეყნების მიმართ უპატივცემულობის გამოხატვა იქნება,"* - აცხადებს ლამი.

30 წლის ბუნდესკაპიტანს მიაჩნია, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი გერმანიის ნაკრების წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, თუ: *„ბრაზილიაში კარგ ფეხბურთს ვაჩვენებთ, გუნდურ სულისკვეთებას გამოვავლენთ, ტაქტიკურად ჭკვიანურ ფეხბურთს ვითამაშებთ, ჩვენს საფეხბურთო კლასს კიდევ ერთხელ წარმოვაჩენთ და, რაც მთავარია, ჩვენი ფეხბურთით ჩვენს ქომაგებს და, ზოგადად, მთელ მსოფლიოს ალვაფრთოვანებთ."*

მას მერე, რაც გერმანიის ნაკრებს **იოახიმ ლიოვი** წვრთნის, ბუნდესგუნდმა ყველა დიდ ტურნირზე შესანიშნავი ფეხბურთი ითამაშა და მინიმუმ ნახევარფინალში გადიოდა. შესაბამისად, გულშემატკივრები ამით აღარ კმაყოფილდებიან და ნაკრებს უკვე მხოლოდ ტიტულს სთხოვენ. ლამის აზრით, ეს ლოგიკურია, მაგრამ: *„მსოფლიოს ჩემპიონობა ჩვენც ძალიან გვინდა და ჩვენც უმაღლეს მიზნებს ვისახავთ. გვყავს ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელები და გვაქვს უდიდესი პოტენციალი, ასე რომ, ერთ მშვენიერ დღეს ნებისმიერის დამარცხება შეგვიძლია. მაგრამ სწორედ ამიტომ, ჩვენი მიზანი პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება და მუნდიალზე რაც შეიძლება შორს გასვლა უნდა იყოს."*

ლამი გერმანიის ნაკრების კაპიტნად 2010 წლის ზაფხულში დაინიშნა და კითხვაზე, რა შეიცვალა ამ ხნის განმავლობაში, ბუნდესკაპიტანი ასე პასუხობს: *„უდიდესი გამოცდილება მივიღე და გარკვეულ თემებთან მიმართებაში ახლა უფრო მოქნილად ვაზროვნებ. ვისწავლე, როგორ უნდა წავიკითხო და გავაანალიზო გუნდში მიმდინარე პროცესები. მსოფლიოს ჩემპიონატს ყველანი მოუთმენლად ველით, თუმცა მუნდიალის დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა დარჩენილი. მარტში ჩილესთან ამხანაგური მატჩი გველის, მერე კი ყველანი ბრაზილია 2014-ის ციებ-ცხელებაში ჩავებმებით,"* - დასძენს ფილიპი.

**გოტფრიდ ლენცი**

● ინტერვიუ. ანტონიო ვალენსია

# კაცი, რომელმაც 7-იანი დათმო

**„მანჩესტერ იუნაიტედის" მარჯვენა ნახევარმცველმა ანტონიო ვალენსიამ, შარშანდელთან შედარებით, მიმდინარე სეზონში თამაში აშკარად გამოასწორა. 28 წლის ეკვადორელმა ამ დღეებში საკლუბო ჟურნალს მისცა მცირე ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.**

**- მოიესი თქვენს თამაშს ხშირად დადებითად აფასებს. თავად რას ფიქრობთ?**

- მეც კმაყოფილი ვარ. ბევრს ვშრომობ, რათა ჩემი საქმე მაქსიმალურად კარგად ვაკეთო. ჩემი აზრით, მარტო მე კი არა, მთლიანად გუნდიც აღმავლობის გზას ადგას. მნიშვნელოვანია, რომ ამჟამინდელი ფორმა დიდხანს შევინარჩუნოთ.

**- ხშირად უსვამთ ხაზს, რომ შარშანდელი სეზონით უკმაყოფილო დარჩით.**

- დიახ, რადგან 2011/12 წლებში საკუთარ თავს ისეთი სტანდარტი დავუწესე, რომელსაც ჩემი თამაში შარშან უკვე აღარ შეესაბამებოდა. ამაში ხელს მიშლიდა წვრილმანი ტრავმები, რასაც წელს ჯერჯერობით გავურბივარ. რაკი თავს კარგად ვგრძნობ და მზად ვარ თავდადებისთვის. მძიმე შრომის შედეგს მოედანზე ვიმკი.

**- სათამაშო ნომერი შეიცვალეთ. ამანაც ხომ არ შეგიწყოთ ხელი?**

- ეს არ გამიკეთებია არც ცრურწმენის გამო და არც იმის, რომ პასუხისმგებლობას გავურბივარ („იუნაიტედში" 7 ნომრად ყოველთვის დიდი ფეხბურთელები თამაშობდნენ და მას განსაკუთრებული ფასი აქვს. რედ). უბრალოდ, როცა მანჩესტერში ჩამოვედი 25 ნომერმა წარმატება მომიტანა და ამიტომაც მოვისურვე მისი დაბრუნება.

**- მოიესის მუშაობის სპეციფიკა თუ აისახა თქვენს თამაშზე?**

- მე მხოლოდ იმას ვცდილობ, რომ დავალებები შევასრულო. ცხადია, მოიესს ფეხბურთი თავისებურად ესმის და ყველაზე მეტად ესწრაფვის, რომ ერთიან ორგანიზმად გვაქციოს. პირადად ჩემი ფუნქციები ნამდვილად არ შეცვლილა.

**- „იუნაიტედში" ლიდერობას მიჩვეულები ხართ. ამჟამინდელ მდგომარეობას როგორ ეგუებით?**

- მტკივნეული შეგრძნებაა. ამხელა ჩამორჩენა ქულების სულელურად კარგვის ბრალია. უახლოეს შეხვედრებში მაქსიმალური ქულები უნდა ავილოთ და ლიდერთა ჯგუფს აუცილებლად მივუახლოვდებით. შობის შემდგომი პერიოდი უმნიშვნელოვანესი იქნება ჩვენთვის.

**- როგორ უნდა დაასრულოს გუნდმა სეზონი, რომ მას წარმატებული ეწოდოს?**

- ტრადიციულ პასუხს გაგცემთ: უნდა მოვიგოთ რაც შეიძლება მეტი ტიტული. სხვა მიზანი „იუნაიტედს", უბრალოდ, ვერ ექნება.

**ლევან ბიბილაშვილი**


ანტონიო ვალენსია

ეროვნული ბიბლიოთეკა

XVIII ტურის წინ

# ახლა იწყება თავდავიწყება!


„სიტის“ მცველების ამოცანა ამ კაცის შეჩერება იქნება

**მაშინ, როცა სხვები ისვენებენ, ინგლისში ახალ წლამდე კიდევ ორი სრული ტური დარჩა, პირველში კი კიდევ ერთი ტური გველის. მოკლედ, ახლა იწყება თავდავიწყება და დიდწილად, ამ სამ ტურზეა დამოკიდებული, პრემიერლიგის ტიტულის ბედიც...**

## ჯახი, რა ჯახი!

XVIII ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ერთმანეთს მიმდინარე სეზონის ორი ყველაზე შედეგიანი გუნდი „მანჩესტერ სიტი“ და „ლივერპული“ დაუპირისპირდება ერთმანეთს. სტატუსიდან გამომდინარე შესაძლოა გოლების წვიმა ვიხილოთ ან კიდევ, გუნდებმა წმინდა პრაქტიკული მოსაზრებიდან გამომდინარე („სიტის“ მომდევნო თამაში 48 საათში უწევს, 3 დღეში კი „ლივერპული“ „ჩელსის“ ესტუმრება), უარი თქვან უკანმოუხედავ შეტევებზე და მეტოქის შეცდომებს ჩაუსაფრდნენ. უკანასკნელი ვარიანტი ნაკლებად რეალური გვგონია. რატომ? საშინაო არენაზე „ქალაქელები“ რეკორდს რეკორდზე ამყარებენ. რად ღირს თუნდაც ის, რომ შინ მათ უფრო მეტი გოლი აქვთ გატანილი, ვიდრე ჩემპიონატში მონაწილეთა აბსოლუტურ უმრავლესობას საერთო ჯამში (19-დან 18-ს). ამაში თავად დარწმუნდებით, თუკი სტატისტიკას გადაავლებთ თვალს. **მანუელ პელეგრინის** შეგირდების შედეგიანობა „ეტიჰადზე“ საშუალოდ 4 ბურთს აჭარბებს, 8-დან 6 შეხვედრაში კი სტუმარი გუნდი სამი ან მეტი ბურთით დამარცხდა. „სიტი“ განსაკუთრებულად მოტივირებულია პრემიერლიგის გრანდებთან შეხვედრებში. ამის დასტურია მატჩები „იუნაიტედთან“ (4:1), „ტოტენჰემთან“ (6:0) და „არსენალთან“ (6:3). ცხადია, რომ ეს სერია ოდესმე უნდა შეწყდეს და ვინ უნდა გააკეთოს ეს, თუ არა ცხრილის ამჟამინდელმა ლიდერმა.

რა პასუხი უნდა გასცეს **ბრენდან როჯერსის** გუნდმა „სიტის“ თავბრუდამხვევ სტატისტიკას? მერსისაიდელები თავის მხრივ კარგ ფორმაში არიან, იმარჯვეს ზედიზედ 4 შეხვედრაში და აქედან 3-ჯერ დიდი ანგარიშით.

რაც მთავარია, კარიერის ერთ-ერთ გამორჩეულ (თუ არა საუკეთესო) ეტაპზეა **ლუის სუარესი**, ვინც გუნდის წარმატებულ სერიას 10 გოლით შეეწია. „წითლების“ პერსპექტივა ძალიან ნათელ ფერებში რომ არ მოგვივიდეს, გეტყვით, რომ სტუმრად ჩატარებული ბოლო ხუთი შეხვედრიდან სუარესსა და კომპანიას მხოლოდ ერთი აქვს მოგებული, თავად ურუგვაელი კი უფრო „ენფილდზე“ ახერხებს თავის გამოჩენას. *„ალბათ არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ სეზონში ყველაზე რთული თამაშისთვის ვემზადებით. „სიტი“ ეს არის გუნდი, რომელსაც ბოლო შეხვედრებში ძალიან ბევრი გოლი გააქვს, მაგრამ თავადაც უშვებს. ასე რომ, პირადად გახსნილი თამაშის მოლოდინში ვარ. „ლივერპული“ მხოლოდ კონკრეტულ მატჩზეა კონცენტრირებული იმის მიუხედავად, რომ რამდენიმე დღეში კიდევ ერთი მძიმე მატჩი გველის. ჩვენ გავბედავთ და ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ. იმედია, იღბალი ჩვენს მხარეს იქნება,“* - თქვა როჯერსმა „მელვუდზე“ გამართულ პრესკონფერენციაზე.

დაბოლოს, გუნდების ურთიერთშეხვედრებზეც ვთქვათ მოკლედ. 2008 წლის ზაფხულის შემდეგ, როცა „ქალაქელების“ მმართველობა არაბთა გაერთიანებული საამიროების წარმომადგენლებმა გადაიბარეს, „ლივერპული“ „ეტიჰადს“ 6-ჯერ ეწვია და 2-2-ჯერ იმარჯვა, ითამაშა ფრედ და დამარცხდა. უკანასკნელი 11 მატჩიდან კი მეტოქეები 7-ჯერ მშვიდობიანად გაიყარნენ.

## უელბეკი ითამაშებს, ვიდიჩი გასარკვევია

უქმეებზე „ვესტ ჰემთან“ ტრავმირებული **დენი უელბეკი** დღეს „ჰალთან“ თამაშს შეძლებს, ირწმუნება „მანჩესტერ იუნაიტედის“ ოფიციალური ვებგვერდი. 23 წლის თავდამსხმელისთვის მუხლის ტრავმა მიმდინარე სეზონში პირველი არ ყოფილა და გულშემატკივრის შეშფოთებაც უპირველესად ამან გამოიწვია. *„ვესტ ჰემთან“ მატჩის შემდეგ ნამდვილად არ ვიცოდი, რამდენად სერიოზული იყო უელბეკის დაზიანება, თუმცა მას მერე მან სრული დატვირთვით ივარჯიშა და პრობლემა არ შექმნია. რაც მთავარია, ის ძველი ტრავმის რეციდივს გადაურჩა,“* - აცხადებს **დევიდ მოიესი**. „ვეფხვებთან“ სტუმრად გასამართ შეხვედრაში „ეშმაკებს“ უელბეკის დახმარება ნამდვილად გამოადგებათ, რადგან „კინგსტონზე“ გოლის გატანა ნებისმიერ ოპონენტს უჭირს.

დღევანდელი შეხვედრის წინ საეჭვოა **ნემანია ვიდიჩის** ასპარეზობა. კაპიტანს ორ კვირაზე მეტია, გუნდთან ერთად არ უვარჯიშია. 32 წლის სერბს ჯერ ანგინა აწუხებდა, შემდეგ კი ფეხი დაიზიანა.

## 26 დეკემბერი

**ჰალი-იუნაიტედი 16:45**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბრეიდი, ქუინი, ალუკო - ვიდიჩი, ნანი, ვან პერსი, ფელაინი

ბოლო 6 მატჩი
+1=3-2 | +2=2-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 4 თამაში: +0=0-4 (4-12)

**ასტონ ვილა-პალასი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ვესტვუდი - შამახი
**ტრავმა:** ბენტეკე, ბენეტი, ოკორე, ნზოგბია - ოკიფი, ტომასი, ჰანტი, მაკარტი, მარი, გედიურა

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 | +3=0-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 20 თამაში: +8=7-5 (23-16)

**კარდიფი-საუთჰემპტონი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბელამი - დევისი, ვანიამა, ბორუცი, დო პრადო

ბოლო 6 მატჩი
+1=2-3 | +0=2-4

ურთიერთშეხვედრები
სულ 10 თამაში: +5=2-3 (13-11)

**ჩელსი-სუონსი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ბერტრანი, ვან გინკელი - ვორმი, მონკი, დაიერი, მიჩუ

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 | +2=2-2

ურთიერთშეხვედრები
სულ 6 თამაში: +2=3-1 (8-5)

**ევერტონი-სანდერლენდი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - ბრაუნი
**ტრავმა:** კონე, ბეინსი, გიბსონი, დელოფეუ - ოში, კუელიარი, ვესტვუდი

ბოლო 6 მატჩი
+4=2-0 | +0=3-3

ურთიერთშეხვედრები
სულ 137 თამაში: +64=22-51 (240-217)

**ნიუკასლი-სტოკი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** ტიოტე -
**ტრავმა:** რ. ტეილორი - ჰუთი

ბოლო 6 მატჩი
+4=1-1 | +3=2-1

ურთიერთშეხვედრები
სულ 62 თამაში: +29=14-19 (103-74)

**ნორვიჩი-ფულჰემი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** ჰაუსონი, მარტინი, ბენეტი, პილკინგტონი, ტეტი - ბერბატოვი, ჰანგელანდი

ბოლო 6 მატჩი
+2=2-2 | +1=0-5

ურთიერთშეხვედრები
სულ 10 თამაში: +0=3-7 (4-21)

**ტოტენჰემი-ბრომვიჩი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** პაულინიო -
**ტრავმა:** ტაუნსენდი, ლენონი, კეინი, კაბული, ვერტონგენი - ანიჩებე

ბოლო 6 მატჩი
+3=2-1 | +0=2-4

ურთიერთშეხვედრები
სულ 106 თამაში: +42=24-40 (157-157)

26.12. მანჩესტერი. ეტიჰადი 21:30

**სიტი**

ბოლო 6 მატჩი
+5=0-1 | +4=1-1

ურთიერთშეხვედრები
სულ 148 თამაში: +39=40-69 (198-255)

**ლივერპული**

სავარაუდო შემადგენლობები




**დისკვალიფიკაცია:** არავინ
**ტრავმა:** რიჩარდსი, ნავალეტა, აგუერო - ჯერარდი, სტარიჯი, ენრიკე, კოატესი, ფლენაგანი

**ვესტ ჰემი-არსენალი 19:00**

**დისკვალიფიკაცია:** - უილშირი
**ტრავმა:** პეტრიჩი, ვას ტე, კეროლი, რიდი, დაუნინგი - ოქსლეიდ-ჩემბერლენი, სანოგო, დიაბი

ბოლო 6 მატჩი
+1=1-4 | +3=2-1

ურთიერთშეხვედრები
სულ 111 თამაში: +27=32-52 (126-181)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 17 | 11 | 3 | 3 | 42-19 | 36 |
| 2. არსენალი | 17 | 11 | 3 | 3 | 33-17 | 36 |
| 3. სიტი | 17 | 11 | 2 | 4 | 51-20 | 35 |
| 4. ჩელსი | 17 | 10 | 4 | 3 | 32-18 | 34 |
| 5. ევერტონი | 17 | 9 | 7 | 1 | 29-16 | 34 |
| 6. ნიუკასლი | 17 | 9 | 3 | 5 | 24-22 | 30 |
| 7. ტოტენჰემი | 17 | 9 | 3 | 5 | 18-23 | 30 |
| 8. იუნაიტედი | 17 | 8 | 4 | 5 | 28-20 | 28 |
| 9. საუთჰემპტონი | 17 | 6 | 6 | 5 | 22-18 | 24 |
| 10. სტოკი | 17 | 5 | 6 | 6 | 17-21 | 21 |
| 11. სუონსი | 17 | 5 | 5 | 7 | 23-23 | 20 |
| 12. ჰალი | 17 | 5 | 5 | 7 | 14-20 | 20 |
| 13. ასტონ ვილა | 17 | 5 | 4 | 8 | 17-23 | 19 |
| 14. ნორვიჩი | 17 | 5 | 4 | 8 | 15-29 | 19 |
| 15. კარდიფი | 17 | 4 | 5 | 8 | 13-25 | 17 |
| 16. ბრომვიჩი | 17 | 3 | 7 | 7 | 18-23 | 16 |
| 17. ვესტ ჰემი | 17 | 3 | 5 | 9 | 14-22 | 14 |
| 18. პალასი | 17 | 4 | 1 | 12 | 11-27 | 13 |
| 19. ფულჰემი | 17 | 4 | 1 | 12 | 17-34 | 13 |
| 20. სანდერლენდი | 17 | 2 | 4 | 11 | 12-30 | 10 |

**ბომბარდირები:** 19 - ლუის სუარესი (ლივერპული), 13 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 9 - დენიელ სტარიჯი (ლივერპული), იაია ტურე (მანჩესტერ სიტი)

ვესტ ჰემი


ჯეიმს ტომკინსმა „ვესტ ჰემი“ უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო

## ელერდაისი პრობლემებს ებრძვის

„ვესტ ჰემს“ განაცხადში 5 თავდამსხმელი კი ჰყავს, მაგრამ გუნდი მათგან სარგებელს პრაქტიკულად ვერ იღებს. **რიკარდო ვას ტემ** მხოლოდ 7 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა, ანალოგიური სტატისტიკა აქვს **კარლტონ კოულსაც, მაიგამ** 12 მატჩში ერთხელაც ვერ მოახერხა თანაგუნდელების დახმარება, **პეტრიჩს** სამჯერ მიეცა თამაშის საშუალება და თავი არ გამოუჩენია, **კეროლს** კი ტრავმის გამო ჯერ არ უთამაშია. ამის გათვალისწინებით, გაზეთები ხშირად წერენ ამა თუ იმ შემტევით „ვესტ ჰემის“ დაინტერესებაზე. *„ჩვენს სახელს ახლა უამრავ ფეხბურთელთან დააკავშირებენ. თუკი ლაპარაკი იქნება მაღალი დონის ფეხბურთელზე, პირობას გაძლევთ, რომ დავინტერესდებით, მაგრამ ამაზე მეტის თქმა ამ ეტაპზე შეუძლებელია,“* - აცხადებს **სემ ელერდაისი**.

„ჩაქუჩების“ პრობლემები მარტო თავდამსხმელებით რომ შემოიფარგლებოდეს, გუნდის დამრიგებელი ბედნიერი იქნებოდა. რამდენიმე დღის წინ პოლიციამ მთვრალი **ჯეიმს ტომკინსი** დააკავა და ცენტრალურ მცველს ხულიგნობისთვის ბრალი წაუყენა. ერთი სიტყვით, სიტუაცია კატასტროფულია. აი, რა თქვა „დიდმა სემმა“ ჩვენს ინგლისელ კოლეგებთან ინტერვიუში: *„ჩემს თავს ვერ მივცემ უფლებას, რომ ტომკინსის თაობაზე კომენტარი გავაკეთო. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ჯეიმსი იქ უნდა იყოს, სადაც ამჟამად იმყოფება. საქმე იმაშია, რომ დაწესებულება, სადაც ჩემი ფეხბურთელი დააკავეს, საეჭვო რეპუტაციისაა და იქ პოპულარულმა ადამიანებმა, წესით, მისვლა არ უნდა იკადრონ. ამბობენ, რომ ის ნასვამი იყო. რაკი მომდევნო თამაში 5-6 დღეში გვიწევდა მას თავისუფალი დღე ჰქონდა. სხვას ვერაფერს გეტყვით“.*

ამბები

## გამოცდილი კაცი ფულჰემში

„ფულჰემი“ გასავარდნი ზონიდან თავის დაღწევას მაქსიმალურად ცდილობს და ამისთვის ინგლისურ ფეხბურთში ქიპმოჭრილი ხალხი სჭირდება. **მარტინ იოლის** გათავისუფლების შემდეგ გუნდი ჰოლანდიელმა **რენე მალენსტენმა** ჩაიბარა. ახლადგამომცხვარ სპეციალისტს გუნდის გადარჩენაში ამიერიდან **ალან კერბიშლიც** შეაშველებს ხელს. 56 წლის ინგლისელს დედაქალაქურმა კლუბმა ტექნიკური დირექტორის პოსტი ჩააბარა. *„ალანის რჩევები ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს სეზონის დარჩენილ ნაწილში,“* - განაცხადა მალენსტენმა.

## ვან დერ ვილი სანიას ნაცვლად

ფრანგული წყაროების ცნობით, ლონდონის „არსენალი“ მომდევნო სეზონისთვის **ბაკარი სანიას** შემცვლელს ეძებს და თვალი „პარი სენ-ჟერმენის“ განაპირა მცველ **გრეგორი ვან დერ ვილს** დაადგა. 25 წლის ჰოლანდიელის სატრანსფერო ღირებულება 8 მილიონი ევროა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2016

# ევრო 2016-ის კონტურები




## ჩვენი იმედების და მოლოდინის აკროპოლისი

**ტურნირი, რომელსაც იმედით შევყურებთ, იმედით და მოლოდინით, რომელიც ქართველ გულშემატკივარს ყოველი ციკლის დაწყების წინ უჩნდება და სამწუხაროდ, ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპის მიმდინარეობისას, თანდათან იმედგაცრუებაში გადასდის. თუმცა ახლა ერთი დიდი განსხვავებაა: არა, ჩვენი ნაკრების პოტენციალს არაფერი შემატებია თუ არ მოაკლდა - უბრალოდ, ორ-ნახევარი წლის მერე საფრანგეთში 16-ის ნაცვლად 24 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას! ვნახოთ, როგორ გამოვიყენებთ უეფას საჩუქარს...**


ესპანეთის ნაკრები, ევრო 2012-ის ტრიუმფატორი

### ყურადღება ნიცაზე

ჯერ მუნდიალის დაწყებამდე ნახევარი წელიწადია დარჩენილი და ბუნებრივია, ევრო 2016-ის თემა არ არის აქტუალური, მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც ნაკრებებმა ბრაზილიის საგზური ვერ მოიპოვეს (ჩვენზე ვერ ვიტყვით, რომ საგზური ვერ მოვიპოვეთ - ჩვენ ვერც ვიბრძოლეთ) გაფაციცებით ელიან 23 თებერვალს და სასიხარულო ამბებს ნიცის „აკროპოლისიდან".

რა მოხდება ნიცაში 23 თებერვალს? რა და ევრო 2016-ის საკვალიფიკაციო ეტაპის კენჭისყრა! ჩვენც მაშინ გავიგებთ, თუ რომელ ნაკრებებთან მოგვიწევს ჭიდილი.

საფრანგეთის საკურორტო ქალაქის კონგრეს-პალასი სახელად „აკროპოლისი" უმასპინძლებს ცერემონიალს, 53 ევროპულ ნაკრებს (რაც რეკორდია) ჯგუფებად გაანაწილებს.

ევროპის ჩემპიონატების თითქმის 60-წლიან ისტორიაში პირველად ფინალურ ტურნირზე 24 ნაკრები ითამაშებს, შესაბამისად საგზურიც 24-ია. ეს კი შედარებით სუსტ ნაკრებებს შანსს აძლევს. შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატი პირველად 1960 წელს გაიმართა საფრანგეთში, შემდეგ, 1984 წელს ეს ტურნირი ისევ დაბრუნდა საფრანგეთში და ახლა ეს ქვეყანა მესამედ უმასპინძლებს ევროპის ჩემპიონატს, რომელიც უკვე მე-15-ედ გაიმართება.

### რომელ კალათაში იქნება საქართველო?

მაშ ასე, 23 თებერვალს საფუძველი ჩაეყრება ტურნირს, რომელიც 2016 წლის 10 ივლისს ფინალური მატჩით დაგვირგვინდება. ამ დღეებში უეფამ ოფიციალურად გამოაქვეყნა ევროპის ჩემპიონატის ჩატარების პროცედურის ყველა ასპექტი, პირველ რიგში კი ეს საკვალიფიკაციო ეტაპს ეხება. უეფას ალმასკომმა, რომელიც დეკემბერში ბილბაოში გაიმართა, ყველა ეს წესი დაამტკიცა.

საფრანგეთი, როგორც მასპინძელი ავტომატურად დაშვებულია პირველობაზე, დანარჩენი, უეფას წევრი 53 ქვეყანა კი კენჭისყრაში მიიღებს მონაწილეობას. ამგვარად, არ გამართლდა ვარაუდი, თითქოს, საფრანგეთის ნაკრებს საკვალიფიკაციო ეტაპზე უკონკურსოდ დაუშვებდნენ.

კალათებში გუნდებს უეფას ეროვნულ ნაკრებთა კოეფიციენტების მიხედვით განთესავენ. ამ კოეფიციენტებს კი იანვარში ნიონის ალმასკომის სხდომის შემდეგ გამოაცხადებენ. შეგახსენებთ, რომ ევრო 2012-ის შესარჩევი ციკლის წინ გამოქვეყნებულ უეფას კოეფიციენტებში საქართველოს ნაკრები 42-ე ადგილზე იყო. თუკი ჩვენი გუნდის მდგომარეობა დიდად არ შეიცვალა - **თემურ ქეცბაიას** ნაკრებს მე-5 კალათაში განთესენ. ერთი რამ უკვე ცნობილია - ჯგუფში რუსეთის ნაკრები მეტოქედ არ გვეყოლება, ამას უეფა არ დაუშვებს.

გუნდები 9 ჯგუფში განაწილდებიან, მათგან A ჯგუფში 5 ნაკრები ითამაშებს, დანარჩენში - 6-6. ჯგუფების ყველა გამარჯვებული, ყველა მეორეადგილოსანი და ერთი საუკეთესო მესამეადგილოსანი პირდაპირ მოხვდება ევროპის ჩემპიონატზე და დაემატება საფრანგეთს. ასე მივიღებთ 20 გუნდს. რჩება 4 საგზური, რომელსაც დარჩენილი 8 ჯგუფის მესამეადგილოსნები პლეი ოფში გაინაწილებენ.

### კიდევ ერთი ცვლილება: ფეხბურთის კვირა

ევროპის ჩემპიონატის მთავარი ცვლილება, რა თქმა უნდა, მონაწილეთა რიცხვის გაზრდაა, თუმცა სერიოზული ცვლილებებია საკვალიფიკაციო ეტაპის კალენდარშიც, ის ისეა შედგენილი, რომ რაც შეიძლება მეტი მატჩის გადაცემა მოხდეს ტელევიზიით პირდაპირ ეთერში.

ახალ კონცეფციას „ფეხბურთის კვირა" ჰქვია. საკვალიფიკაციო ეტაპის ტური ხუთშაბათიდან სამშაბათამდე გაიწელება. *„ადრე თუ ერთ დღეს 20-30 მატჩი იმართებოდა, ახლა დღეში დაახლოებით 8-10 მატჩი გაიმართება და ხალხიც უფრო კარგად აღიქვამს ტურნირს"*, - განაცხადა უეფას გენერალურმა მდივანმა **ჯანი ინფანტინომ.**

ევრო 2016-ის საკვალიფიკაციო ეტაპის ტურის მატჩები გაიმართება:

| | | |
|---|---|---|
| I ტური: | 7/8/9 სექტემბერი | 2014 |
| II ტური: | 9/10/11 ოქტომბერი | 2014 |
| III ტური: | 12/13/14 ოქტომბერი | 2014 |
| IV ტური: | 14/15/16 ნოემბერი | 2014 |
| V ტური: | 27/28/29 მარტი | 2015 |
| VI ტური: | 12/13/14 ივნისი | 2015 |
| VII ტური: | 3/4/5 სექტემბერი | 2015 |
| VIII ტური: | 6/7/8 სექტემბერი | 2015 |
| IX ტური: | 8/9/10 ოქტომბერი | 2015 |
| X ტური: | 11/12/13 ოქტომბერი | 2015 |
| პლეი ოფი I: | 12/13/14 ნოემბერი | 2015 |
| პლეი ოფი II. | 15/16/17 ნოემბერი | 2015 |

2015 წლის დეკემბერში პარიზში ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართება. ევრო 2016-ზე 6 ოთხ-გუნდიანი ჯგუფი იქნება.

### ქალაქები

ევროპის ჩემპიონატი საფრანგეთის 10 ქალაქში ჩატარდება: პარიზში, ბორდოში, ლილში, მარსელში, სენტ ეტიენში, სენ დენიში, ლანსში, ლიონში, ნიცაში და ტულუზში.



ნიცას აკროპოლისი, სადაც თებერვალში ევრო 2016-ის კენჭისყრა გაიმართება

ოქროს ბურთი

# დელ ბოსკეს რჩეულები


ვისენტე დელ ბოსკე

ესპანეთის ნაკრების თავკაცმა ვისენტე დელ ბოსკემ ჟურნალისტებს გაანდო, თუ ვის მისცა ხმა „ოქროს ბურთის" გამოკითხვაში: „მე ხმა მივეცი ჩავის, ინიესტას და რიბერის. ჩემი გონებით ვხელმძღვანელობდი და ეს გადაწყვეტილება მივიღე. არ მინდა ამის გამო ომი და დავიდარაბა, ეს ამად არ ღირს. ჩემი მესამე არჩევანი ლოგიკურია, რიბერიმ მოიგო ყველაზე მეტი ტიტული".

ამბები

### აიალა ვალენსიაში დაბრუნდა

„ვალენსიას" სპორტული დირექტორის თანამდებობაზე ამ კლუბის ყოფილი მცველი **რობერტო აიალა** დაინიშნა. 40 წლის აიალა 2000-2007 წლებში თამაშობდა „ღამურების" შემადგენლობაში და „ვალენსიასთან" ერთად ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი. არგენტინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა შემდეგი განაცხადა: *„ვალენსიაში რომ ჩამოვდიოდი, ყოველთვის ვგრძნობდი ხალხის სიყვარულს. ღმერთმა ქნას, შევძლო ამ პასუხისმგებელ თანამდებობაზე კლუბისთვის სარგებლის მოტანა".*

### დელ ნიდო შეწყალებას ითხოვს

„სევილიას" ყოფილმა პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ ნიდომ** ესპანეთის მთავრობას შეწყალება სთხოვა. დელ ნიდოს ქალაქ მარბელიის საბიუჯეტო თანხების მითვისება დაუდასტურდა, რის გამოც მას 7-წლიანი პატიმრობა ელის. სწორედ ამის გამო ჩამოშორდა ფუნქციონერი „სევილიასაც". ახლა დელ ნიდო საჭირო რაოდენობის ხელმოწერების შეგროვებას აპირებს რათა მთავრობისაგან შეწყალება მიიღოს.

### მარტინოს არ უშვებენ

ბოლო დღეებში დაირხა ხმები, თითქოს, „ბარსელონას" ხელმძღვანელობა უკმაყოფილოო **ხერარდო მარტინოს** მუშაობით და მის გაშვებას აპირებს. ეს ხმები გუშინ „ბარსას" ვიცე-პრეზიდენტმა **ხოსეპ მარია ბარტომეუმ** უარყო: *„მარტინოს „ბარსელონასთან" 2015 წლამდე კონტრაქტი აკავშირებს. ის ყველაფრით კმაყოფილია კლუბში და არსად წასვლას არ აპირებს, არც ჩვენ ვართ ამის წინააღმდეგნი".*

### გარდიანი: მესი საუკეთესოა



„გარდიანმა" გამოაქვეყნა 2013 წლის ასი საუკეთესო ფეხბურთელის სია, რომელსაც სათავეში „ბარსელონას" 26 წლის არგენტინელი ლიდერი **ლიონელ მესი** უდგას. გაზეთის 15-მა ექსპერტმა უპირატესობა მესის მიანიჭა, მეორე ადგილზე **კრიშტიანო რონალდო** გავიდა, მესამეზე - **ზლატან იბრაჰიმოვიჩი.**

ათეულში მოხვდნენ: **ფრანკ რიბერი, ანდრეს ინიესტა, ნეიმარი, გარეთ ბეილი, ჩავი ერნანდესი, ლუის სუარესი** და **სერხიო აგუერო.**

### რონალდო: წლის საუკეთესო ბომბარდირი

„მარკამ" გამოითვალა და 2013 წლის საუკეთესო ბომბარდირად **კრიშტიანო რონალდო** დაასახელა 69 გოლით (ესპანური გამოცემა პორტუგალიელს ჯიუტად უთვლის ერთ-ერთ გოლს, რომელიც სხვა გამოცემებმა ავტოგოლად აღიარეს). 69-დან 38 გოლი მან ლა ლიგაში გაიტანა, 15 ჩემპიონთა ლიგაზე, 6 სამეფო თასზე და 10 პორტუგალიის ნაკრებში.

მეორე ადგილზე გავიდა ზლატან იბრაჰიმოვიჩი 47 გოლით, ლიონელ მესი მხოლოდ მესამეა 45 გოლით. შემდეგ მოდიან: ლუის სუარესი (42 გოლი), ედინსონ კავანი (41), რობერტ ლევანდოვსკი (39), დიეგო კოშტა (36), ჯექსონ მარტინესი (33), რობინ ვან პერსი (31) და სერხიო აგუერო (30).

გვერდი მოამზადა **ნიკოლოზ ნეფარიძემ**



ჭადრაკი

# ფინიშამდე სამი ტურით ადრე

არაბთა გაერთიანებული საამიროების ქალაქ ალ-აინში დასასრულს უახლოვდება 8-18 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიოს პირველობა, რომელშიც საქართველოს 23 წარმომადგენელი მონაწილეობს. რვა ტურის შემდეგ მათგან მხოლოდ 16-წლიანებში **გიორგი სიბაშვილი და მარიამ ჭოლაძე** ყოჩაღობენ. სიბაშვილს 8 ტურში 6 ქულით მე-4 ადგილი უკავია, თუმცა ასევე 6-6 ქულა აქვს კიდევ 10 მოჭადრაკეს. 7 ქულით რუსი კირილ ალექსეენკო მეწინავეობს. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ბათუხან მუჰამად დასტანი (თურქეთი) და დავიდ პარავიანი (რუსეთი) ჩამორჩებიან. ამავე ასაკის გოგონებში წარმატებით ასპარეზობს მარიამ ჭოლაძე. რვა შესაძლებლიდან მან მარიოლა ვოზნიაკის (პოლონეთი) მსგავსად 6 ქულას მოუყარა თავი (10-წლიანებში **თამარ ესაძეც** 6 ქულითაა, მაგრამ მე-13-ეა) და მერვე ადგილზეა. პირველ-მეშვიდე ადგილებს კი მისი თანატოლები 6.5-6.5 ქულით ინაწილებენ. დანარჩენ ჩვენს მოჭადრაკეებს მოკრძალებული შედეგები აქვთ.


მარიამ ჭოლაძე

გუშინ მსოფლიოს პირველობის მონაწილეები ისვენებდნენ. დღეს მე-9 ტურის შეხვედრები გაიმართება. ქართველები მეტოქეებს ასე დაუწყვილდნენ:

**8-წლიანები.** იკლინ შუქია (ალბანეთი)-**სალომე ბეიტრიშვილი,** ვასელ ბუსმაჯუჰ (ალჟირი)-**გიორგი ლომინაძე.** რვა ტურის შემდეგ: **46.** ბეიტრიშვილი-4, **95.** ლომინაძე4 ქულა.

**10-წლიანები. თამარ ესაძე**-მოტაჰარ ასადი (ირანი), **ეკატერინე ფიფია**-გერგანა პეიჩევა (ბულგარეთი). **13.** ესაძე-6, **24.** ფიფია-5.5; **ნიკოლოზ კაჭარავა**-ჰანვენ დანიელ გონგი (ახალი ზელანდია). **46.** კაჭარავა-5 ქულა.

**12-წლიანები. ელენა კოსტავა**-ჯენიფეი იულა (აშშ). **22.** კოსტავა-5.5; **ლუკა ობოლაძე**-ჟეჰაი ჟანი (კანადა), **კოკა ბუკია**-რობერტ შტეინი (გერმანია), **ნიკა ხვადაგიანი**-რაბეა ალ-შაჰვანი (ერაყი). **93.** ობოლაძე-4, **132.** ბუკია-3.5, **146.** ხვადაგიანი-3.5 ქულა.

**14-წლიანები.** მინ თი ნგუენი (ვიეტნამი)-**ნინო ჯალალონია, თეა ჭოლაძე**-პანსიკა მენდისი (ირანი). ჟან აბდიმაში (ყაზახეთი)-**მარიამ ჯავახიშვილი. 36.** ჯალალონია-4.5, **75.** ჭოლაძე-3.5, **100.** ჯავახიშვილი-3; **47.** ლუკა ლიჩელი-5, **70.** აბსარიძე-4.5, **94.** გვენეტაძე-4, **117.** თავზარაშვილი-3.5 ქულა.

**16-წლიანები.** ირენ ნიკოლასი (ესპანეთი)-**მარიამ ჭოლაძე. 8.** ჭოლაძე-6, კუშიკ გირიში (ინდოეთი)-**გიორგი სიბაშვილი, ნიკოლოზ ქუმსიაშვილი**-სამილ ფაზრახმანოვი (რუსეთი), **ნოე თუთისანი**-სუმიია ბილგუუნი (მონგოლეთი)

კრისტოფერ ვუ (აშშ)-**ნიკა ლვამბერია. 4.** სიბაშვილი-6, **38.** ქუმსიაშვილი-5, **49.** ლვამბერია-4.5, **50.** თუთისანი-4.5 ქულა.

**18-წლიანები. ნანი უნაფქოშვილი**-ფილიზ ოსმანოჯა (გერმანია). **27.** უნაფქოშვილი-5 ქულა.

ვაჟა დანელია

ხელბურთი

# ჯერ თელ-ავივი, მერე ანკარა

სასპორტო კომპლექს „არენაში" გუშინ ღია ვარჯიში გამართა საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა, რომელიც დღეს დილით ისრაელში გაემგზავრა. ეროვნული გუნდის სერბმა მთავარმა მწვრთნელმა **ჯორჯე რაშიჩმა** საასპარეზოდ 14 ხელბურთელი (**შოთა თევზაძე** (ბაკეუ, რუმინეთი), **გიგა ტორონჯაძე** (ტრაბზონსფორი, თურქეთი), **გიორგი გვაზავა** (სტუ), **უჩა მაისურაძე** (ბათუმი), **ვლადიმერ რუსია** (ბაკეუ, რუმინეთი), **ირაკლი ჩიქოვანი** (ტიმიშოარა, რუმინეთი), **რატი მსხვილიძე** (ტრაბზონსფორი, თურქეთი), **ლექსო წითელიშვილი** (სამტრედია), **ზურაბ სიმონია** (სტუ), **თემურ ორჯონიკიძე** (სტუ), **აკაკი ტალახაძე, უჩა გამზარდია** (ბათუმი), **ოთარ ამირანაშვილი** (სტუ), **ზურაბ აბრამიშვილი** (სტუ), მწვრთნელები **-ბექარ ორჯონიკიძე, ირაკლი კეკელიძე**) წაიყვანა. **რევაზ ჭანტურია** (სტრუმიცა, მაკედონია) და **სერგო დათუკაშვილი** (ალ კიადა, ყატარი) ნაკრებს თურქეთში შესარჩევი მატჩის წინ შეუერთდებიან. მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თამაში ანკარაში 2 იანვარს ჩვენი დროით 20:00 დაიწყება. მსაჯები არიან **მილან ჰაიეკი და კარელ მაქო** (ორივე ჩეხეთი), დელეგატია **ანდრეი ანდრეევი** (ბულგარეთი).

საქართველოს ნაკრები თელ-ავივში იცხოვრებს და 26, 29, 30 დეკემბერს ივარჯიშებს, 27 და 28 დეკემბერს კი ისრაელის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩებს გამართავს აშდოდსა და რიშონში. ქართველი ხელბურთელები 31 დეკემბერს ანკარაში ჩაფრინდებიან. 5 იანვარს თურქეთთან განმეორებით პაექრობას თბილისის სპორტის სასახლეში უმასპინძლებს.

ევროპის პირველი საკვალიფიკაციო ჯგუფის კალენდარი:

**2 იანვარი.** ფინეთი - ლიტვა, თურქეთი - საქართველო,

**4 იანვარი.** ლიტვა - ფინეთი, **5 იანვარი.** საქართველო - თურქეთი,

**8 იანვარი.** საქართველო - ლიტვა, თურქეთი - ფინეთი,

**11 იანვარი.** ფინეთი - საქართველო,

**12 იანვარი.** ლიტვა - თურქეთი

პლეი ოფში ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გადის. იქ კი ორი მატჩის ჯამში (შინ და სტუმრად) საუკეთესო ყატარში 2015 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსინჯავს ძალებს.

ვაჟა დანელია



კალათბურთი



ინტერვიუ გიორგი ცინცაძესთან

# დონეცკიდან წასვლა მინდოდა, მაგრამ ვრჩები

## მე თუ მკითხავთ, იგორ კოკოშკოვმა მუშაობა უნდა განაგრძოს

საქართველოს ეროვნული ნაკრების გამთამაშებელი გიორგი ცინცაძე მიმდინარე სეზონში უკრაინული „დონეცკის" ღირსებას იცავს. რიგ მატჩებში სასტარტო პლეიმეიქერია, ზოგჯერ სათადარიგოთა სკამიდან იწყებს. ვითიბი ლიგაზე საშუალოდ 22 წუთში 5.1 ქულასა და 3.6 პასს აგროვებს, ხოლო უკრაინის ჩემპიონატში საშუალოდ 18 წუთში - 5.4 ქულასა და 3.3 პასს.

საინტერესოა, რამდენად კმაყოფილია გიორგი დონეცკური კარიერით და საერთოდ, რა მიზნებს ისახავს მისი გუნდი მიმდინარე სეზონში. ამ საკითხებზე გიორგისთან თბილისში ვილაპარაკეთ - მატჩებს შორის მცირე შუალედი გამოჩნდა და ცინცაძე ოჯახთან ერთად საქართველოში 29 დეკემბრამდე ჩამოვიდა.

**- შარშან კიევში თამაშობდი, წლეულს დონეცკში ხარ. ახალ გარემოს როგორ შეეგუე?**

- დონეცკი კარგი ქალაქია, თუმცა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლისას პრობლემა არასოდეს შემქმნია. გუნდმა ბინაც მომცა და საეროდ, პირობებს ნამდვილად არ ვუჩივი, რასაც ვერ ვიტყვით სათამაშო მხარეზე.

**- „დონეცკის" შეხვედრებს პირდაპირ ეთერში ხშირად ვადევნებ თვალს და რჩება შთაბეჭდილება, რომ გუნდი ჯერაც საკუთარი თამაშის ძიებაშია...**

- ნამდვილად ასეა, თამაში ჯერაც არ უპოვია, თუმცა როდის მოახერხებს ამას, თქმა მიჭირს. რაც შეეხება ჩემს გამოსვლას, ალვნიშნავ, ვერც მე ვიპოვე საკუთარი თავი „დონეცკში".

**- შუა სეზონში „დონეცკმა" დაიმატა გამთამაშებელი დარელ მიჩელი. ამის შემდეგ მწვრთნელს, ვალერი პლეხანოვს უკრაინელმა ჟურნალისტებმა უკანახაზელებზე რომ ჰკითხეს, უპასუხა - გიორგი ცინცაძე გუნდში რჩებაო.**

- სხვათა შორის, გუნდიდან წასვლა მინდოდა, მქონდა საინტერესო შეთავაზებებიც. დაველაპარაკე ხელმძღვანელობას, მაგრამ გაშვებაზე უარი მითხრა.

**- შესაძლოა სწორედ ამ შეხვედრის გამოისობით, ბოლო დროს სათამაშო დრო მოგემატა...**

- მოედანზე 40 წუთიც რომ ვიყო, კმაყოფილი მაინც ვერ დავრჩები, რადგან არ ვთამაშობ იმას, რაც მსიამოვნებს. საპირისპიროდ, შესაძლოა, მწვრთნელმა 10 წუთი მოგცეს, მაგრამ სწორი კალათბურთით მატჩის შემდეგ კმაყოფილი დარჩე.

**- სწორ კალათბურთში რას გულისხმობ?**

- სათამაშო დისციპლინას, კომბინაციების კარგად შესრულებას და გუნდის ერთ სისტემაში მოქცევას. ჩვენთან კი ინდივიდუალური კალათბურთია, გუნდურად ვერ ვთამაშობთ, რაც ჩემთვის მიულებელია.

**- სხვა მხრივ, გუნდში რა სიტუაციაა?**

- სიტუაცია ნორმალურია, კალათბურთელებთან კარგი ურთიერთობები მაქვს. რაც მთავარია, თამაშებს ვიგებთ და კლუბის ხელმძღვანელობაც კმაყოფილია.

**- რა მიზნებს გისახავთ?**

- სეზონის დასაწყისში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა და არაფერი უთქვამთ ჩემპიონობაზე, თუმცა მოგებას მოგება რომ მივაყოლეთ, ხელმძღვანელობასაც და კალათბურთელებსაც მადა მოგვემატა და ვეცდებით, უკრაინის ჩემპიონატში პირველობისთვის ვიბრძოლოთ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი კარგი გუნდია და თუნდაც ფინალის საგზურის მოპოვება რთული იქნება.

**- ბოლო მატჩში „ხიმიკთან" დამარცხდით. კიდევ ვინ მიგაჩნია უშუალო კონკურენტად?**

- „ხიმიკი" მართლაც ძლიერია და ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ვთვლი. ასევე სერიოზული გუნდია „ბუდიველნიკი"...

**- ბუდიველნიკელთა შემადგენლობაში შარშან ჩემპიონობა მოიპოვე. წლეულს ამ გუნდთან შეხვედრისას თავარ მწვრთნელ აინარს ბაგაცკისს თუ ელაპარაკე. ხომ არ უთქვამს, რატომ ალარ დაგიძახა მიმდინარე სეზონის წინ, როცა გუნდს საევროლიგოდ აკომპლექტებდა?**

- ამის შესახებ არაფერი მიკითხავს, თამაშის წინ შეხვედრისას კი ერთმანეთი მოვიკითხეთ.

**- მწვრთნელის თემა იგორ კოკოშკოვით განვაგრძოთ. ბოლო დროს აქტუალური მსჯელობაა მისი გუნდში დარჩენა-არდარჩენის შესახებ. საინტერესოა ნაკრების თითოეული წევრის მოსაზრება მთავარ მწვრთნელთან დაკავშირებით.**

- იგორ კოკოშკოვი ჩვენს ნაკრებში 2008 წელს მოვიდა და ყოველწლიურად კარგ შედეგს უჩვენებს. ამიტომ, მისი ნაკრებში დარჩენა ალოგიკური სულაც არ არის. საერთოდ, უკეთესი მწვრთნელის პოვნა ყოველთვის და ნებისმიერ გუნდში შეიძლება. ეს ფედერაციის ხელმძღვანელობის გადასაწყვეტია, თუმცა მე თუ მკითხავთ, იგორ კოკოშკოვი უნდა დარჩეს.

ვაჟა სიმონიშვილი

კალათბურთი. საერთაშორისო სტუდენტური ლიგა

# ტექნიკოსებმა ფრიადით დაასრულეს

25 დეკემბერი. თბილისი
სპორტკომპლექსი არენა
სტუ (თბილისი)-ხპი (ხარკოვი) 80:75
26:17, 17:21, 17:19, 20:18

**სტუ:** ანთაძე (9ქ, 6პ, 5მ), გრძელიძე (12ქ, 4პ), ჯიქია (2ქ), ცირეკიძე (2ქ), მათიაშვილი (7ქ, 8მ, 3პ), ლომინაშვილი (15ქ, 11მ, 3პ, 3ჩ), ალხანაიძე (18ქ, 7მ), ქორიძე (4ქ), დეკანოიძე (11ქ, 8მ).

**ხპი:** მიხაილოვი (10ქ, 4პ), ოლხოვსკი (8მ), ბოროვსკი (14ქ), ჩერნიავსკი (6ქ), საინიევი (9ქ, 9მ), კოზლოვი (4ქ, 5მ, 5პ), შარაპოვი (2ქ), როჩნიაკი (22ქ, 10მ), ტელეშკო (8ქ).

| გუნდი | მ | წ | ქ |
| --- | --- | --- | --- |
| 1. ხპი (ხარკოვი) | 8 | 2 | 18 |
| 2. მგუ (მოსკოვი) | 8 | 2 | 18 |
| 3. სტუ (თბილისი) | 6 | 4 | 16 |
| 4. კპი (კიევი) | 4 | 6 | 14 |
| 5. რსფუ (როსტოვი) | 2 | 8 | 12 |
| 6. რსეუ (როსტოვი) | 2 | 8 | 12 |

ისევ სპორტკომპლექსი „არენა" და ისევ 80:75. სამშაბათს ამ ანგარიშით ქორქია-საკანდელიძის მემორიალის ფინალში „დინამომ" „სოხუმი" დაამარცხა, ხოლო ოთხშაბათს საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა - ხარკოვის ნტუ.

ოღონდ, მატჩების ხასიათი სხვადასხვა იყო. თუ სამშაბათს გუნდები ფინალს თამაშობდნენ, ოთხშაბათს ხარკოვისა და თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტები ჯგუფში ბოლო მატჩს ატარებდნენ და მომდევნო ეტაპის საგზური ორივეს ჯიბეში ედო. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ იბრძოლეს.

თბილისელებს სტუმრად 5 ქულის სხვაობით ჰქონდათ ნაგებული და ქართველი ქომაგის წინაშე ხარკოველებთან რევანში ჰქონდათ ასალები. ჩვენმა გუნდმა პირველივე პერიოდში მოიპოვა უპირატესობა და საბოლოოდ სწორედ იმ სხვაობით გაიმარჯვა, რამდენითაც ხარკოვში წააგო.



მატჩში მონაწილეობა არ მიუღია ჩვენი გუნდის ერთ-ერთ ლიდერ **რეზო დიდიას.** შესაძლოა, ამიტომაც ქართველებმა მხოლოდ 1 სამქულიანის ჩაგდება მოახერხეს, საკუთარ კალათში კი 9 შორეული ტყორცნა მიიღეს. როსტოველებს ქართველთა ფარქვეშ შეღწევა რომ უჭირდათ. ამიტომაც გააკეთეს აქცენტი შორეულ ტყორცნებზე. რეალიზებულ ორქულიანებში კი დიდი უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო - 32:17.

ასე და ამგვარად, სტუ პლეი ოფში მესამე ადგილით გავიდა. მერვედფინალში მისი მეტოქე პირველი ჯგუფის მეორეადგილოსანი მოსკოვის რპა იქნება. მათ შორის გამარჯვებული ორი მატჩის მიხედვით (ერთი შინ ერთი სტუმრად) გამოვლინდება.

ვაჟა სიმონიშვილი

ქართველი NBA-ში

## 3 წუთი

მორიგი მატჩი დათმო „ბრუკლინ ნეთსმა", რომლის შემადგენლობაში 3 წუთი ითამაშა თორნიკე შენგელიამ. დროის ამ მონაკვეთში ქართველმა თავდამსხმელმა ბურთის ერთხელ მოხსნა მოასწრო.

„ბრუკლინი" კი შინ „ჩიკაგოსთან" 78:95 დამარცხდა.

ვაჟა სიმონიშვილი



# საქართველოს 2013 წლის რჩეული სპორტსმენი

წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ვაგრძელებთ მკითხველთა ვერსიით ყოველწლიურ ტრადიციულ გამოკითხვას

/კანდიდატების სია შედგენილია ანბანის მიხედვით/

- ☐ **ალექსანდრე ამისულაშვილი** - ფეხბურთი
- ☐ **ვლადიმერ გეგეშიძე** - ბ\რ ჭიდაობა, ევროპა II
- ☐ **მამუკა გორგოძე** - რაგბი
- ☐ **ლაშა გურული** - სამბო, მსოფლიო II, ევროპა III
- ☐ **ზურაბ დათუნაშვილი** - ბ\რ ჭიდაობა, ევროპა II
- ☐ **გიორგი ედიშერაშვილი** - თავ. ჭიდაობა, ევროპა I
- ☐ **ჯაბა კანკავა** - ფეხბურთი
- ☐ **გურამ კაშია** - ფეხბურთი
- ☐ **მერაბ კვირიკაშვილი** - რაგბი
- ☐ **ნიკო კუცია** - სამბო, ევროპა II
- ☐ **ვალერი ლიპარტელიანი** - ძიუდო, მსოფლიო II, ევროპა II
- ☐ **გიორგი ლორია** - ფეხბურთი
- ☐ **კახა მამულაშვილი** - სამბო, მსოფლიო III, ევროპა III
- ☐ **მანუჩარ მარკოიშვილი** - კალათბურთი
- ☐ **დავით მარსაგიშვილი** - თავ. ჭიდაობა, ევროპა I
- ☐ **ნოდარ მეტრეველი** - სამბო, მსოფლიო III, ევროპა II
- ☐ **ლევან ნახუცრიშვილი** - სამბო, მსოფლიო I
- ☐ **ადამ ოქრუაშვილი** - ძიუდო, ევროპა II
- ☐ **ამირან პაპინაშვილი** - ძიუდო, ევროპა I
- ☐ **გენო პეტრიაშვილი** - თავ. ჭიდაობა, ევროპა III
- ☐ **ზებედა რეხვიაშვილი** - ძიუდო, ევროპა III
- ☐ **ნინო სალუქვაძე** - ტყვიის სროლა, მსოფლიოს თასი II
- ☐ **ვიქტორ სანიკიძე** - კალათბურთი
- ☐ **ნუგზარ ტატალაშვილი** - ძიუდო, ევროპა II
- ☐ **გურამ ფერსელიძე** - ბ\რ ჭიდაობა, ევროპა III
- ☐ **პაატა ღვინიაშვილი** - ქართული ჭიდაობა, საქართველოს ფალავანი
- ☐ **ლაშა შავდათუაშვილი** - ძიუდო, ევროპა I
- ☐ **მერაბ შარიქაძე** - რაგბი
- ☐ **გიორგი შერმადინი** - კალათბურთი
- ☐ **ვახტანგ ჩიდრაშვილი** - სამბო, მსოფლიო I, ევროპა II
- ☐ **გიორგი ცინცაძე** - კალათბურთი
- ☐ **ავთანდილ ჭრიკიშვილი** - ძიუდო, მსოფლიო II, ევროპა I
- ☐ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** - თავ. ჭიდაობა, ევროპა III

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ სპორტსმენები, ვინც დიდებში, ანდა, პარალელურად ახალგაზრდებში, 2013 წელს თავი გამოიჩინეს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, აგრეთვე სპორტის სათამაშო სახეობებიდან პოპულარობის ინდექსით.*

*თქვენი რჩეული სპორტსმენი შეიტანეთ ჩვენ მიერ შემოთავაზებულ ანკეტაში და გამოგზავნეთ რედაქციაში, ან დააფიქსირეთ სპორტულ საიტზე www.sportall.ge ან გვაცნობეთ ტელეფონით ნომრებზე: 219 60 13; 219 60 53 (10-დან 18 საათამდე, 29 დეკემბრამდე).*

სამთო თხილამურები

# იტალიური ბრინჯაო

კურორტ პასო სან პელეგრინოში (იტალია) სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა სლალომში შესანიშნავად იასპარეზა საქართველოს სათხილამურო ნაკრების წევრმა **ნინო წიკლაურმა.** ქართველმა სპორტსმენმა ნინომ მესამე ადგილი დაიკავა და 65.87 ქულა დაიმსახირა. ნინომ თავისი რეიტინგი 11 ქულით გაიუმჯობესა. ალსანიშნავია, რომ წიკლაურმა მეორე ცდაზე საუკეთესო დრო აჩვენა. პირველ და მეორე ადგილებზე იტალიელი მოთხილამურეები: მატილდე მინოტო და სარა პერონი გავიდნენ.

გულშემატკივრებს შევახსენებთ, რომ ნინო წიკლაური სოჭის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში გამოსასვლელად ემზადება - ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ტრასებზე გამოდის და fis-ის ქულებს იუმჯობესებს, რითაც ოლიმპიადაზე შესაბამის სასტარტო ნომერს მოიპოვებს (სპორტის ამ სახეობაში სასტარტო ნომერს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან შეჯიბრების მსვლელობისას ტრასა უარესდება და, შესაბამისაც, კარგი დროის ჩვენება ძნელდება.)

ვაჟა დანელია


ნინო წიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული - 2013. ჟამი ფიქრისა და განსჯისა

# ქართული ჭიდაობის სიყვარული გენში გვაქვს

**2013 წელი ქართული ჭიდაობისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა. აიგო ახალი საჭიდაო არენები, ჩატარდა მაღალი დონის შეჯიბრებები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. ბოლოს კი ჭიდაობის გულშემატკივარმა სეზონის დასკვნითი შეჯიბრება „საქართველოს ფალავნობა 2013" იხილა თბილისის ცირკის არენაზე. ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი „ლელოს" თხოვნით, აჯამებს წლის მონაგარს.**

- ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტად მოსვლისთანავე უმთავრეს მიზნად ქართული ჭიდაობის პოპულარიზაცია დავისახეთ და საამისოდ მთელი წლის განმავლობაში აქტიურად ვზრუნავდით და ვზრუნავთ. აუცილებლობად მიგვაჩნია ქართული ჭიდაობის სექციების ამოქმედება მთელ საქართველოში კვალიფიციური მწვრთნელების ხელმძღვანელობით. სპორტის სხვა სახეობების დარად, ქვეყნის ჩემპიონატში გამარჯვებული ფალავნებისთვის ხელფასის დანიშვნა ჩვენც უნდა შევძლოთ. გვაქვს სხვა გეგმებიც თუმცა ჯერჯერობით დაფინანსება მწირია. ხელისუფლებას უკვე წარვუდგინეთ ქართული ჭიდაობის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. მუდამ ვგრძნობთ სპორტის სამინისტროს თანადგომას და ამ შემთხვევაშიც გვაქვს მხარდაჭერის იმედი. პროგრამის დაფინანსების შემთხვევაში გაისად გაცილებით შთამბეჭდავ ნაბიჯებს გადავდგამთ.

**- 2013 წლის ქართული ჭიდაობის ყველაზე სერიოზულ წარმატებად, ალბათ, ახალი საჭიდაო არენების აგებას მიიჩნევთ?**

- რასაკვირველია, აქამდე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ერთ წელიწადში ამდენი ახალი კეთილმოწყობილი ღია საჭიდაო სარბიელი აშენდებოდა ჩვენს ქვეყანაში. შეგახსენებთ, რომ ინიციატივა პირადად ბატონ ბიძინა ივანიშვილისგან მოდის. იგი



მარცხნიდან: გელა ბერუაშვილი, ბიძინა ივანიშვილი, პაატა ლვინიაშვილი

თავდაპირველად დაგვპირდა, რომ საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" დახმარებით 20 არენას აგვიშენებდა, მაგრამ როცა პირადად ნახა, თუ როგორი ანშლაგებით ტარდებოდა შეჯიბრებები, დაგეგმილ სარბიელების რაოდენობა 70-მდე გაზარდა. 17 სარბიელი უკვე გავხსენით, ცოტა ხანში დავიწყებთ მშენებლობის მეორე ეტაპს. 2014 წელსაც ბევრი შეჯიბრება იგეგმება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ მოვუწოდებ მუნიციპალიტეტებს, გუნდების მისავლინებლად ბიუჯეტში შესაბამისი თანხები გამოყონ.

**- არენების აგების ადგილებს რა კრიტერიუმით არჩევთ?**

- არენებს ვაშენებთ დიდ სოფლებში, ოღონდ იქ, სადაც ჭიდაობის სიყვარული ტრადიციულად მოსდგამთ. 2013 წელს ასპარეზობებმა უამრავი მაყურებლის თანდასწრებით ჩაიარა.

**- როგორი შთაბეჭდილება დატოვა სპორტსმენთა ოსტატობის დონემ...**

- ისეთი დაძაბული, საინტერესო პაექრობები ვიხილეთ, ძნელია უკმაყოფილო დარჩენილიყო ვინმე. ძალიან მომეწონა პაატა ლვინიაშვილის, გიორგი და ზურაბ ნოზაძეების, ლაშა გიუნაშვილის და სხვების ჭიდაობა. ისინი ხშირად მონაწილეობდნენ შეჯიბრებებში და მეტწილად იმარჯვებდნენ კიდეც. ამასთან ვაკვირდებოდი, რომ უფროსების შერკინებათა დასრულების მერე ყოველთვის რჩებოდნენ ბავშვები ნახერხზე და დიდხანს განაგრძობდნენ ხალისიან ჭიდაობას. ეს არის დასტური იმისა, რომ იქ „კიდევაც დაიზრდებიან" ფალავნები.

**- თბილისელებმაც იხილეს საინტერესო პაექრობები...**

- 26 მაისს, რუსთაველის პროსპექტზე, დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებების პროგრამაში ქართულ ჭიდაობაში საჩვენებელი შეჯიბრებებიც ჩატარდა. სახელდახელოდ მოწყობილ არენას უამრავი მაყურებელი მოაწყდა, ცნობილი საჭიდაო ავაჟღერებინეთ მუსიკოსებს და პუბლიკა დიდად კმაყოფილი დარჩა.

**- ხშირად სოფლად შეჯიბრებებს ადგილობრივი ჩვეულებრივი გულშემატკივრებიც კი მსაჯობდნენ...**

- ახლა ეროვნული კატეგორიის არბიტრები მსაჯობდნენ ყველგან. ასეთ დროს მაყურებლის ეჭვი მცდარ გადაწყვეტილებაზე ნაკლებია. ამასთან შესაბამის ფორმაში გამოწყობილი არბიტრი ღონისძიებას უფრო სრულყოფილ იერს აძლევს. იგეგმება მსაჯთა კადრების მომზადება-გადამზადებაც.

**- რეგიონული ფედერაციების ეფექტურობაზე რას იტყვით?**

- რეგიონული ორგანიზაციები კი დავაფუძნეთ, მაგრამ მწირი დაფინანსების გამო ნაკლებეფექტურია მუშაობა. თვით ჩვენი ფედერაციის სათავო ოფისიც კი ორ ოთახშია შეკედლებული. სამწუხაროდ, მხოლოდ სახელმწიფოს იმედად ვართ. სამარცხვინოა, რომ სპონსორები არ ინტერესდებიან ქართული ჭიდაობით. ერთადერთი აქამდე ბატონი დავით ზეიკიძე და მისი კომპანია გვედგა გვერდში. იმედია, სპონსორები მომავალში მაინც გამოჩნდებიან.

**- ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანისთვის რა კეთდება?**

- ვმუშაობთ, მოგეხსენებათ მსოფლიოს არაერთი ქვეყანა იწონებს თავს ეროვნული ჭიდაობით (ირლანდია, შვედეთი, აზერბაიჯანი, შუა აზიის ქვეყნები). ზოგიერთი გავს კიდეც ქართულ ჭიდაობას. გვინდა იმ ფედერაციებთან დავამყაროთ ურთიერთობა, ერთობლივად ჩავატაროთ საერთაშორისო შეჯიბრებები. უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსაც აქვთ სურვილი გახსნან ქართული ჭიდაობის შემსწავლელი ჯგუფები. ვცდილობთ მათ ხელი შევუწყოთ, გავუგზავნოთ თუნდაც საჭიდაო ჩოხები.

**- ბოლოს უმთავრეს შეჯიბრებას, „2013 წლის ფალავნობასაც" შევეხოთ.**

- ფალავნობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად ყველაფერი გავაკეთეთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, აგრეთვე დავით ზეიკიძის კომპანიის თანადგომით. დაწესდა სოლიდური საპრიზო ფონდი, აბსოლუტური ფალავანი დაჯილდოვდა ძვირადღირებლი ავტომანქანით. შეჯიბრების თბილისის ცირკის არენაზე გამართვით შევძელით ალგვედგინა ტრადიცია. აბსოლუტური ფალავანი დამსახურებულად გახდა ქარელელი ფალავანი პაატა ლვინიაშვილი, რომელმაც 2013 წელს ნახერხმოყრილ სარბიელზე ბევრჯერ მოიპოვა პირველობა და შეიძლება ითქვას, რომ მას ქართული ჭიდაობის სიყვარული და ერთგულება დაუფასდა.

მჯერა, რომ 2014 წელი უფრო საინტერესო და ნაყოფიერი იქნება. ქართული ჭიდაობა ჩვენი ეროვნული საგანძურია და მისი პოპულარიზაციისათვის ძალას არ დავიშურებთ!

**ვასილ ბალახაძე**

შეხვედრა




გიორგი გორგოძე აჯილდოებს ჯამლეტ ხუხაშვილს

# პროექტი გამრავალფეროვნდა

ცნობილ სპორტსმენებთან შეხვედრები, რომელიც წლეულს ტოტალიზატორ „ლიდერ-ბეთის" ხელმძღვანელებმა დაამკვიდრეს, არათუ ტრადიციად იქცა თანდათან მრავალფეროვნდება კიდეც და შინაარსობრივადაც უფრო მიმზიდველი ხდება. ამიერიდან ამ საინტერესო პროექტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართება სპორტში მოღვაწე სხვა ღვაწლმოსილ ადამიანებთანაც. გუშინ ორგანიზაციის ოფისმა ცნობილ სპორტულ კომენტატორს **ჯამლეტ ხუხაშვილს** უმასპინძლა. სპორტული მასმედიის სფეროდან პირველი წარმომადგენლის სტუმრობა, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა, ჩაიარა დევიზით: „50 წელი მიკროფონთან ერთად" და ჯამლეტ ხუხაშვილის შემოქმედებას მიეძღვნა.

შეხვედრაზე ქართული სპორტისა და კოლორიტული კომენტატორის თაყვანისმცემლებმა მრავლად მოიყარეს თავი, რომელთა შორის იყვნენ სახელოვანი ქართველი სპორტსმენები, სპეციალისტები, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, ინტელიგენციის ცნობილი სახეები. 30-ზე მეტმა გამომსვლელმა ილაპარაკა ჯამლეტ ხუხაშვილის პროფესიულ და პიროვნულ ღირსებებზე. ამავე შეხვედრაზე გამოცხადდა, რომ საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ დააწესა **კოტე მახარაძის** სახელობის პრემია ტელე-რადიო და სპორტულ ჟურნალისტიკაში. ამავე ასოციაციის პრეზიდენტმა **გიორგი გორგოძემ** პირველი ლაურეატის ჯილდო დიდი მსახიობის და კომენტატორის აღზრდილს და პროფესიონალ მემკვიდრეს ჯამლეტ ხუხაშვილს გადასცა. დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობდა კოტე მახარაძის ქალიშვილი, **მაკა მახარაძე.**

**თენგიზ თომაშვილი**

ჩოგბურთი

# ანა ახალ სეზონს კვალიფიკაციით იწყებს

**სერენა უილიამსი** (აშშ), ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი), მარია შარაპოვა (რუსეთი), დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი), საბინ ლისიცკი (გერმანია), ფრანჩესკა სკიავონე (იტალია), ელენა იანკოვიჩი (სერბეთი), კაროლინ ვოზნიაცკი (დანია), დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) - აი, მსოფლიო ჩოგბურთის ეს ვარსკვლავები და სხვა სახელოვანი სპორტსმენები იასპარეზებენ 29 დეკემბრიდან ავსტრალიური ბრისბენის ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 1.000.000 დოლარი), რომლის მოქმედი ჩემპიონია სერენა უილიამსი. სწორედ ამ ჩოგბურთელებთან საპაექროდ ემზადება თბილისელი **ანა ტატიშვილი,** რომელიც ამჟამად ბრისბენში იმყოფება და 27 დეკემბერს ახალი სეზონის პირველ ტურნირში ჩაებმება. 2013 წლის გათამაშებაში ის ძირითად ბადეში იყო და პირველივე შეხვედრა გერმანელ ანჟელიკ კერბერთან დათმო - 2:6, 6:4, 2:6. ამჯერად კი ჩვენებურს საკვალიფიკაციო ეტაპის დაძლევა და სამი მეტოქის დამარცხება მოუწევს საჩოგბურთო თანავარსკვლავების წევრებთან დასაპირისპირებლად. მართალია, ტატიშვილი ამჟამად საუკეთესო ასეულს მიღმაა (126-ე), რაც მთელი წლის განმავლობაში ტრავმით იყო გამოწვეული, მაგრამ ვინც ქართველი ჩოგბურთელის ბოლოდროინდელ ამერიკულ წარმატებულ ტურნეს ადევნებდა თვალს, დამერწმუნება, რომ ტატიშვილს საუკეთესო ასეულში კუთვნილი ადგილის დაბრუნება არ უნდა გაუჭირდეს.

**ვაჟა დანელია**



ანა ტატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი ეტაპი ჩემპიონისაა

**საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპი გასულ უქმეებზე დასრულდა. სამწუხაროდ, ორი მატჩი დასავლეთ საქართველოში შექმნილი რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო სამომავლოდ გადაიდო, რის გამოც სატურნირო ცხრილი ძალთა სრულყოფილ განლაგებას ვერ ასახავს.**

მიუხედავად ამისა, მოწინავე სამეულის, უფრო სწორად კი, ოთხეულის ვინაობა, რომლებიც, სავარაუდოდ, მედლების მოპოვების რეალური კანდიდატები არიან, გარკვეულია. ესენია" თბილისის „ლელო", „არმია", თბილისის „ლოკომოტივი" და ქუთაისის „აია". გათამაშებას სათავეში მოქმედი ჩემპიონი „ლელო" უდგას, რაც სავსებით ლოგიკურია.


ყოჩები-აკადემია

ლელოელების სტარტი მარცხიანი გამოდა. ჩემპიონებმა პირველივე ტურში ბოლნისის „ყოჩებთან" წააგეს. გუნდთან, რომელიც ბოლო წლებში აუტსაიდერი იყო და წლეულს ისევ ძველებურად მოღონიერდა. ამ „ალიყურმა" „ლელო" გამოაფხიზლა, მორაგბეები ციდან მიწაზე დაეშვნენ და შვიდმატჩიანი წაუგებელი სერია გამოაცხვეს. შედეგად გუნდი სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა და ლიდერობა წლის ბოლომდე შეინარჩუნა.

საგულისხმოა, რომ „ლელომ" ეს შედეგი მისი ერთ-ერთი წამყვანი მორაგბის, საქართველოს ნაკრების მგეზავის **ლაშა ხმალაძის** არყოფნაში აჩვენა. ის დაშავებული იყო და გუნდს მხოლოდ ნოემბრის დასაწყისში შეუერთდა. ასეთი სერიოზული დანაკლისის მიუხედავად, „ლელოს" სხვა ლიდერებმა **გიორგი კაჭარავამ, სანდრო ქოიავამ, ირაკლი ყიასაშვილმა, რეზო ბელქანიამ** და სხვებმა, მაქსიმუმი გაილეს, რათა გუნდის რენომე შეენარჩუნებინათ. წლეულს გაცილებით უკეთ გამოიყურება საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის, **ვიქტორ კოლელიშვილის** ძმა, **ბაჩანა კოლელიშვილი**.

ერთი სიტყვით, ნათლად ჩანს, რომ გუნდს რეალურად აქვს საკმარისი პოტენციალი საიმისოდ, რათა ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნოს. ვფიქრობთ, ამაში ყველაზე მეტად „ლელოს" ხელს ისევ „არმია" შეუშლის, რომელიც მას სამი ქულით ჩამორჩება და მეორე ადგილზეა.

არმიელებმა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტი ადამიანური რესურსი გააჩნია და სეზონის წინაც შესანიშნავად მოემზადნენ, წარუმატებელი სტარტი აილეს. დიდი ხნის განმავლობაში **ნიკო ჭავჭავაძის** სამწყსო სატურნირო ცხრილის შუაწელში იმყოფებოდა. ამას ერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს. გუნდში ტრავმების ეპიდემიაა. მოგვიანებით „არმიას" რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაუბრუნდა და საქართველოს ჩემპიონატის პირველი ეტაპის მიწურულს ძველებურად, მძლავრად ამოქმედდა. ზედიზედ რამდენიმე ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ არმიელები სატურნირო ცხრილის მეორე საფეხურზე დამკვიდრდნენ.

მეორე ეტაპისთვის გუნდს სხვა ტრავმირებული მოთამაშეებიც შეუერთდებიან. რუმინეთიდან მგეზავი **მამუკა ნინიძეც** დაბრუნდება და „არმია" ისევ ჩემპიონობისთვის იბრძოლებს.

ქუთაისის „აიას" ამჟამად სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი უჭირავს. თუმცა პოტენციურად ის მესამე ადგილზეა, რადგან ერთი თამაში შინ აუტსაიდერ „ბათუმთან" თადარიგში აქვს. ქუთათურები წლეულს პირველად ატარებენ სეზონს **ბესიკ ხამაშურიძის** გარეშე. „ანტილოპამ" მენისკის ოპერაცია გაიკეთა, თამაშს თავი დაანება და მთლიანად მწვრთნელობაზე გადაერთო.

სასიხარულოა, რომ მისი „წასვლა" გუნდს დიდად არ დატყობია. მიუხედავად იმისა, რომ „აიამ" სეზონის წინ რამდენიმე წამყვანი მორკინალი დაკარგა, სიმძლავრეს მაინც ინარჩუნებს. საგრძნობლად მოღონიერდა და საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს ქუთაისელთა უკანა ხაზს, რომლის ძირითად ბირთვს საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების მოთამაშეები შეადგენენ. **ზურაბ ძნელაძე, გიორგი ფრუიძე, რეზო ჯინჭველაშვილი, თემურ თუთბერიძე, ბადრი დანგაძე** და სხვები, არა მარტო ქუთაისური, არამედ ქართული რაგბის ხვალინდელი დღეა.

ალსანიშნავია, რომ „აიას" უწყვეტი შევსება აქვს. ჭაბუკთა A და B ლიგებში ოთხ-ოთხი გუნდით გამოდის და მუდმივად ლიდერებშია. ცხადია, ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ სეზონის ბოლოს ქუთათურები ჩემპიონობის რეალური კანდიდატები იქნებიან.

ასევე ფავორიტია ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი". რკინიგზელთა გუნდი სეზონის დაწყების წინ რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. თუმცა კლუბის ცხოვრებაში შესანიშნავი ფაქტიც მოხდა. „ლოკომოტივის" დაფინანსება ისევ რკინიგზის დეპარტამენტმა ითავა. ეს გუნდი ოდესღაც სწორედ ამ ორგანიზაციაში დაარსდა და ახლა, ძნელბედობის ჟამს მშველელად სწორედ ის მოევლინა.

**თემურ ბენდიაშვილმა** პატარა სასწაული მოახდინა. გუნდის ძირითადი შემადგენლობის უმრავლესობა უცნობი მოთამაშეები არიან. რამდენიმე მათგანი სულაც დებიუტანტია, მაგრამ რკინიგზელთა თამაშს ეს არ ეტყობა. ალსანიშნავია, რომ რადიკალურად შეიცვალა „ლოკომოტივის" თამაშის სტილიც. თუ ორიოდე წლის წინათ გუნდი წარმატებას მძლავრი და მოძრავი შერკინებით აღწევდა, ახლა უკანა ხაზიც შესანიშნავად ირჯება და ხელდახელ, საკმაოდ მწვავე იერიშებს ახორციელებს.

წლეულს საგრძნობლად გამოკეთდა ბოლნისის „ყოჩები". ამ გუნდის პატრონობა ბოლნისის მუნიციპალიტეტმა ითავა. შედეგად, „ყოჩებს" რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაუბრუნდა. გუნდის მამოძრავებელი ძალა მგეზავის **თემურ სოხაძისა** და ცხრა ნომრის **გიორგი ბეგაძის** დუეტია. ბეგაძე „ბორჯღალოსანია", სოხაძეს ეროვნულ გუნდში 2007 წლის შემდეგ აღარ უთამაშია. ვფიქრობთ, დროა ნაკრების თავკაცებმა მას ისევ მიაპყრონ მზერა.

პლეი ოფში მოხვედრისთვის და, შესაბამისად, მედლებისთვის იბრძოლებს თბილისის „არმაზი". პირველი ეტაპის შემდეგ არამაზელებს შვიდი მოგება და ოთხი წაგება დაუგროვდათ. მათ ერთი თამაში სტუმრად „ბათუმთან" თადარიგში აქვთ. ეს გუნდი თითქმის ყველა რგოლში თანაბრადაა დაკომპლექტებული და მისგან კიდევ უფრო მეტს ველით.

თბილისის „ჯიქებზე" არაერთხელ გვითქვამს, რომ ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდული და მებრძოლი გუნდია. მისი პრობლემა, ვფიქრობთ, სწორედ მოთამაშეთა ახალგაზრდული ასაკი და გამოცდილი მორაგბეების უკმარისობაა. „ჯიქებს" აშკარად აკლია ისეთი ლიდერები, რომლებიც კრიტიკულ მომენტში სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ და გუნდს გამარჯვებისკენ გზას გაუკაფავენ.

ჩემპიონატის მსვლელობისას გამოიკვეთა სამი აუტსაიდერი. მართალია, „ბათუმი", რომელსაც ორი თამაში თადარიგში აქვს, ბოლო ადგილზეა, მაგრამ მეორე წრეში მისი გაძლიერების თაობაზე ცოტა დაუჯერებელი ჭორები დადის. ამბობენ, რომ „ბათუმის" ხელმძღვანელებს რამდენიმე ფრანგი ლეგიონერის მიწვევა სურს.

ამის საშუალება მის კონკურენტებს, თბილისის „აკადემიას" და რუსთავის „ხარებს" არ გააჩნიათ, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, ბოლომდე თავდადებით იბრძოლებენ, რათა უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნონ.

სატურნირო მდგომარეობა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლელო | 12 | 9 | 0 | 3 | +171 | 44 |
| 2. არმია | 12 | 8 | 1 | 3 | +142 | 41 |
| 3. ლოკომოტივი | 12 | 9 | 0 | 3 | +72 | 40 |
| 4. აია | 11 | 8 | 0 | 3 | +77 | 36 |
| 5. ყოჩები | 12 | 7 | 1 | 4 | +35 | 34 |
| 6. არმაზი | 11 | 7 | 0 | 4 | -13 | 30 |
| 7. ჯიქები | 12 | 5 | 2 | 5 | +54 | 30 |
| 8. აკადემია | 12 | 1 | 0 | 11 | -178 | 8 |
| 9. ხარები | 12 | 1 | 0 | 11 | -172 | 7 |
| 10. ბათუმი | 10 | 1 | 0 | 9 | -188 | 6 |

ლეგიონერები


ანტონ ფეიქრიშვილი (მარცხნივ)

# ფეიქრიშვილი მეტრო რასინგში?

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ დიდი დრო რჩება. თუმცა ელიტურ, პირველ დივიზიონში მოასპარეზე გუნდები უკვე მომდევნო სეზონისთვის თადარიგს წინდაწინ იჭერენ. უკვე ვწერდით, რომ შესაძლოა ფრანგული გრანდი „ტულონი" დატოვოს და ინგლისში გადაბარგდეს პირველხაზელი **ლევან ჩილაჩავა**. მას ორი ვარიანტი აქვს, „გლოსტერი" ან „ვორსტერი".

ასევე სავარაუდოა, რომ საფრანგეთის ჩემპიონის, „კასტრის" რიგებს დატოვებს შერკინების კიდევ ერთი ქართველი ბურჯი **ანტონ ფეიქრიშვილი**. მის მომავალ გუნდად პარიზული „მეტრო რასინგი" სახელდება, სადაც საქართველოს ნაკრების მორკინალი **დავით ხინჩაგიშვილი** თამაშობს.

საკმაოდ ცუდი ინფორმაცია გავრცელდა მეორე დივიზიონში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა ორ გუნდთან დაკავშირებით. საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგის საფინანსო კომიტეტმა ბიუჯეტში დარღვევები აღმოუჩინა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიეს" და **კახაბერ კობერიძის, ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძის, გიორგი თეთრაშვილისა** და **ხვიჩა ბუჯიაშვილის** „ალბის".

საფინანსო კომიტეტმა ორივე მათგანი დასაჯა. „ალბის" 10 ათასი ევროს გადახდა დააკისრა და სატურნირო ცხრილში ოთხი ქულა დააკლო. „ბეზიეს" კი გადასახდელი 30 ათასი ევრო ექნება და ორი ქულა დააკლდება. ეს გარემოება ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ გუნდებს ცხოვრებას კიდევ უფრო ურთულებს. ისინი სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფებიან და დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან.

ალსანიშნავია, რომ „ალბის" შემადგენლობაში სამ ტურზე მეტია ქართველი მორაგბეები განაცხადში ვერ ხვდებიან. გამორიცხული არ არის, ეს გუნდში არსებულ ფინანსურ პრობლემებთან იყოს დაკავშირებული.

# წლის ფოტო



მსოფლიოს რაგბის ამბებს საკმაოდ ბევრი უცხოური ვებ გვერდი აშუქებს. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული www.espncrum.com არის. მისი ვერსიით, წლის ფოტოდ უელსისა და ავსტრალიის ნაკრებებს შორის დაპირისპირებისას გადაღებული ფაქტი დასახელდა, რასაც ჩვენც ვეთანხმებით.

ფოტოზე „წითელი ურჩხულების" გარემარბმა **ჯორჯ ნორსმა** ავსტრალიელი **იზრაელ ფოლაუ** ბურთიანად ხელში აიტაცა და რამდენიმე მეტრი ირბინა.

ამავე ვებ გვერდის ვერსიით, წლის მოთამაშედ ახალი ზელანდიის ნაკრების კაპიტანი **კირან რიდი** დასახელდა. საუკეთესო გუნდად კი, „ოლ ბლექსი". წლის მწვრთნელი სამხრეთ აფრიკის ნაკრების თავკაცი **ჰეინკე მეიერი** გახდა.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი


კარმელო ენტონი

# ჯერ ჭორები

## კარმელო კლიპერსში, რონდო ინდიანაში?

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის შარშანდელი საუკეთესო ბომბარდირი, "ნიუ იორკ ნიქსის" ფორვარდი **კარმელო ენტონი**, შესაძლოა, „ლოს ანჯელეს კლიპერსის" მოთამაშე გახდეს. ასეთ ინფორმაციას ავრცელებს Hoopsworld ნიუიორკულ კლუბთან და თავად მოთამაშესთან დაახლოებულ სანდო წყაროებზე დაყრდნობით. იმ შემთხვევაში, თუ კარმელო დატოვებს „ნიუ იორკს" 2014 წლის ზაფხულში, ის გადაბარგდება ლოს ანჯელესში, მაგრამ არა „ლეიკერსში", როგორც ამას წლევანდელი სეზონის წინ ამბობდნენ, არამედ **დოკ რივერსის** გუნდში.

გამორიცხული არ არის, რომ „ნიქსმა" და „კლიპერსმა" ენტონის მონაწილეობით გაცვლა თებერვლის დედლაინის წინ განახორციელონ.

ამასობაში, კარმელო ენტონი, შესაძლოა, ვერ ვიხილოთ მოედანზე დღეს "ოკლაჰომა-სიტისთან" საშობაო შეხვედრაში.

გუშინ, ენტონის სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდა ფეხის ტრავმასთან დაკავშირებით, რომელიც მან "ორლანდოსთან" მატჩში მიიღო. ტესტმა ზუსტი პასუხი ვერ გასცა კარმელოს სავარაუდო მონაწილეობას დღევანდელ შეხვედრაში. საბოლოო გადაწყვეტილებას, უშუალოდ მატჩის წინ მიიღებენ.

ასევე გაირკვა, რომ "ოკლაჰომას" წინააღმდეგ გამორიცხულია ნიუიორკელთა ძირითადი გამთამაშებლის **რეიმონდ ფელტონის** თამაში.

მიმდინარე სეზონში, 29 წლის ენტონიმ 27 მატჩი ჩაატარა და 26.3 ქულა, 8.8 მოხსნა და 2.8 შედეგიანი პასი დააგროვა.

### ინდიანას რონდო უნდა

"ინდიანა პეისერსი" დაინტერესებულია "ბოსტონ სელტიქსის" გამთამაშებლით **რაჯონ რონდოთი**.

იტყობინებიან, რომ რონდოს ხელში ჩასაგდებად "პეისერსი" მზად არის "კელტებს" შესთავაზოს მცველი **ჯორჯ ჰილი** და ფორვარდი **დენი გრეინჯერი**. ამ მომენტისთვის, რონდო აღდგენით კურსს გადის მუხლის ჯვარედინი მყესების გაწყვეტის შემდეგ, ხოლო მისი მოედანზე დაბრუნება თებერვლამდე არ არის დაგეგმილი.

### ბეილესს ლეიკერსისთვის ამზადებენ

„მემფის გრიზლისის" ხელმძღვანელობას გუნდის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა სურს. როგორც ამერიკული პრესა წერს, ამ მიზნით „დათვებმა" „ლოს ანჯელეს ლეიკერსს", **ჯარედ ბეილესის ჯოდი მიქსში** გაცვლა შესთავაზეს.

ბეილესი ამ სეზონში საშუალოდ 7.9 ქულას, 2.0 მოხსნასა და ამდენივე შედეგიან გადაცემას აგროვებს, მიქსის საშუალო მაჩვენებლებია - 12.8 ქულა, 2.8 მოხსნა და 1.3 შედეგიანი პასი.

### მემფისმა კარი დაიმატა

ამასობაში, "მემფისის" შეფობამ კონტრაქტი გააფორმა მცველ **სეტ კარისთან**, რომელიც "გოლდენ სტეიტის" ლიდერის **სტივენ კარის** უმცროსი ძმაა.

წელს, უმცროსი კარი D-ლიგაში "სანტა კრუზის" ღირსებას იცავდა და საშუალოდ, 21.3 ქულას, 3.5 მოხსნასა და 7.8 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

### ნეში კანადაში ვარჯიშობს

„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გამთამაშებელი **სტივ ნეში**, რომელიც 10 ნოემბერის შემდეგ ვერ თამაშობს ტრავმის გამო, უახლოეს პერიოდში კანადაში გააგრძელებს ვარჯიშს, - წერს Yahoo! Sports. ვეტერანი იმუშავებს ინდივიდუალური მწვრთნელისა და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ.

39 წლის კანადელს პრობლემები აქვს ფეხთან, ხერხემალთან და ნერვულ დაბოლოებებთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, ადრე გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ნეში სერიოზულად ფიქრობდა კარიერის დასრულების შესახებ.

### სერბეთი ჯორჯევიჩს ჩააბარეს

სერბეთის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი გახდა **ალექსანდრ ჯორჯევიჩი**, - იტყობინება სერბეთის კალათბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი. 46 წლის სპეციალისტმა ამ პოსტზე შეცვალა **დუშან ივკოვიჩი**, რომელმაც ევრობასკეტის შემდეგ დატოვა თანამდებობა.

ჯორჯევიჩთან კონტრაქტი ორ წელზეა გათვლილი. მისი ხელმძღვანელობით სერბები ითამაშებენ მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე და 2015 წლის ევრობასკეტზე.

# გასული კვირის შედეგები

**კათოლიკური შობის გამო, გუშინ, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დასვენების დღე იყო, ჩვენ კი, ტრადიციულად, რეგულარული ჩემპიონატის გასულ კვირას შევაჯამებთ.**

### კვირის გუნდი: მაიამი ჰიტი

"მაიამი" - ერთ-ერთია იმ სამი გუნდიდან, რომელმაც გასულ კვირას ყველა მატჩი მოიგო, მაგრამ "კლიპერსისგან" და "ვაშინგტონისგან" განსხვავებით, ჩემპიონს უპირისპირდებოდა ორი გუნდი, რომელიც აუცილებლად ითამაშებს პლეი ოფში. ერთ-ერთია "ინდიანა" - რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდი, რომელმაც "მაიამისთან" ფლორიდაში წააგო. გარდა ამისა, "ჰიტმა" მოუგო "საკრამენტოს" და "ატლანტას". ამასთან, მაიამელები უჩვენებდნენ ლიგაში საუკეთესო რეალიზაციას - სამ მატჩში მათ თამაშიდან ტყორცნების 53.4 პროცენტი ჩააგდეს.

### კვირის მოთამაშე: კევინ ლავი (მინესოტა)

მართალია, **ლავის** პერსონალურ წარმატებებს არ მოჰყვა "მინესოტას" გამარჯვებები, მაგრამ "მგლების" ფორვარდს მართლაც ფანტასტიკური კვირა ჰქონდა. სამ შეხვედრაში (ორში "ტიმბერვულვზმა" წააგო) ლავი საშუალოდ 33.0 ქულას, 15.7 მოხსნასა და 6.0 შედეგიან გადაცემას აგროვებდა. თან კევინმა თამაშიდან ტყორცნების 57.6 პროცენტი გამოიყენა, სამქულიანები კი 40 პროცენტის სიზუსტით ისროლა.

### კვირის ახალგედა: ტრეი ბერკი (იუტა)

ყველა დებიუტანტს შორის, **ტრეი** ამ კვირას ყველაზე შედეგიანი და სტაბილური იყო. გამთამაშებელი დაეხმარა თავის გუნდს ოთხიდან ორი მატჩის მოგებაში. ბერკის ანგარიშზე 17.5 ქულა და 5.0 შედეგიანი პასი იყო, თან თამაშიდან 44.6 პროცენტი ჩააგდო და სამქულიანების 40 პროცენტი გამოიყენა.

### კვირის მხარდაჭერა

"ნიუ იორკ ნიქსის" ცენტრმა **ტაისონ ჩენდლერმა** "მილუოკისთან" ორ ოვერტაიმში რთული გამარჯვების შემდეგ, მხარდაჭერა გამოუცხადა **ანდრეა ბარნიანის**, რომლის სულელური საქციელის გამო მოუწიათ მეორე დამატებითი დროის თამაში. შეგახსენებთ, რომ იტალიელმა იმის ნაცვლად ბურთი დაეჭირა, თამაშის დამთავრებამდე 10 წამით ადრე სროლა გადაწყვიტა და ააცილა, არადა, იმ მომენტში მისი გუნდი იგებდა შეხვედრას. ამის შემდეგ, "ბაქსმა" გაათანაბრა ანგარიში და მატჩი მეორე ოვერტაიმში გადავიდა.

*"მე მას ვუთხარი, დიდად არ ენერვიულა ამ ეპიზოდის გამო. სწორედ ამისთვის არიან საჭირონი გუნდში მეგობრები. ჩვენ მოვიგეთ ის მატჩი და ყველა სირთულე დავივიწყეთ. მან მიიღო გაკვეთილი და ახლა, სწორ დასკვნებს გააკეთებს"*, - აღნიშნა ჩენდლერმა.

### კვირის მადლიერება

"ჰიუსტონთან" წაგებული მატჩის შემდეგ, **ანდრე დრამონდმა** აღიარა, რომ შეხვედრის ბოლოს **დუაიტ ჰოვარდთან** მივიდა და მადლობა გადაუხადა მას ამ მატჩში მიღებული გაკვეთილისთვის. "სუპერმენმა" პირწმინდად დაჩაგრა "დეტროიტის" 20 წლის ცენტრი, როცა 35 ქულა და 19 მოხსნა დააგროვა.

*"გულწრფელი მადლობა გადავუხადე მას. მადლიერი ვიყავი მისი იმ გაკვეთილისთვის, რომელიც მოედანზე მივიღე. კარიერაში პირველად ვთამაშობდი ჰოვარდის წინააღმდეგ. ეს უდიდესი გამოცდილება იქნება ჩემსთვის"*, - აღიარა ცენტრმა, რომელსაც ამ სეზონში უკვე 20 ორმაგი დუბლი დაუგროვდა.

### კვირის დატვირთვა

"სან ანტონიო სპურსის" მწვრთნელი **გრეგ პოპოვიჩი** ვერ იხსენებს, ბოლოს როდის ჰქონდა მის გუნდს სრულფასოვანი ვარჯიშები. რა თქმა უნდა, ლაპარაკია არა მატჩისწინა მოთელვაზე, არამედ სრულფასოვან მეცადინეობაზე. ასეთი რამ "სპურსის" ცხოვრებაში ბოლოს 19 ნოემბერს მოხდა.

*"პირადად მე ვერ ვიხსენებ"*, - აღნიშნა პოპოვიჩმა. მართლაც, ტექსასელებს ბოლო დროს ისეთი რთული კალენდარი აქვთ, რომ "სან ანტონიოს" დამრიგებელს მოუწია შარშანდელი სვლების გამეორება, როცა იძულებული იყო დასვენების საშუალება მიეცა გუნდის ვეტერანი ვარსკვლავებისთვის. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ტექსასელებმა ბოლო ვარჯიშის შემდეგ, 11 დღეში შვიდი მატჩი ჩაატარეს, 10-23 დეკემბრის პერიოდში კი - 9 მატჩი.

### კვირის რჩევა

"მემფისთან" მატჩში **კობი ბრაიანტმა** ფეხის მოიტეხა, რის შემდეგაც, ლეგენდარულმა **ჩარლზ ბარკლიმ** რჩევა მისცა „შავ მამბას". სერ ჩარლზის აზრით, "ლეიკერსის" ლიდერი მიმდინარე სეზონის ბოლომდე არ უნდა გავიდეს მოედანზე. შეგახსენებთ, რომ ბრაიანტი ექვსი კვირით გამოვიდა მწყობრიდან.

*"ბრაიანტი არ უნდა გავიდეს მოედანზე ამ სეზონში"*, - მიაჩნია ბარკლის. ეს მხოლოდ მისი სუბიექტური აზრია, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ბრაიანტის დაბრუნებამ კალიფორნიულ გრანდს დიდად ვერ უშველა.

### კვირის ნაკრები

**გამთამაშებელი:** დამიენ ლილარდი (პორტლენდი), კემბა უოკერი (შარლოტი);

**შემტევი მცველი:** პოლ ჯორჯი (ინდიანა), დუეინ უეიდი (მაიამი);

**მსუბუქი ფორვარდი:** ლებრონ ჯეიმსი (მაიამი), კევინ დურანტი (ოკლაჰომა);

**მძიმე ფორვარდი:** კევინ ლავი (მინესოტა), ბლეიკ გრიფინი (კლიპერსი);

**ცენტრი:** დუაიტ ჰოვარდი (ჰიუსტონი), ნიკოლა პეკოვიჩი (მინესოტა).


მაიამის ლიდერები - ლებრონი და უეიდი

ცურვა

# კეთილშობილი ჯოში

ცხრაწლის მოცურავემ **ჯოშ ჟუკოვსკიმ**, რომელმაც მთავარი პრიზი მოიგო ტურნირზე ძირითადი კონკურენტის **რიზ ბრანზელის** არყოფნაში, ყველა მოპოვებული ჯილდო მეტოქეს გაუგზავნა, ვინც შეჯიბრს ავადმყოფობის გამო ტოვებდა.

სტარტის წინ, ჯოშმა შეიტყო, რომ ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებდა მისი მთავარი კონკურენტი რიზ ბრანზელი. ნორჩ სპორტსმენს ბარძაყში ბაქტერიული ინფექცია აღმოუჩინეს და საავადმყოფში დააწვინეს. ექიმების მოთხოვნით, რიზი კლინიკაში ორი კვირა უნდა დარჩენილიყო, რაც გამორიცხავდა მის მონაწილეობას ტურნირში. ჟუკოვსკი ძალიან განაწყენდა იმის გამო, რომ მისი მთავარი კონკურენტი არ იქნებოდა აუზში. მან ოქროს ხუთი მედალი და ტურნირის საუკეთესო მოცურავის პრიზი მოიგო, მაგრამ ამ ჯილდოებით ხელდამშვენებული ბრანზელის მწვრთნელს მიადგა.


ჯოში და რიზი

ჟუკოვსკიმ სთხოვა მწვრთნელს, თავისი ტიტულები საავადმყოფოში მყოფი კონკურენტისთვის გადაეცა, თან ჯილდოებს წერილიც დაურთო თან: *„ვწუხვარ შენი ავადმყოფობის გამო. მალე გამოჯანმრთელდი, რათა ისევ შევძლოთ გაჯიბრება. შენ ჩემი აღმაფრენის წყარო იყავი, ვუყურებდი შენს გამოსვლებს და კიდევ უფრო სწრაფად ცურვის სურვილი მიჩნდებოდა. ამ ტურნირზე რომ ყოფილიყავი, მე, შესაძლოა, მეორე ადგილზე გავსულიყავი. ასე რომ, ჩემს პრიზებს შენ გიგზავნი. იმედია, მალე შევხვდებით ერთმანეთს აუზში. შენი მეგობარი, ჯოში"*.

ეს ბიჭები უკვე სამი წელია ეჯიბრებიან ერთმანეთს. რიზის მშობლებმა აღნიშნეს, რომ ეს იყო ყველაზე კეთილშობილური საქციელი, რაც კი მათი ოჯახის მიმართ გაკეთებულა. ეს დაეხმარა 10 წლის ბრანზელს საკუთარი თავის რწმენა დაებრუნებინა და ისევ გაეგრძელებინა ვარჯიში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ოლასო: რუსული მაფიის მსხვერპლი ვარ

ესპანელმა ჩოგბურთელმა **გილერმო ოლასომ** ჟურნალისტებს მოუყვა თავისი დისკვალიფიკაციის შესახებ, რომელიც მან ჩაწყობილ თამაშებში მონაწილეობისთვის მიიღო.

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ორგანიზაცია Tennis Integrity Unit-მა (TIU), რომელიც ჩოგბურთში ჩაწყობილ თამაშებს ებრძვის, ოლასოს მონაწილეობა გარიგებულ შეხვედრებში 2010 წელს გამოავლინა. მსოფლიოს რეიტინგის 236-ე ნომერმა ხუთწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

*„2010 წელს რუსული მაფიის წარმომადგენლები დამიკავშირდნენ, რომლებიც სპორტულ მოვლენებზე ფსონების ჩასვლაში სპეციალიზდებიან. შუამავალი იყო სერბი ჩოგბურთელი დავიდ სავიჩი. მე გავლენა უნდა მომეხდინა ასტანაში „ჩელენჯერის“ ტურნირის პირველ წრეში ყაზახ* ***დანილ ბრაუნთან*** *მატჩის შედეგზე.*

*ამ წინადადებამ ძალიან იმოქმედა ჩემზე. განადგურებული ვიყავი და კორტზე შესაბამისი განწყობით გავედი. მე არ მივიღე მათი წინადადება, მიუხედავად იმისა, რომ დიდი თანხა შემომთავაზეს. არასოდეს მიმიღია მონაწილეობა ჩაწყობილ თამაშებში. ვხვდები, რომ ეს რთული სიტუაციაა. აუცილებელია გავაგებინოთ დანარჩენ მოთამაშეებს, რომ მსგავსი შეთავაზების შემთხვევაში, მათ დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ამის შესახებ ATP-ის სპეციალურ ორგანოებს.*

*მე მემუქრება ჩოგბურთიდან სამუდამოდ მოკვეთა და მსხვილი ფულადი ჯარიმა. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში გავაპროტესტებ ამ დისკვალიფიკაციას ლოზანას სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში, რადგან ფული არ ამიღია და საკუთარ თავს უდანაშაულოდ მივიჩნევ“*, - განაცხადა ოლასომ.

ასტანაში ოლასოსა და ბრაუნის მატჩი 6:3, 6:3 დასრულდა ყაზახი ჩოგბურთელის სასარგებლოდ.



გილერმო ოლასო

ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **კალათბურთი** | |
| **NBA** | |
| ბრუკლინი-ჩიკაგო | 78:95 |
| ნიუ იორკი-ოკლაჰომა | 94:123 |
| **თურქეთი** | |
| უსაქი-გალათასარაი | 79:94 |
| პინარი-გაზიანთეფი | 70:64 |
| მერსინი-ტურკ ტელეკომი | 88:72 |
| კოლეილილერი-ქონია | 89:87 |
| ოლინი-ბანვითი | 64:89 |
| ბეშიქთაში-ალიაგა | 91:53 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| სევერსტალი-სკა | 1:2 |
| ტორპედო-აკ ბარსი | 4:6 |
| ცსკა-ვიტიაზი | 5:2 |
| ატლანტი-ნეფტიხიმიკი | 4:1 |
| სპარტაკი-მეტალურგი (მ) | 1:6 |
| დონბასი-ტრაქტორი | 3:2 (ბ) |



ბიორნ ბორგი

# ბორგი – ყველა დროის საუკეთესო შვედი

შვედ ჟურნალისტებს შორის დასრულდა გამოკითხვა, რომელსაც უნდა გამოევლინა ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი. ეს საპატიო ტიტული ერგო ლეგენდარულ **ბიორნ ბორგს**, რომელმაც კარიერაში „დიდი სლემის“ 11 ტურნირი მოიგო.

სულ ბორგს ერთეულთა თანრიგში 77 ტიტული აქვს, ოთხჯერ მოიგო წყვილთა ასპარეზობა. 1975 წელს, შვედმა დევისის თასი მოიპოვა, კარიერა კი 1983 წელს დაასრულა.

გამოკითხვაში მეორე ადგილი დაიკავა „დიდი სლემის“ ტურნირების ექვსგზის ჩემპიონმა **სტეფან ედბერგმა**, მესამეზე გავიდა შვიდი „მეიჯორის“ მომგები **მატს ვილანდერი**. ხუთეულში მოხვდნენ როლან გაროსის ორგზის ფინალისტი **რობინ სიოდერლინგი** და 2002 წლის ავსტრალიის ღიას ჩემპიონი **ტომას იოჰანსონი**.

ფორმულა 1

# ნიუ ჯერსიმ ექლსტოუნი გაანაწყენა

ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** განაცხადა, რომ ნიუ ჯერსის გრანპრის ორგანიზატორებმა დაარღვიეს რბოლის ჩატარებაზე გაფორმებული კონტრაქტი და არ გადაუხადეს მას მინიმალური თანხაც კი კონტრაქტის გაფორმებიდან (2011 წელს) დღემდე.

*„ნიუ ჯერსისთან მიმართებაში გასაკვირია ის, რომ მათ მოაწერეს კონტრაქტს ხელი. დარწმუნებული ვარ, იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ. მაგრამ ისინი არ ასრულებენ ვალდებულებებს. ჩვენ შეიძლება სასამართლოში ვიჩივლოთ, რადგან მათ შეთანხმება დაარღვიეს“*, - ამბობს ექლსტოუნი Autoweek-თან კომენტარში.

ნიუ ჯერსის გრანპრის ორგანიზატორია კომპანია Port Imperial Racing Associates (PIRA), რომელსაც სათავეში უდგას **ლეო ჰინდერი**. ის არის ყოფილი პილოტი, ამჟამად კი კერძო ფონდის - InterMedia Partners-ის მმართველი პარტნიორი. ნიუ ჯერსის რბოლაში ჰინდერიმ 10 მილიონ დოლარზე მეტი საკუთარი თანხა ჩადო, მაგრამ გრანპრის ორგანიზებისთვის საჭირო ყველანაირი სამუშაოს ჩატარებას 100 მილიონი დოლარი სჭირდება. ჰინდერის ჩანაფიქრით, გარკვეული თანხა უნდა წარმოადგინოს საინვესტიციო ბანკმა UBS-მა, ხოლო თანხის ნაწილი 10 მილიონი დოლარის ოდენობით, PIRA-მ ფორმულა 1-ის მმართველი კომპანიისგან ისესხა.

*„ჩვენ მათ ფული მივეცით და შემდეგ მათგან არაფერი გაგვიგია. ჩვენ შეგვეძლო სასამართლოში გვეჩივლა“*, - გაიმეორა ბერნიმ. ამასთან, ინგლისელმა აღნიშნა, რომ მიზეზი, რის გამოც ეს არ გააკეთა, ნიუ ჯერსიში რბოლის გამართვის იმედს უკავშირდება. ამასთან, ექლსტოუნმა მიანიშნა, რომ შესაძლოა, გრანპრის ახალი ინვესტორი გამოუჩნდეს.

*„ახლა, საჭიროა სერიოზული ადამიანი, რომელიც ჩემთან მოვა და მეტყვის: ჩვენ არ ჩამოვრჩებით მზადების გრაფიკს და რბოლას აუცილებლად ჩავატარებთ. ჰინდერის დიდი დრო მივეცი. მჯეროდა, რომ ის გაართმევდა თავს ამოცანას, მაგრამ ვერ შეძლო“*, - განაცხადა ფორმულა 1-ის პრომოუტერმა.

ასევე ბერნიმ დაამატა, რომ, შესაძლოა, გრანპრის ჩატარების ადგილი ოდნავ შეიცვალოს.



ბერნი ექლსტოუნი

ამბები

ჩოგბურთი

## ენდი როდიკი ჟურნალისტობაშიც მაგარია

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი, ამერიკელი **ენდი როდიკი** წლის საუკეთესო სპორტულ ჟურნალისტებს შორის მოხვდა. როდიკი ტელეარხ Fox Sports One-ზე ერთ-ერთ შოუში მუშაობს, ხოლო საუკეთესოებში ის პორტალ Sports on Earth-ის გამოკითხვის შედეგად მოხვდა.

შეგახსენებთ, რომ 31 წლის როდიკმა გასულ წელს დაასრულა მოთამაშის კარიერა, ამა წლის შემოდგომაზე კი ახალ ამპლუაში ინტერვიუ აიღო შვეიცარიელი როჯერ ფედერერისგან.

## ტროიცკის 100 ათასი აპატიეს

სერბი ჩოგბურთელის **ვიქტორ ტროიცკის** მწვრთნელმა **ჯეკ რიდერმა** წერილი გაუგზავნა თავის შეგირდს, რომელიც, ამჟამად, დისკვალიფიკაციას იხდის სადოპინგო წესების დარღვევისთვის. რიდერსა და ტროიცკის შორის გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, მწვრთნელს ეკუთვნის 100 ათასი ევრო იმ შემთხვევაში, თუ ჩოგბურთელი გარეული იქნება ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებულ მაქინაციებში ან დოპინგ-სკანდალში.

*„ვიქტორ, მე ოფიციალურად ვაცხადებ, რომ არ მაქვს პრეტენზია 100 ათას ევროზე, რომელიც ჩვენი კონტრაქტით არის გათვალისწინებული. მიზეზი მარტივია - შენ უდანაშაულო ხარ და აკრძალული პრეპარატი არ მიგიღია!*

*იმედია, ეს ამბავი ოდნავ მაინც აამაღლებს შენს საბრძოლო ჟინს. მოუთმენლად ველი შესაძლებლობას, როცა დაგეხმარები იმ ადგილზე დაბრუნებაში, სადაც რეალურად უნდა იყო“*, - ამბობს რიდერი Tennis World-თან კომენტარში.

## ავსტრალია რადვანსკას გარეშე

რუსი ჩოგბურთელების - **მარია კირილენკოსა** და **ნადეჟდა პეტროვას** შემდეგ, ავსტრალიის ღია პირველობაზე თამაში იუარა პოლონელმა **ურსულა რადვანსკამ**.

ცნობილი გახდა, რომ 23 წლის ჩოგბურთელმა მხარის ტრავმა მიიღო. სწორედ ამის გამო თქვა მან უარი ავსტრალიის ღიაზე.

ქალთა ძირითად ბადეში ურსულას ხორვატი **მირიანა ლუჩიჩი** შეცვლის.

გასული სეზონი უმცროსმა რადვანსკამ მსოფლიოს რეიტინგის მე-40 ადგილზე დაასრულა.

სპორტული წელი 2013

## საფრანგეთში საუკეთესოები გამოავლინეს

ფრანგული გაზეთის „ეკიპის“ ინფორმაციით, 2013 წელს, ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი ქალებს შორის ჩოგბურთელი **მარიონ ბარტოლი** გახდა. მან გამოკითხვაში უკან ჩამოიტოვა სამთომთხილამურეები - **მარიონ როლანი** და **ტესა ვორლი**.

მამაკაცებს შორის გაიმარჯვა „სან ანტონიო სპურსის“ გამთამაშებელმა **ტონი პარკერმა**, რომელმაც NBA-ის პლეიოფის ფინალში ითამაშა და სლოვენიაში გამართული ევრობასკეტი მოიგო. მეორე ადგილზე გავიდა ძიუდოისტი **ტედი რინერი**, მესამეზე - მძლეოსანი **ტედი ტამგო**. მხოლოდ მეოთხე იყო გამოკითხვაში „ბაიერნის“ ფეხბურთელი **ფრანკ რიბერი**.

ჰოკეი

## ყველაზე გავლენიანები ლიგაში

ამერიკულმა ჟურნალმა Hockey News-მა გამოაქვეყნა 2013 წელს, ჰოკეიში ყველაზე გავლენიანი ადამიანების სია.

პირველ ადგილზე გავიდა ჰოკეის ეროვნული ლიგის კომისარი **გერი ბეტმენი**, მეორეზე აღმოჩნდა „ვაშინგტონ კეპიტალზის“ რუსი ვარსკვლავი **ალექსანდრ ოვეჩკინი**. 28 წლის ჰოკეისტმა 2013 წელს მოიპოვა „მორის რიშარ ტროფი“ (პრიზი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სკაიპერისთვის, 32 გოლი) და „ჰარტ ტროფი“ (რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე). ასე რომ, ახლა, ოვეჩკინს NHL-ში 11 ინდივიდუალური პრიზი აქვს მოპოვებული.

პირველი სამეული შევსო „პიტსბურგ პინგვინგზის“ კაპიტანმა და ლიდერმა **სიდნი კროსბიმ**.

შარშან, ჟურნალის ანალოგიურ რეიტინგში ოვეჩკინი მხოლოდ 81-ე ადგილზე იყო. პირველზე იმყოფებოდა NHL-ის მოთამაშეთა პროფკავშირების თავმჯდომარე **დონალდ ფერი**, რომელიც, ამჯერად, მეხუთე ადგილზე გავიდა. ბეტმენი 2012 წელს მეორე პოზიციაზე იყო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ფერარი ალონსოზე არ ნერვიულობს



ლუკა დი მონტეძემოლო

„ფერარის“ პრეზიდენტი **ლუკა დი მონტეძემოლო** არ ნერვიულობს მისი გუნდის ესპანელი წევრის **ფერნანდო ალონსოს** კონტრაქტზე. და ეს იმის მიუხედავად, რომ ალონსოს გადაბირება „მაკლარენს“ სურს.

წლევანდელ ზაფხულს, როცა დი მონტეძემოლომ საჯაროდ გაკიცხა ესპანელი პილოტი გუნდის მისამართით გამოთქმული საყვედურის გამო, ევროპულ პრესაში ხშირად წერდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის იტალიური საჯინიბოდან შესაძლო წასვლის თაობაზე. მოგვიანებით კი გავრცელდა ჭორი იმის შესახებ, რომ ალონსოს მენეჯმენტი მოლაპარაკებებს აწარმოებდა „რედ ბულთან“ და „ლოტუსთან“ ესპანელის მომავალზე, და „მაკლარენშიც“ არ მალავდნენ, რომ ფერნანდოს ხილვა კვლავ სურდათ საკუთარ რიგებში.

მაგრამ დი მონტეძემოლო აცხადებს, რომ დღეისთვის, ალონსოს ურთიერთობა გუნდთან შესამჩნევად გაუმჯობესდა და ის არ ღელავს ესპანელის „ფერარიდან“ კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე წასვლის გამო. მიმდინარე ხელშეკრულება 2016 წლის ბოლომდეა ძალაში.

დი მონტეძემოლომ ისიც აღიარა, რომ ალონსო გასული სეზონის განმავლობაში უკმაყოფილო იყო გუნდში პროგრესის დეფიციტით და გაიმეორა, რომ ახლა, ესპანელი მთელს საჯინიბოსთან ერთად მაქსიმუმს გააკეთებს იმისთვის, რომ გამოასწოროს მდგომარეობა.

*„ეს ჭორები ალონსოს წასვლის შესახებ, კარგი მასალაა პრესისთვის, - ამბობს „ფერარის“ პრეზიდენტი. - და ხალხს უყვარს ასეთი ამბების კითხვა. ძალიან კმაყოფილი ვარ ფერნანდოს მუშაობით. მას მოქმედი კონტრაქტი აქვს 2016 წლამდე და დღეს მხოლოდ იმით ვარ დაკავებული, რომ მას საუკეთესო მანქანა შევთავაზოთ. ამჟამად, ბევრი პრობლემა გვაქვს, მაგრამ გუნდში პირველი ნომრის საკითხი ამ პრობლემების სიაში არ შედის. ამის შესახებ ორი წლის შემდეგ ვილაპარაკოთ.*

*მე მესმის ფერნანდოსი და ვიზიარებ მის მოსაზრებას. უკვე ვუთხარი მას, რომ მეორე ადგილი ინდივიდუალურ ჩათვლაში, საერთო ჯამში, მისი დამსახურებაა და არა მანქანის. მეორეს მხრივ, ჩვენ გვჭირდება პილოტი, რომელიც გუნდისთვის ყველაფერს გაიღებს ყველაზე რთულ მომენტებშიც კი. სწორედ ეს ვთხოვე მას სეზონის შუაში. ამასთან; ძალიან გახარებული ვარ, რომ ფერნანდო ჩვენთან დარჩა“.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კრივი

# ფლოიდმა მენის დასცინა

ამერიკელმა დაუმარცხებელმა მოკრივემ **ფლოიდ მეივეზერმა** საკუთარ „ტვიტერზე" გამოაქვეყნა საშობაო ღია ბარათი, რომელშიც ის ფილიპინელ მოკრივეს **მენი პაკიაოს** დასცინის. ბარათი წარმოადგენს ოთხი ფოტოსგან შემდგარ კოლაჟს.

პირველზე ამერიკელი მეტოქეს 40 მილიონ დოლარს სთავაზობს მასთან ბრძოლის სანაცვლოდ. მეორე ფოტოზე პაკიაო უარს ამბობს ამ შეთავაზებაზე და ამბობს, რომ მეივეზერთან მხოლოდ იმ შემთხვევაში იჩხუბებს, თუ ბრძოლის საერთო შემოსავალი მოკრივეებს შორის თანაბრად გაიყოფა. მესამე ფოტოზე გამოსახულია ნოკაუტი, რომელშიც ფილიპინელი **ხუან მანუელ მარკესთან** ბრძოლის დროს მოხვდა. ბოლო ფოტოზე კი პაკიაო ღმერთს მიმართავს თხოვნით, რომ მეივეზერმა ისევ შესთავაზოს ბრძოლა.

როგორც იცით, მოლაპარაკებები მეივეზერსა და პაკიაოს შორის რამდენიმე წელი მიმდინარეობდა, მაგრამ მოკრივეები მაინც ვერ შეთანხმდნენ.




● ჩოგბურთი

# როჯერი მრავალშვილიანი ხდება

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა, ლეგენდარულმა **როჯერ ფედერერმა** თავის „ტვიტერზე" დაწერა, რომ დამდეგ 2014 წელს კიდევ ერთხელ გახდება მამა. შვეიცარიელ ჩოგბურთელსა და მის მეუღლეს **მიროსლავა ვავრინეცს** უკვე ჰყავთ ტყუპი გოგონები - **მაილა** და **შარლინი**.

ფედერერმა „ტვიტერზე" შემდეგი ფრაზა დაწერა: *„მირკა და მე ბედნიერები ვართ გაცნობო ახალი ამბავი: 2014 წელს, მაილა და შარლინი უფროსი დები გახდებიან!"*

სტატისტიკის მოყვარულები უკვე გამოეხმაურნენ ამ ახალ ამბავს და გვამცნეს: 2014 წელს, ფედერერს უფრო მეტი შვილი ეყოლება, ვიდრე ATP-ის ტოპ-ოცეულის ყველა წევრს ერთად აღებული.

● ფორმულა 1

# მაკლარენი ძველ ფერს უბრუნდება

ბრიტანული საჯინიბო „მაკლარენი" ბოლიდის შეფერილობის კარდინალურად შეცვლის შესაძლებლობას განიხილავს, - წერს Motorsport. გუნდი გეგმავს ნარინჯისფერ შეფერილობაზე დაბრუნებას. ბოლო წლებში, „მაკლარენი", ძირითადად, ვერცხლისფერს იყენებდა, გარდა ამისა, ბოლიდი წითელი და შავი ფერებით იყო გაწყობილი.

იტყობინებიან, რომ ბოლიდზე ფერთა გამა, უმეტესწილად დამოკიდებული იქნება გუნდის ახალი გენერალური სპონსორის პოზიციაზე. ჯერჯერობით, ამ კომპანიის სახელს საიდუმლოდ ინახავენ.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


ერთ დროს მაკლარენი ნარინჯისფერი იყო


გამოიწერეთ გაზეთი "ლელო" და კიდევ ერთი ნებისმიერი პერიოდული გამოცემა 1 წლით და მიიღეთ საჩუქრად წლის ერთ-ერთი ბესტსელერი წიგნი

პალიტრა მედიის გამოცემები

| დასახელება | ერთეულის ფასი | რაოდენობა 1 წლით | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| გაზეთი "კვირის პალიტრა" | 1,00 | 52 | 52,00 |
| გაზეთი "სიტყვა და საქმე" | 1,00 | 260 | 260,00 |
| გაზეთი "ყველა სიახლე" | 1,00 | 52 | 52,00 |
| ჟურნალი "გზა" | 1,00 | 52 | 52,00 |
| ჟურნალი "რეიტინგი" | 2,00 | 52 | 104,00 |
| ჟურნალი "არსენალი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "კარიბჭე" | 1,00 | 26 | 26,00 |
| ჟურნალი "ოჯახის მკურნალი" | 1,50 | 26 | 39,00 |
| ჟურნალი "კარუსელი" | 0,80 | 52 | 41,60 |
| ჟურნალი "საბავშვო კარუსელი" | 1,00 | 52 | 52,00 |
| გაზეთი "ლელო" | 0,80 | 260 | 208,00 |
| ჟურნალი "ლელო" | 1,50 | 52 | 78,00 |
| ჟურნალი "ბომონდი" | 5,00 | 12 | 60,00 |
| ჟურნალი "ლიტერატურული პალიტრა" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "ავტობილდი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "და ქალი" | 2,00 | 12 | 24,00 |
| ჟურნალი "გემრიელი" | 3,00 | 12 | 36,00 |
| ჟურნალი "ისტორიანი" | 2,00 | 12 | 24,00 |
| გაზეთი "Georgian Journal" | 2,00 | 52 | 104,00 |




ბესტსელერები
ჩემი საშობაო საუნჯე
ვეფხისტყაოსანი
დესერტების ოქროს წიგნი
ადამიანის სხეულის ილუსტრირებული ატლასი

ELVA.GE პრესა და წიგნები ადგილზე მიწოდებით, ფასნამატის გარეშე ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge



ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია ტუხაშვილი
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608